619
1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 6 ივნისი 1970



ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვება“. მეჩაიე კლარა ბუკია და მთავარი აგრონომი ილია პარკაია.



ფოტო
თ. არჩვაძისა.

ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის ბავშვთა ბაგა. აღმზრდელი ციალა ზეხია.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 6 (403) ივნისი, 1970 წ.

გამოცემის წელი 48-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კ პ ც კ გამომცემლობა

# ლამაზო ჩემო
# ქალაქი



ქ. ცხაკაიას მე-7 საშუალო სკოლის პედაგოგი ინეზა ჰანტურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი არის საცდელი ჯანის
ჩემი თვალადის, შენი ყაზბეგის,
კარდანახისა და მაჩხაანის,
ჩემი თვალადის და შენი ეკის.

**გიორგი შატბერაშვილი.**

შორიდან, მაღლიდან, ეკის მთის მწვერვალიდან, კიდევ უფრო წარმტაცია ჩემი ქალაქი.

რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ვაჟკაცურად გაუშლია მხრები ეკის მთას.

მწვერვალის ნაცვლად მას ხალვათად გაშლილი ველი ამშვენებს.

ადიხართ ეკის მთის მწვერვალზე და ხარბად ეწაფებით შავი ზღვიდან მონაქროლ ჰაერს, ამ მთისა და ტყის ველური ყვავილების სურნელით გაჟღენთილს. რაც უფრო ღრმად სუნთქავთ, მით უფრო გრძნობს გული სასიცოცხლო ძალას.

— ამ მთამ, ამ ტყემ, ამ ჰაერმა მაცოცხლა ამდენი ხანი! — ამბობს ილარიონ კვარაცხელია, კაცი, რომელიც მარტო დასახლდა ეკის მთაზე და თავისი სიცოცხლე ამ მთისა და მისი დაბურული ტყეების დაცვას შეალია. ას წელს მიღწეული ილარიონი ახლაც თვალადი და ტანადია, გული ახლაც ერჩის და მარულაში დააქროლებს თავის ლურჯას.

ეკის მთიდან ხელისგულივით ჩანს სამხრეთით — ქალაქი ცხაკაია, დასავლეთით — შავი ზღვა, სარკესავით რომ ირეკლავს თაკარა მზის სხივებს, ხოლო ჩრდილოეთით, შორს, ცადაჭრილი სვანეთის მთები თოვლიანი, დაკბილული მწვერვალებით, ვით ულამაზესი ჩუქურთმა ამ თვალუწვდენელი ზურმუხტის ველისა.

ჩანს ქალაქი განიერი და ლარივით სწორი ქუჩებით. მას ეკის მთისკენაც გაუკაფავს გზა და მის კალთაზეც შეფენილა.

მთიდან გადახედავთ ქალაქს და წალკოტი გეგონებათ. განა მარტო სკვერები, მოედნები, ბაღები თუ პარკებია ამწვანებული, არამედ ყოველ მკვიდრს ქალაქისას თავისი ეზო და კარმიდამო ბაღნარად უქცევია.

თვალი გააყოლეთ ქალაქის შუაგულში გაკვეთილ ქუჩას, მას შვიდი კილომეტრის მანძილზე მიაცილებს კედრების მაყრიონი. იგი რუსთველის სახელს ატარებს. ასევე ლამაზია ილია ჭავჭავაძის ქუჩა, მდინარე ტეხურამდე რომ აღწევს.

ეკის მთიდან კარგად ჩანს ჩემი ქალაქი, მაგრამ მე მსურს უფრო ახლოს გაგაცნოთ იგი. მოდი, შევაღოთ ქალაქის კარი!

* * *

...შადრევნის თქეშში გლობუსი ბრუნავს. ირგვლივ წალკოტია. ყვავილები, ყვავილები ყოველ ფეხის გადადგმაზე.

ვინ მოქარგა გულისპირი მიწისა ასეთი გემოვნებით, ასე ფაქიზად?

ვინ და მთელმა ქალაქმა. ეს ხომ შინმოუსვლელთა პარკია, მათი ხსოვნისა, მათი სახელის, მათი უკვდავების ბაღია.

ცხაკაიას რაიონიდან 6.500 ადამიანი წავიდა ბრძოლის ველზე, შინ ვეღარ დაბრუნდა 3.180 კაცი.

შინ ვეღარ მობრუნდნენ თეკლათში მცხოვრებ მიხეილ წურწუმიას შვილები — კალისტრატე, სამსონი, მექი, მიხეილი და ძუკუ; ხორშიდან სოფრომ დადიანის ვაჟები — ლევანი, ტრიფონი, ამირანი და ბორისი; ლეძაძამედან ლევან ხაბურზანიას შვილები — გრიგოლი, იასონი, მიხეილი და ალიოშა; შხეფიდან ერასტო ჩემიას ქალიშვილი ანგელინა და მისი ძმები — ამირანი და ბორისი.

საბჭოთა კავშირის გმირის — მფრინავ ალექსანდრე წურწუმიას ძეგლი ქალაქის ცენტრალურ ბაღშია აღმართული.

...მტკიცედ ნაგები და მონუმენტური, მაღალი და ჰაეროვანი... ამ მშვენიერი შენობის პროექტის ავტორსა და მშენებლობის ხელმძღვანელს ვახტანგ გოგოლაძეს ნიჭი და ენერგია არ დაუზოგავს, რათა ქალაქს ასეთი დიდებული თეატრი ჰქონოდა. ვინც არ უნდა იყოს მისი მხილველი, უთუოდ იტყვის: — ასეთი თეატრი დაამშვენებდა თვით დედაქალაქსაც.

სახალხო თეატრის უდიდესი მოვალეობაა მიიზიდოს ფართო მასები, გამოავლინოს ხელოვნების სიყვარულით გულანთებული ადამიანები. ეს კარგად შეძლო რესპუბლიკის დამსახურებულმა მსახიობმა, რეჟისორმა კარლო კალანდაძემ.



ქ. ცხაკაიას ერთი კუთხე.

აი პატარა ამონაწერი ჟურნალიდან „კულტურა ი ჟიზნ":

„კრემლის თეატრში ახლახან დამთავრდა სპექტაკლი „ტეხურის პირას". საქართველოს სახალხო თეატრის კოლექტივის მიერ განსახიერებულ პიესას დიდი წარმატება ხვდა. ცხაკაიას სახალხო თეატრს გადაეცა პირველი ხარისხის დიპლომი და ფესტივალის ლაურეატის ოქროს მედალი".

ქართველი ხალხის კულტურის საგანძურში ღირსეული წვლილი უდევთ ცხაკაიას რაიონის შვილთ — ვალერიან გუნიას, შალვა დადიანს, აკაკი ხორავას და ხალხური სიმღერების მოამაგეთ — რემა შელეგიასა და ნიკო ხურციას.

...ქალაქის ცენტრსა თუ განაპირა უბნებში გუნებენ ფაბრიკები, ქარხნები და კომბინატები. მოვინახულოთ ერთი მათგანი.

აქ ხალიჩებს ამზადებენ. თვალს იტაცებენ ორნამენტები, ფერები... მწვანე თუ წითელი, ლურჯი თუ ნაცრისფერი, შვინდისა თუ ნარინჯისფერი ერთმანეთთან ისეა შეხამებული, ვით მინდვრის ყვავილები მწვანე ბუსნოსთან.

ეგ ლამაზი ხალიჩები მედეა სოსელიას, თალიკო ჩემინავას, ლია ჯიქიძის, კლავდია კუზნეცოვას, ლეილა კვაჭაიას და მათი ტოლების ნახელავია.

ამ საამქროში კი კომკავშირელებს ჭაბუკური ძალღონით აღუმართავთ შრომის ალამი. გაფაციცებით თავს დასტრიალებენ უზარმაზარ მანქანებსა და დაზგებს.



1190

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

აგერ საუკეთესო მრთველები — ციური ჩიქვაიძე, გულნარა ხორავა, ვალია კალინინა, მიმოზა ჯიშკარიანი, ნორა ჯანელიძე, ზიმზ ნაჭყებია, ნაირა ბირკაია. ხოლო ეს 18 წლის ნანი ჯალაღონია მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის სტუდენტი — ყველაზე მოწინავეა.

ცხაკაიას „ხალიჩების კომბინატი" ერთადერთია საქართველოში. 12 მილიონი მანეთის პროდუქციას უშვებს წელიწადში და 700 ათას მეტრ ხალიჩის ნაწარმს აწვდის საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას.

...დასავლეთით ეკის მთა უცებ მოიკვეთა და დაილია! ეკის მთამ სწორად აქ მოიქნია კუდი ლომივით, გული გახსნა და — ულეველი მაღალხარისხოვანი საშენი ქვა და კირი მისცა ქვეყანას. გული გახსნა და — მისი დალოცვილი წიაღიდან ამოდუღდა მენჯის წყალი. ამ წყლის დიდებულმა თვისებებმა ხალხს ააგებინა არაერთი სანატორიუმი და მშვენიერი საბაზანო შენობა. თანდათან გაშენდა კურორტი მენჯი, რომელსაც საძირკველი ექიმმა დავით ვაშანიამ ჩაუყარა.

საბჭოთა კავშირის უშორეს კუთხეებიდანაც კი მოდიან აქ ავადმყოფები სამკურნალოდ. გადაიკითხეთ „შთაბეჭდილების წიგნში" მათი ჩანაწერები, რა მძიმედ დაავადებულნი ჩამოსულან და მენჯის წყალს როგორ განუკურნავს. წაიკითხეთ მათი აღტაცებისა, სიხარულისა და მადლიერების გამომხატველი სტრიქონები და თქვენთვის ნათელი გახდება, თუ რას წარმოადგენს კურორტი მენჯი!

ქალაქში რამდენია კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღები, სკოლები, ინტერნატები, ტექნიკუმები, სადაც ათასობით მოსწავლის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის გულმოდგინედ იღვწიან პედაგოგები. დავასახელოთ ყველაზე საუკეთესონი: ვერა ხუხია, მარიამ კვანტალიანი, ნადია კინწურაშვილი, ნადია ლუტიძე, ქრისტინე ესებუა, ნინო გუგუნავა, მიხეილ ჟვანია, ტერენტი ყიფიანი, ლეონიდ ცხადაია, ნიკო დემურია, სილიბისტრო გვარამია, ვლადიმერ დავითაია, გიორგი ურიდია და სხვები.

...თუ ქალაქმა ცხაკაიამ უკანასკნელ წლებში მხრები გაშალა და გაიზარდა, თუ ასე დამშვენდა და გალამაზდა, ამაში მხურვალე წვლილი მიუძღვით ეკის მთის ირგვლივ დაფენილ სოფლებს, ყოველ კოლმეურნეს, დილიდან დაღამებამდის, თაკარა მზეში თუ წვიმიან ამინდში მიწას რომ ებრძვის მეტი ბარაქისათვის.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ცხაკაიას თეატრი. მხატვარი დიმიტრი ბარქაია თავის სახელოსნოში

მხურვალე წვლილი უდევთ კოლმეურნე ქალებს, ალიონიდანვე ოჯახს თავს რომ დასტრიალებენ, მერე ბავშვებს ეფერებიან, ჰკოცნიან, ეუბნებიან:

— ჩვენ ჩაის საკრეფად მივდივართ, აბა თქვენ იცით, მოხუცებს თუ არ გააჯავრებთო!

...აი, ბორცვებსა და გორაკებზე შეფენილი, ჩაის ბუჩქებში ჩაყურსული სოფელი უშაფათი, პირველი ჩაის ფაბრიკის კერა (დირექტორი ვანო ცომაია). ფაბრიკა 1987 წელსაა აგებული. მას აქეთ უწყვეტ ნაკადად მოედინებიან მოსაზღვრე სოფლებიდან ჩაის ფოთლით დატვირთული მანქანები.

უშაფათში შევხვდით დომენტი გოგინავას, რომლის ბრიგადა 24 წლის მანძილზე მთელს რაიონში მოწინავეა.

უშაფათი შრომითა და პატიოსნებით განთქმული სოფელია. შეგიძლიათ ღიად დატოვოთ თქვენი სახლის კარი, აქ არაფერი დაგეკარგებათ.

ბნელ წარსულში უშაფათიდან გაიტაცეს პატარა ხვიჩა, უცხოეთში მამელუკად გამოწრთობილი.

ახლა ამ სოფლის ცხოვრებას სათავეში უდგას ვალენტინა შეროზია, იგი 25 წლის მანძილზე შეუცვლელად თავმჯდომარეობს სოფლის საბჭოს. „ჩვენი სოფლიდან არ გარბის ახალგაზრდობა", — კმაყოფილებით ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბენედიქტე ხუბუა.

...უკვე დავტოვეთ ლამაზი სოფელი ზანა, მაგრამ თან მოგვყვება ცნობიერებაში აღბეჭდილი ხარაჩოები და ისევ ხარაჩოები. აქ შენდება საშუალო სკოლის ახალი შენობა, კოლმეურნეობის სამსართულიანი კლუბ-კანტორა, 50-საწოლიანი საავადმყოფო და კომპლექსური სტადიონი.

მარტო აქედან გასაგებია ძალა და შეძლება ამ სოფლისა. აქ კოლმეურნეობის თავმჯდომარეა სოციალისტური შრომის გმირი ვ. კუპრეიშვილი.

...თვალს მოავლებთ სოფელ ფოცხოს მიდამოებს და თქვენთვის უცებ გასაგებია აქაურ მცხოვრებთა დოვლათიანობა. შორს წაგვიყვანდა მოწინავე ადამიანთა ჩამოთვლა, მაგრამ როგორ არ გაგაცნოთ მარიამ მირცხულავა — 14 შვილის დედა, ნათელა ნინუა — 9 შვილისა და თალიკო მირცხულავა — 10 შვილის დედა. სამივენი, ამავე დროს, მოწინავე მეჩაიეები არიან.

მარტო ის ფაქტი, რომ ფოცხოში ააგეს საკავშირო-ონთაშორისო 50-საწოლიანი ონკოლოგიური დისპანსერი თერაპიული, ქირურგიული და გინეკოლოგიური განყოფილებებით, მოწყობილი სათანადო კაბინეტებითა და ლაბორატორიებით, ნათელყოფს ამ სოფლის შესაძლებლობებს.

აი, გორაკზე შეფენილი სოფელი ხორში, ასე ლამაზად რომ ჩანს ეკის მთიდანაც. ხორში ჩემი სოფლის — ეკის მოსაზღვრე და მეზობელია. მაგონდება, ერთ დილით დედამ პატარებს გვითხრა:

— წუხელ ყაჩაღებმა რომ აგვაწიოკეს, ისინი აი იქ, ხორშის დაბურულ ტყეში იმალებიანო. ამის შემდეგ დღისითაც გვეშინოდა იქითკენ გახედვა.

ამჟამად კი ხორში მთელს რაიონში ყველაზე მდიდარი და კეთილმოწყობილი სოფელია.

ბარდისა და ეკლის ნაცვლად აქ, თვალუწვდენელ ველ-მინდვრებზე ეთერ-ზეთოვან კულტურათა საბჭოთა მეურნეობა გაშენდა და იგი გახდა ახალი, შეძლებული ცხოვრების ქვაკუთხედი, ამის თავკაცი, საძირკვლის ჩამყრელი და საქმის დამგვირგვინებელი ალექსანდრე კანკავა იყო.

ნახევარი საუკუნის მანძილზე იღვწოდა იგი თავისი საყვარელი სოფლის აღორძინებისათვის. ამას შეალია სიყვარულით ანთებული გული, გამჭრიახი გონება და ვაჟკაცური შემართება.

ალ. კანკავას შემდეგ ამ საათივით აწყობილ მეურნეობას სათავეში უდგას გამოცდილი აგრონომი ლუბა კუპრეიშვილი, ხოლო ხორშის მძლავრ კოლმეურნეობას — სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრე გვასალია.



ხალიჩების კომბინატში.

* * *

დაღამდა, მაგრამ ღამითაც გუგუნებენ ფაბრიკები და ქარხნები. სოფლის გზებზე ღამითაც მიმოქრიან „მწვანე ოქროთი" დატვირთული მანქანები, მათ ახლაც ელიან უშაფათისა და ცხაკაიას ჩაის ფაბრიკები.

...ზოგჯერ თაიგულს შეჰკრავენ ისე, რომ შუაგულში ულამაზეს ვარდს მოათავსებენ და სხვა ყვავილებს მის გარშემო დასამშვენებლად მიმოაბნევენ. გხიბლავთ ეგ ყვავილთ კონა ნაირ-ნაირი უთვალავი ფერით, მაგრამ ის ერთი ვარდი თაიგულის სიღრმეში გასაოცრად ლამაზია, სხვაზე უფრო გატყვევებთ. აი, ასეთ თაიგულს ჰგავს ეკის მთის ირგვლივ ბორცვებსა და ველ-მინდვრებზე აყვავებული სოფლები და მათ შუაგულში ვარდის ეშხითა და სიტურფით შემკული ჩემი ქალაქი.

მერი ადამია

# დეპუტატი— მეფოლადე


ეროვნული ბიბლიოთეკა

14 ივნისს ჩვენი უზარმაზარი სამშობლოს მშრომელებმა მოიხადეს თავიანთი დიადი მოქალაქეობრივი ვალი — ერთსულოვნად მისცეს ხმა ხალხის ღირსეულ კანდიდატებს, სამშობლოს ერთგულ შვილებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები — დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში; ამიტომაც იყო, რომ საარჩევნო კამპანიას პირველივე დღიდან თან ახლდა თვითეული საბჭოთა მოქალაქის შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის ზრდა.

საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მისცა ხმა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს, მათ, ვინც თავისი შრომით ქმნის მატერიალურ დოვლათს, სულიერ კულტურას, წინ სწევს ჩვენს მეცნიერებას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგს.

საბჭოთა ადამიანების ერთსულოვნება, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ და გამომსახველად გამოვლინდა არჩევნების დღეებში, არის უბრწყინვალესი მაჩვენებელი ჩვენი ხალხის მჭიდრო დარაზმულობისა კომუნისტური პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო. საბჭოთა ხალხმა ხმა მისცა კომუნისტური პარტიის ლენინურ პოლიტიკას, მტკიცე მშვიდობას, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას.

ხალხმა უმაღლეს საბჭოს დეპუტატებად აირჩია თავისი ღირსეული შვილები. ერთი მათგანია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მოწინავე მეფოლადე მიხეილ სპანდერაშვილი, რომლის ცხოვრებაზე მოგვითხრობენ აქ გამოქვეყნებული ფოტოები.





ქარხნის ეზოში.

დასვენების დღე.

საინტერესო საუბარი.



მამა და შვილი.



# სოფელი აკადემიის ნაფუძარზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო მრელაშვილი

ფოტო თ. არჩვაძისა.

კვირაცხოვლის ნანგრევზე ვზივარ და აქედან დავცქერი იყალთოს აკადემიას. კვირაცხოვლს გარდა, უამრავი სხვა ნანგრევებია აკადემიის ირგვლივ. ერთდროს სამოცამდე ასეთ საყდარსა თუ სენაკს ითვლიდა ეს გარეშემონი. ჩემს თვალწინ გაქრა რამდენიმე. მათ შორის, რძის საყდარი, რომელზედაც იყალთოელები ამბობდნენ: რძეში აზელილი კირით არი აშენებულიო. მალე დაეცემა ყვავის საყდარიც, რომელიც აგერ ჩემგან ოთხასიოდე ნაბიჯზეა ერთადერთ გადარჩენილ მუხასთან დაყუდებული. სამი კედელი მონგრევია, მეოთხელაა დარჩენილი და ისიც გულგამოღებული. შორიდან სატრიუმფო თაღივით მოჩანს დროთაბრუნვისაგან გაგვალულ-შერუჯული.

ჭეშმარიტად უდიდესი გემოვნების კაცს მოუფიქრებია ამ ადგილას მონასტრისა და აკადემიის აშენება. ყოველი ასეთი ძეგლის დანახვისას განუზომელ მოკრძალებას ვგრძნობ ჩემთა დიდთა წინაპართა აჩრდილების წინაშე.

აკადემიისა და მონასტრის ეზო საგულისგულოდ არის მოვლილი. კვიპაროსები ატყორცნილან ალაგ-ალაგ. ფათალოს შეუბორბლავს გალავანი. ვაზის ხეივანი ჩანს შემოსასვლელში. ბზების ბუჩქები და ყვავილები გაბნეულან შიგდაშიგ. ყველაფერს ატყვია „გროზნას“ მზრუნველი ხელი.

„გროზნა“ ამ აკადემიის მომვლელ-ყარაული დიმიტრი ბეჟუაშვილია. მე მას მთელი თავები ვუძღვენი „იყალთოელ ბიჭებში“. და ვისაც ამ აკადემიისთვის თვალი დაუკრავს, მიხვდება, რომ ამაოდ არ დავმაშვრალვარ.

გუშინ სალამოს ვიყავი მასთან. წნევას დაურტყამს საბრალოსთვის და ეს ერთი ხანია ლოგინისთვის მიუჯაჭვია რკინასავით კაცი. შემომჩივლა: რა ხანია აღარ მინახავს ჩემი აკადემიაო. ჩავაცვით და მანქანაში ჩავსვით. მონასტრის გალავანს რომ მივუახლოვდით, თავი ვერ შეიკავა და ატირდა. ეტყობა, ფიზიკურ სისუსტეს ნერვებიც დაუსუსტებია. გადმოვსვით, მაგრამ დახმარება იუკადრისა. თავისი ფეხით შევიდა ეზოში. ბალღივით გაიხარა იქაურობის დანახვაზე. ყოველ ბუჩქსა და ყვავილს ეფერებოდა, ხელს უსვამდა ქვასა და დუღაბს. კვიპაროსებს მიეახლა და დიდხანს იყო ზედ მიყუდებული. უცხო თვალი იფიქრებდა ისვენებს ბერიკაციო, მაგრამ მე ვგრძნობდი, როგორ სიამოვნებდა მათი მკვრივი, ძლიერი სხეულის შეხება. მათი დაუოკებელი ძალოვანება წვეთწვეთობით გადადიოდა მის მილეულ ჯანში. მერე ველური ყვავილები მოკრიფა და აკადემიის კედელზე სასოებით ჩამოდო. გიორგი შათირიშვილმა თავი სინანულით გაიქნია და თვალი აარიდა.



ვანო მრელაშვილი (მეჭურჭლე).



ლონგო არსენიშვილი.

გიორგი შათირიშვილი! შინაურულად მას გოგლას ეძახიან, და თავათაც ცდილობს ერისკაცობით ჰგავდეს თავის დიდ სეხნიას.

სულ რაღაც შვიდი-რვა წლის წინ დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და იყალთოს ღვინის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ ამ თბილისელმა კაცმა იყალთოს იქით ვეღარ პოვა ძილი და მოსვენება. საქართველოში პირველად მან შექმნა სოფელში სახალხო უნივერსიტეტი და პირველი რექტორიც თავადვეა. მან პირველმა მოიგონა და გააკეთა დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ფოტოსტენდი და სახელიც თავადვე შეარქვა: „შინმოუსვლელთა დაფა“. მას მერე გავრცელდა მთელ რესპუბლიკაში ეს სახელი. მანვე დაუწესა მათ მოსაგონარი — „შინმოუსვლელთა დღე“.

საშინელი მისასვლელი ჰქონდა აკადემიას. ორი კილომეტრის გზა... ნახევარ საათს უნდა გეჯაყჯაყა იყალთოს ხევზე, ან ფეხის გულები დაგებეგვა რიყეზე. მოსვლისთანავე ითავა მისი გაკეთება და ახლა მშვენიერი ასფალტი მიდის მონასტრამდე, გაჩახჩახებული შესანიშნავი ლამპიონებით. მანვე დამოძღვრა იყალთოელნი და ახლა, საეკლესიო დღესასწაულ „ამაღლების“ მაგიერ ახალი სადღესასწაულო დღე „შოთაობა“ შემოიღო დიდი რუსთაველის პატივსაცემად. ჰქონდა კიდევაც მიზეზი, რადგან ძველი ლეგენდის გადმოცემითა და იყალთოელთა ღრმა რწმენით იყალთოს აკადემიაში უსწავლია რუსთაველს. მანვე შექმნა საზოგადოებრივ საწყისებზე იყალთოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შიგ მონასტერში, და იქაური არქეოლოგიური მონაპოვარნი სხვა მრავალი ათასგვარი ხერხითა და მარიფათით ნაშოვნი ექსპონატებით გაამდიდრა.

მე განზრახული მაქვს მასზე ცალკე ნარკვევის დაწერა და ამიტომ აქ აღარ გავაგრძელებ სიტყვას. ოღონდ დავსძენ: ღმერთმა მისცეს ყოველ სოფელს თითო გიორგი შათირიშვილი და თითო „გროზნა“!

ეტყობა, წინათ ამ კალთებზე ყოფილა შეფენილი იყალთო. ახლაც მრავლად არი ახოებსა და ჯაგებში ნასაძირკვლარი, ნასახლარი და ნაგალავნარი. ერთ ადგილს კი ახლაც „სასახლეებს“ უწოდებენ: დიდი ეზო ოთხივ კუთხივ თითქმის კაცის სიმაღლე კედლებით შემოზღუდულა. ჩაყამებულ ლოდების ძირში და თავად ეზოში ჯაგრცხილა, კვრინჩხი და კუნელი ხარობს. სოფელს არც ისე დიდი ხნის წინათ დაუტოვებია იქაურობა და ალაზნისაკენ ჩაუვაკებია.

ამომავალი მზე თეთრ-წითლად ციგლიგებს კრამიტის სახურავებზე.

აგერ საშუალო სკოლის ახალი შენობა. ორსართულად ამოზრდილა რიყის პირას. მის ეზოში გავატარე ჩემი ბალღობა. და მახსენდება სამამულო ომში დაღუპული ჩემი ვაჟკაცი მასწავლებლები — სკოლის დირექტორი გიორგი არსენიშვილი და ისტორიის მასწავლებელი რეზო გიგოლაშვილი, მისი დაი — თამარი და ჩემი ბიძაშვილი ვახტანგი. სამასზე მეტი კაცი დაკარგა ამ სოფელმა დაღუპულთა სახით.

ახლა ამ სკოლაში დირექტორად ნინო ჯავახიშვილია. ეს პატარა ტანის, მშვენიერი გარეგნობის ქალი თითქმის ოცი წელია, რაც ტოლს არ უდებს არც ერთი სკოლის არც ერთ დირექტორს. ამ სკო-

დიმიტრი ბეჟუაშვილი (გროზნა).





მარცხნიდან — გიორგი შათირიშვილი, ჯიმშერ ბოტკოველი, სანდრო ყურშიტაშვილი, არჩილ შიშმანიშვილი, სოსო ჩხუბიანიშვილი, გულვერ ბოტკოველი.

ლამ ბევრი სახახელო გამოზარდა: არჩილ შიშმანაშვილი — პოეტი და პროზაიკოსი და, არ წავაჭარბებდი თუ დავუმატებდი, ფოლკლორისტი, ლიტერატურის მკვლევარი და თავის დროზე შესანიშნავი სპორტსმენ-მოჭიდავე. ახლა იგი აქვე ასწავლის მშობლიურ ლიტერატურას; როცა „ლიტერატურულ გაზეთში" შიშმანაშვილის საკმაოდ ვრცელი მოთხრობა „ბაჟალე" დაიბეჭდა, გიორგი ლეონიძემ თქვა: — ეს ბიჭი ჩემი მოწაფეა პროზაში, ჯერ მარტო გმირთა სახელებს დააკვირდი, ნამდვილად ჩემი მოწაფეა; სანდრო ყურშიტაშვილი — საბავშვო მწერალი და მშვენიერი ფოტოგრაფი, სამამულო ომის ვეტერანი და საპუნგორას იერიშის მონაწილე; ვალერიან ყურშიტაშვილი — ჟურნალისტი, გაზეთ „კომუნისტის" თანამშრომელი; სოლომონ დემურხანაშვილი — მკითხველებისათვის კარგად ცნობილი პროზაიკოსი, გამომცემლობა „მერანის" ერთ-ერთი რედაქტორი; სამხარაული — სპორტის ოსტატი, საქართველოს ჩემპიონი ძალოსნობაში; ანგი არსენიშვილი — ჟურნალისტი და იურისტი; სოსო ჩხუბიანაშვილი — სარაიონო გაზეთის თანამშრომელი; ლადო არსენიშვილი — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, მისი ძმა — სოციალისტური შრომის გმირი ლონგო არსენიშვილი; ვასო მრელაშვილი — კარგი ეკონომისტი და „რეზინის კაცად" ცნობილი საოცარი სპორტსმენი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, რომლის ზურგიც ხალიჩაზე არასოდეს არ დადებულა; კაკო მრელაშვილი — ტრაქტორისტთა ბრიგადის ბრიგადირი და სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი; გიორგი ბახსოლიანი — სპორტსმენი და ლიტერატორი; ირაკლი ხმალაძე — სპორტსმენი და ფრიად ნიჭიერი კაცი — იგი სამამულო ომში ოცი წლისა დაიღუპა და რომ დასცლოდა, ვინ იცის...

ვიგონებ ყველაფერ ამას და ამ სკოლის ეზოში გატარებული ჩემი ბავშვობაც მაგონდება.

სკოლის ქვემოთ ახალი საბავშვო ბაღის შენობა ელვარებს თეთრად. იმას ქვემოთ კი ღვინის ქარხანაა. მინდა შევნიშნო, რომ აქაური ღვინის ნიმუშებმა მსოფლიო გამოფენაზე ბარე ორჯერ-სამჯერ მიიღო ოქროს მედალი (დირექტორი თამაზ ხატიაშვილი, მეღვინე სოკრატ სამხარაული); აქვეა საქვეყნოდ განთქმული ვაზის „ჭანაანურას" მიკრორაიონი, რომლისაგანაც დიდებული, „ხიხვად" წოდებული ღვინო დგება.

უფრო ქვევით კლუბი და კოლმეურნეობის კანტორა მოჩანს. იყალთოში 1926 წელს ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა. მისი დამაარსებელნი: ალექსი ჭიბალაშვილი, ლევან მრელაშვილი, შაქრო ბოტკოველი, შაქრო ბაზერაშვილი და კიდევ ორიოდე თანასოფლელი იყვნენ. ალექსი ჭიბალაშვილი ოცდახამ წელს ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობას. შემდეგ ლონგო არსენიშვილი ჩაუდგა სათავეში და ახლა არჩილ მრელაშვილი უძღვება 'აქაურობას. კოლმეურნეობა უმთავრესად მემინდვრეობასა და მევენახეობას მისდევს. მებაღეობა, მებოსტნეობა, მეფრინველეობა და მესაქონლეობა უფრო დამხმარე მეურნეობაა. განსაკუთრებით მევენახეობაა განვითარებული. იყალთოს ზვრებს მთელი სოფლის ბოლოები უჭირავს. ხშირად გამოერევა წლები, როცა ჰექტარზე ასოც ცენტნერ ყურძენს იღებენ მევენახეები.

წელს იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე წარდგენილია ყოველმხრივი მაჩვენებლებით, განსაკუთრებით ყურძნის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამ გამოფენის მონაწილე იქნება 18 კოლმეურნე, რომელთაც მათზე გაპიროვნებული ვენახებიდან მიიღეს ყველაზე მაღალი მოსავალი.

კოლმეურნეობის კანტორის ქვემოთ, რიყის გაღმა, საბჭოს ახალი შენობაა. საბჭოს თითქმის ათეულ წელს დავით ბაზერაშვილი თავმჯდომარეობდა. ჭკვიანი, ნიჭიერი და საკმაოდ მარიფათიანი. ახლა თავმჯდომარედ გულვერ ბოტკოველია, ახალგაზრდა და დიდად დაუზარელი კაცი, საუკეთესო სპორტსმენი, ქართულ ჭიდაობაში რამდენჯერმე საქართველოს ჩემპიონი. იგი გათენებამდე საბჭოშია და მერე ფეხჩაუკრეფლად უვლის მთელ სოფელს. წყლის პრობლემა ყველა უბნისთვის უკვე გადაწყვიტა და ახლა მრავალს საკუთარ ეზოშიც უდგას ონკანი. საბჭოს ეს ახალი შენობაც გულვერის დაუზარელი შრომის ნაყოფია. საუბნო და სასოფლო გზები მოვლილი და გაფართოებულია. ახლა უკვე მათ გალამაზებაზე ზრუნავს ახალი თავმჯდომარე.

სოფლის განაპირას, აღმოსავლეთით, გრძლად გაწოლილა მსხვილფეხა-რქიანი საქონლის გომურები. იქვე ნამჯის გრძელი ზვინი იმას მოწმობს, რომ თადარიგიან პატრონს ბლომად მოუმარაგებია შემოდგომაზე საზამთრო საკვები. ფერმის გამგეა ჯიმშერ ბოტკოველი, კარგი სპორტსმენი, რაიონის მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში.

გომურის გადმოსწვრივ, მრელაანთ უბანში, ოდნავ მოჩანს ერთადერთი კვიპაროსის კენწერო. აქ ძმების აბრია და ვანო მრელაშვილების სახლებია. ძმები საქვეყნოდ განთქმული მეჭურჭლეები არიან. იყალთოური თიხა სუფთაა, გამძლე და თავისებური ფერით გამოირჩევა. მისგან გაკეთებული ჭურჭელი მოწითალო-ქარვისფერს იღებს და საუკეთესოა თიხის ჭურჭელს შორის.

ვანო მრელაშვილი, გარდა მეჭურჭლეობისა, კარგი მევენახე, მომღერალი და სახალხო მთქმელია. მისი ლექსები ბევრჯერ შეუსრულებია ჩონგურზე ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გიორგი (გიგლა) პაპალაშვილს. გიგლაც იყალთოელი გახლავთ და როდესაც ერთად იკრიბებიან იყალთოელი მომღერლები: ფარნაოზ ლაცაბიძე, ლონგო არსენიშვილი, ფირუზ მრელაშვილი, დავით ბაზერაშვილი, სერგო ენუქაშვილი, ვანო მრელაშვილი და თვითონ გიგლა, მათი სუფრული სიმღერების მოსმენას არაფერი სჯობს.

ცალკე მინდა აღვნიშნო გიგლას მამა ნიკო პაპალაშვილი. იგი ოთხმოცდათვრამეტი წლის კაცია და ჯერაც უსათვალოდ უკითხავს გაზეთს თავის მეუღლეს. მან შარშან დაამთავრა იყალთოს სახალხო უნივერსიტეტი და წარჩინებულის დიპლომიც მიიღო. „ვეფხისტყაოსანი" ზეპირად იცის და ფოლკლორის აურაცხელი ნიმუშები ჩააწერინა იყალთოში ჩასულ პროფ. მიხეილ ჩიქოვანს. იყალთოელებს დასაბამიდან უყვართ ვენახი და ნიკო პაპალაშვილიც ერთი მათგანი [illegible] ძუძუსთან ერთად შეიწოვა ვაზის ყადრი. გუშინ შევიარე მასთან და ვენახში დამხვდა ბერიკაცი. ხელში გამოპირული თოხი ეჭირა და ყოველი ვაზის ძირს ისეთი რუდუნებითა და მოწიწებით მიეახლებოდა, როგორც მახვეწარი ხევსური გუდანის ჯვრის დროშას...

ხევს გაღმა, კლდის პირას, აგურით ნაშენი ერთსართულიანი სახლი მოჩანს. ამ სახლის დანახვა ჩემში ყოველთვის სინანულით სავსე სევდიან ღიმილს იწვევს. ოდესღაც ეს ეზო დიდი ხეხილით სავსე და ამწვანებული იყო. სახლი მოვლილი და ლაზათიანი. სახლს ქვევიდან კაი სიგრძის მარანი ჰქონდა... ახლა ეს მარანი სახურავგადახდილი, მოშლილი და უპატრონოა. სახლიც, შიგ მცხოვრებთ, ვისაც როგორ მოუპრიანებია, გადაუკეთ-გადმოუკეთებიათ. ეზოში ხეხილი აქა-იქღაა შემორჩენილი... აქ ოდესღაც ჩემს ბავშვობაში მაშო ძალო მხვდებოდა ხოლმე სათნო ღიმილით. დიდი ფინჯნით რძეს მომაწვდიდა, მერე ამას ხილს მოაყოლებდა და მამაჩემზე მკითხავდა: „ჩემი მაზლი როგორ არის?"

მაშო ძალო ჩვენი სახიქადულო მწერლის — პროზაიკოსისა და დრამატურგის მიხეილ მრევლიშვილის დედა იყო. აქ დაიბადა მიხეილი, აქ დაჭაბუკდა და აქვე დავაჟკაცდა. იყალთომვე მისცა პირველი დიდი საზრდო მის მადლიან კალამს. ამავე მიწას უნდა ვუმადლოდეთ, ქართული მწერლობის დიდ ანსამბლში მის წილად მოსული სიმები ასე ძალუმად და სულამდე ჩამწვდომი ლირიულობით რომ ჟღერს!

არ შემიძლია, ამდენი კარგის მოქმედ იყალთოელებს არ ვუსაყვედურო: განა რა გაუხდებოდა მთელ სოფელს მოევლო ამ სახლისათვის. ახლა ჩვენი პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით ყველა მშრომელს შეუძლია ქალაქგარეთ იქონიოს კოტეჯივით სახლი რამ, ზაფხულში ქალაქიდან გასასვლელად და დასასვენებლად. რა იქნებოდა, ისე მოეწყოთ საქმე, რომ ზაფხულობით მაინც კვლავ ენახათ მიხეილი თავის ძველ კარმიდამოში. მართალია, იგი არც თბილისში უჩივის შემოქმედებით სიბერწეს, მაგრამ, ვინ იცის, რამდენი ახალი აზრი თუ სიუჟეტი შთაეგონებინა მამაპაპეული მიწის იდუმალ ძახილს...

მზე თანდათან იწევს მაღლა და ალაზნის ველს სიზმარეულ ფერებში ახვევს, თვად ალაზანი გალექებული მიირწევა ცადატყორცნილი ალავერდის ჭალაში და ზანტად მიიცოხნის დროსა და მანძილს.

კვირაცხოვლის ნანგრევიდან ჩამოვდივარ, სოფლისკენ ვეშვები და ვფიქრობ: ისტორიაც იმეორებს ზოგჯერ თავის თავს. ოღონდ სხვა ფორმებითა და საშუალებებით...

კარლო კალაძე

## შენ, ნადირობის ქალღმერთო...

შენ, ნადირობის ქალღმერთო, დალი,
სხვამ, აბა, ვინღა აღმოგაჩინოს! —
ვიცი მე შენი მიწა და წყალი,
წერაქვით გავთხრი ვანს და საჩინოს...
შენ, ნადირობის ქალღმერთო, ელვის
კრთომა ძუძუთა ქიმს რომ გიმშვენებს, —
საიალაღოდ, მითხარი, მერმისს
შველსა და ირემს ვინ მომიშენებს?!
გეგუთის მხრიდან რას უხმობ ბუკით,
აჯამეთიდან რას ერეკები,
შენ, ნადირობის ქალღმერთო, თუკი
გააჩანაგე ტყის ნარ-ეკლები!
თუ სანავარდოდ ცხენს არ შევკაზმავ —
ველს რად შევარქვი კვლავ სანავარდო?!
მე, თუნდაც შენმა ერთმა მზე-კაცმა
უშენოდ ცაში მზე რად ავანთო?!

მთებს ზემოთ ჩემი კერის კვამლია,
მიწაა ჩემი კერის ნაცარი,
ჩემი პირველი მღვიმე ხვამლია,
ვანი — პირველი ჩემი ტაძარი!
მაგრამ თუ ხევ-ხევ არ გამიღიმე,
თუ გავხდი მსხვერპლი სადმე ავ რისხვის —
რაღაა ხვამლის მაღალი მღვიმე,
რაა დარბაზი ამ წელთაღრიცხვის?!
როგორც ოცნება თავდაღწეული,
მინდა ჩემს თვალწინ ზე აღსდგე, დალი,
დასთმე ეგ შენი ათასწლეული,
აღმართე ცაში ბრინჯაოს ტანი!
ასწიე მიწა, რომ ამოსძახო
ჩემს ნათელ დღეებს დედამიწიდან, —
აკი სამკვიდრო და სამოსახლო
აღსაშენებლად მეც აქ მიცდიდა!
სიახლე მეც აქ მაიარაღებს:
დაშვენდა ქვიტკირს რკინა ნეკნებად,
მაგრამ დანგრევა ელით ქალაქებს —
ტყეთა სიმწვანე თუ არ ექნებათ!..
მწამს შენი ძალა, ისე, ვით მწამდა
და ბედისწერამ კვლავ რომ არ მძლიოს —

აჰა, მოვყვები ცხენისწყალს მთა-მთა,
მოვყვები ვანის ტაძრამდე რიონს...
შენ, ნადირობის ქალღმერთო, ხედავ?
მდინარის ფსკერზე კენჭები ჩანან,
წამოაშველე ჩრდილები ხეთა,
ჭრელი ხოხბებით აღავსე ჭალა!
სწორედ იმდროის კლდე-ღოდებია,
სწორედ იმდროის ღამეთა ნისლი...
ცეცხლის ყინულით გელოდებიან
აქ, ამირანი და ძმანი მისნი!..
დიდება იმ დღეს, დიდება იმ დღეს! —
იყოს ნიშანი მსხვერპლთშეწირვისა:
თვალწინ ირემი თუ წამოგვიხტეს
და ელვას ჰგავდეს რქები ირმისა!
გულს ელვის უმალ დავეუფლები,
ოღონდ არ აცდე გულს ნაპერწკალო,
ოღონდ გაზაფხულს გრგვინვით, ღრუბლებით
წინ შენ უძღოდე, ჩემო ღმერთქალო!
ცას თვითმფრინავით ვჭრი და იმავდროს
ხელაპყრობილი ვოცნებობ, დალი,
ბედმა შენს ტყეში დამაბინადროს —
ჩემს მერმისს ისე შევავლო თვალი!

# ექიმი და მეომარი



გიორგიმ სროლა შეწყვიტა, გავარვარებული ავტომატი აგურებზე დადო და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. ჰიტლერელებმა ერთხელ კიდევ დაიხიეს უკან. დაბლა, სარდაფში ჩომწყვდეული მტრის ჯარისკაცებიც მიყუჩდნენ.

გიორგიმ მებრძოლებს გადახედა. სახურავჩამონგრეულ, ბათქაშითა და აგურების ნამსხვრევებით სავსე სახლში არ იყო არც ერთი საროული, არც ერთი კედელი, რომ ყუმბარებსა და ბომბებს ზედ თავისი კვალი არ დაემჩნიათ. ფანჯრებთან მისი ოთხივე სანინსტრუქტორი მიყუჟულიყო ახალი იერიშის მოლოდინში. „მადლობა ღმერთს, ხუთივე ისევ ცოცხალი ვართ“, — გაიფიქრა გიორგიმ და თვითონაც ფანჯარაში გაიხედა.

ბერლინი იწვოდა, მთელი ქალაქი ცეცხლის ალსა და აფეთქებათა კვამლში იყო გახვეული. საცაა დადგება დიადი გამარჯვების დღე, რომელსაც ასე ელის მსოფლიოს მილიონობით ადამიანი. ალბათ ამიტომაც არის ახლა ყველაზე ძნელი სიკვდილი. ამიტომაც შფოთავს იგი თავის თანამებრძოლებზე.

თვითონ გიორგიც სამი წელი მაინც იქნება, რაც ფრონტზეა. 1942 წელს, დაამთავრა თუ არა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, მაშინვე ჯერ შუა აზიის გავლით მოსკოვში ჩავიდა; მერე კი, ნოემბერში, კალინინის ფრონტზე გაგზავნეს, სადაც პოლკის უმცროს ექიმად დანიშნეს. 1943 წლის აპრილში დივიზიამ, სადაც მისი პოლკიც შედიოდა, ბრძოლებით სმოლენსკამდე მიაღწია. შემდეგ კი, შევსების მისაღებად, ტულაში გადაიყვანეს; ახალგაზრდა ექიმი გიორგი ფოფხაძე, მისი ენერგიის, ვაჟკაცობისა და პროფესიული ოსტატობის გამო, უფროსებს ადრეც შემჩნეული ჰყავდათ და ახლა მას არმიის ოფიცერთა კადრების გადასამზადებელი კურსების სამედიცინო სამსახურის უფროსობა შესთავაზეს. იმავე წელს გიორგი ფოფხაძე პარტიის რიგებში მიიღეს. რამდენჯერმე დაწერა განცხადება ფრონტზე წასვლის თაობაზე. ბოლოს, როგორც იქნა, დააკმაყოფილეს მისი თხოვნა და იგი გაგზავნილ იქნა ქვეითი პოლკის მთავარ ექიმად. აქედან მოყოლებული, არ იყო თითქმის არც ერთი დღე, რომ გიორგი ფოფხაძე ფრონტის მოწინავე ხაზზე არ ყოფილიყოს. ბრიანსკის ფრონტი, ბელორუსიის პირველი ფრონტი, ასობით და ათასობით გადარჩენილი საბჭოთა ჯარისკაცისა და მშვიდობიანი მცხოვრების სიცოცხლე, უმაღლესი მთავარსარდლის სამი მადლობა და ბევრი ორდენი და მედალი — ასე წარიმართა ქართველი ექიმისა და მეომრის საბრძოლო გზა, ასე დააფასა სამშობლომ მისი თავდადება და ვაჟკაცობა.

და აი, ბოლოს, ბერლინიც. გვარდიული დივიზია, რომლის ერთ-ერთი პოლკის მთავარ ექიმად მუშაობდა სამედიცინო სამსახურის კაპიტანი გიორგი ფოფხაძე, 30 აპრილს სხვა საბჭოთა ნაწილებთან ერთად, ბრძოლებით შეიჭრა ჰიტლერის „ათასწლიანი იმპერიის“ დედაქალაქში.

ორი დღეა გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს ბერლინის ქუჩებში. ორი დღეა კაპიტანი ფოფხაძეც, როგორც ყოველთვის, რიგითი სანიტარივით ეძებს დაჭრილებს. სწორედ ამ ძებნამ მოიყვანა დღეს დილას ის და მისი ოთხი თანამებრძოლი ამ სახლში. სახლის წინ მოედანზე შორიდანვე შენიშნეს ჩვენი ქვემეხი, რომელიც გააფთრებით უშენდა ცეცხლს მოპირდაპირე ქუჩებს. ბრძოლის გუგუნში არც ესმოდათ მისი ხმა. მაგრამ ხედავდნენ მის მხტომარე ლულას, საიდანაც წამდაუწუმ იფრქვეოდა ცეცხლი და კვამლი, და ადამიანებს, რომლებიც ყოველ გასროლაზე ისევ მისცვივდებოდნენ ხოლმე მას. ეს სახლი იმ ქვემეხის უკან იდგა და შეიძლებოდა ჩვენი დაჭრილები აქ ჰყოლოდათ თავშეფარებული. ამიტომ ფოფხაძე სწორედ აქ შემოუძღვა თავის სანიტრებს. მოსინჯეს ყველა კუთხე-კუნჭული, მაგრამ ვერც ერთ დაჭრილს ვერ მიაგნეს, ალბათ სხვა სანიტრებმა გაიყვანეს ყველა. შენობიდან გამოსულებმა ველარც ის ქვემეხი დაინახეს ადგილზე. სამაგიეროდ, რასაც მათ თვალი მოჰკრეს, მაინცდამაინც დიდ არაფერ სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენდა. მოედანზე ჰიტლერელი მეავტომატეები მორბოდნენ.

— უკან! — შესძახა გიორგიმ და ხუთივე ისევ იმ შენობაში შევარდა, — დაიკავეთ პოზიციები! არც ერთი გერმანელი არ უნდა გავუშვათ ამ სახლის იქით!

ეტყობოდა, ჰიტლერელებს ეს შენობაც ცარიელი ეგონათ, არ ელოდნენ ასეთ ცეცხლს. ათიოდე მათგანი მოპირდაპირე შენობის სარდაფში ჩაცვივდა. სხვებმა არეულად დაიხიეს უკან. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ გადმოვიდნენ იერიშზე.

ისევ აკაკანდნენ ავტომატები, გაისმა ხელყუმბარების გრიალი. მერე კი ჩვენი წითელვარსკვლავიანი ტანკებიც გამოჩნდნენ და მოედანიც და მისი ახლომახლო ქუჩებიც უმალ გაწმენდილ იქნენ.

იმ დღეს გიორგი ფოფხაძეს მაიორის წოდება მიანიჭეს. მერე კი ომიც დამთავრდა. ყველას თავისებურად დაამახსოვრდა ეს დიდებული დღე. გიორგის იმ დღიდან მეხსიერებაში შემორჩა აღმოდებული ქუჩები და სიმღერები, სიმღერები — რუსული, უკრაინული, ქართული, ყაზახური სიმღერები.

1946 წელს გიორგი ფოფხაძე სამშობლოში ჩამოვიდა და აქ განაგრძო მუშაობა ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის უფროს ექიმად. სამი წლის შემდეგ კი იგი გაგზავნილ იქნა შორეულ აღმოსავლეთში, გარნიზონის უფროს ექიმად. როცა ამერიკელმა იმპერიალისტებმა მშვიდობისმოყვარე კორეელ ხალხს თავს მოახვიეს ბინძური ომი, გიორგი ფოფხაძემ კორეაში წასვლის სურვილი გამოთქვა. 1951 წლის მარტში სარდლობამ დააკმაყოფილა მისი სურვილი. ორ წელიწადზე მეტი დაჰყო მან ჩრდილოეთ კორეის არმიაში სამედიცინო კონსულტანტის თანამდებობაზე. 1954 წელს კი თერთმეტი ორდენისა და მედლის კავალერი, სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკი გიორგი ფოფხაძე კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ საქართველოს. აქ იგი კვლავ ერთგულად ემსახურება ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

ამირან კუსრაშვილი

# სიმღერა გულის ფიქრია

ადამიანები ყველაზე ადრე შეიყვარებენ და შეითვისებენ ხოლმე ხელოვნების იმ ფორმას, რომელიც ყველაზე ახლოა მათს სულიერ სამყაროსთან, მისაწვდომი და გასაგებია მათთვის, შეესატყვისება მათს გრძნობასა და გონებას. სწორედ ასეთია სიმღერა.

სიმღერა განუყოფელია ადამიანის სულისაგან, იგი ყველას აღელვებს, ყველას ამღერებს, ყველას ედება და ყველას საკუთრება ხდება.

მღერის ის, ვისაც ბრწყინვალე სმენა და ხმა აქვს და მღერის სრულიად უსმენო და უხმო ადამიანიც. ალბათ თქვენც რამდენჯერ შეხვედრიხართ გულმოდგინე „მომღერალს", რომელსაც, მიუხედავად სათანადო მონაცემების უქონლობისა, მხოლოდ სიმღერისადმი სიყვარული ამღერებს.

ცნობილია, რომ ადამიანი ოდითგანვე სიმღერას იშველიებდა შრომის პროცესში. ქართული „ნადური" სწორედ ამისათვის იყო გამიზნული. ორი-სამი ათეული კაცისაგან შემდგარი ჯგუფი მუშაობისას მღეროდა და მათი სიმღერის ხმები მთებსა და ველებს ეფინებოდა. ეს სიმღერები აღწერილი აქვთ ევროპელ მოგზაურებს — იტალიელ არქანჯელო ლამბერტის და ფრანგ გამბას. მათ საქართველოში ყოფნისას მოუსმენიათ ჩვენი გლეხკაცის „ნადური" და აღფრთოვანებული დარჩენილან.

სიმღერა სტიმული იყო ყველა კეთილი წამოწყების, მისი გამარჯვებისა.

მართლაც ძნელია მოიძებნოს ადამიანი, თუ გნებავთ უკმეხი, მიუკარებელი ხასიათითაც კი, რომ მას რომელიმე სიმღერა არ აღელვებდეს. ბავშვობის ხანიდან მაგონდება ჩემი ერთი მეზობელი. მეტად თავისებური, გულჩათხრობილი, „უსიტყვო" და უთქმელი ადამიანი იყო, მაგრამ როცა იგი სადამოთი მინდვრიდან შინ ბრუნდებოდა, ყოველთვის ერთსა და იმავე სიმღერას ღიღინებდა. ადამიანები თითქმის ყოველთვის სიმღერით იქარვებენ ბოღმას, სიმღერითვე გამოხატავენ სიხარულს. აბა სად გინახავთ ძველი მეგობრების შეხვედრა რაიმე ღირსშესანიშნავი შემთხვევის გამო, რომ მას სიმღერა არ ალამაზებდეს? ყველგან, ყველა ერის ადამიანთა შორის ასე ყოფილა და ასეა დღესაც. ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების გრძელი გზა სავსეა უამრავი მაგალითებით, რომლებიც გვიჩვენებენ თუ რაოდენ ღრმად და ძლიერად მოედებოდა ხოლმე ერის გულს სიმღერის მადლი. ჩვენი მრავალხმიანი, უმდიდრესი შინაარსისა და ფორმის ხალხური სიმღერები, ჭეშმარიტად ღაღადებს ქართველი ერის წარსულის, აწმყოსა და მომავლის სიდიადეზე. როცა მსოფლიო მუსიკალური კულტურის უბრწყინვალესი ოსტატი კომპოზიტორი სტრავინსკი პირველად გაეცნო გურული სიმღერების საოცარ პოლიფონიურ კოლორიტს, აღფრთოვანებული დარჩა. იგი წერდა, რომ ეს ზღაპრული აღმოჩენა იყო მისთვის, და „ამისი მსგავსი მას არასოდეს არაფერი მოუსმენია".

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ტრადიციებს შენარჩუნება და განმტკიცება სჭირდება. ახალგაზრდობა თავიდანვე უნდა დავაინტერესოთ სიმღერით. ბავშვი, ლექსთან, არითმეტიკასა და გეოგრაფიასთან ერთად, სოლფეჯიოს, სიმღერას, მუსიკალურ ანბანსაც უნდა სწავლობდეს; მხოლოდ მაშინ შეძლებს ის თანაბრად აღიქვას და ჩასწვდეს როგორც მშობლიურ ქართულ მუსიკას, ისე ევროპულს და რუსულს. მაშინ იგი არასოდეს არ იტყვის, რომ მისთვის გაუგებარია ვერდის, პუჩინის თუ ჩაიკოვსკის სწორუპოვარი ქმნილებანი.

ეს, ცხადია, არ ითქმის იმათზე, ვისაც თეატრი განსაკუთრებით უყვარს, ვისაც თანდაყოლილი მიდრეკილება აქვს ამ უაღრესად სათუთი ხელოვნებისადმი; ხოლო საერთო მასშტაბებით ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რათა ამაღლებულ იქნას მუსიკალური განათლების დონე. ეს ბიძგს მისცემს ადამიანს სისტემატურად ნახოს საოპერო სპექტაკლები, და ამ გზით კიდევ უფრო გაალრმაოს და გაამდიდროს თავისი ცოდნა, შეიყვაროს და მიუახლოვდეს მუსიკის ზღაპრულ და წარმტაც სამყაროს.



ბათუ კრავეიშვილი

ვისაც ახალგაზრდობაში უსწავლია, ჯაფა დაუხარჯავს, გათვითცნობიერებულა მუსიკის სფეროში, მას ყოველთვის ექნება სულიერი მისწრაფება, მოიგონოს და აღიდგინოს შესწავლილი და შეთვისებული; და თუ ამას ზედ დაერთვის მუსიკისადმი ბუნებრივი მიდრეკილება და სიყვარული, ეს ხომ იდეალური იქნება. მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვეულებრივ მაყურებელს, ოპერის მოსმენისას — იქნება ის „აბესალომ და ეთერი", თუ „აიდა", „კარმენი" თუ „ფალსტაფი" — მისი ნამდვილი გაგებისათვის დასჭირდება აუცილებელი მუსიკალური განათლების დონე. განა ასე არ არის ლიტერატურაშიც: აქ ინტელექტზე არ არის ლაპარაკი, მაგრამ ლიტერატურაში ცუდად გათვითცნობიერებულ ადამიანს „ჰამლეტი" და „ფაუსტი" რომ წააკითხო, მერწმუნეთ, შეიძლება უკმაყოფილოც დარჩეს. ამრიგად, ისე, როგორც ყველა დარგი, საოპერო ხელოვნებაც მოითხოვს, მიდრეკილებასთან, სიყვარულთან ერთად, მაყურებლის განათლებას და საკმარის ცოდნას. თუ წარსულში საოპერო ხელოვნება, მხოლოდ ადამიანთა განსაზღვრული ვიწრო არისტოკრატული ფენებისათვის იყო განკუთვნილი, დღეს, საოპერო თეატრის კარები ღიაა ყველასათვის და ყველას შეუძლია ეზიაროს მას.

საოპერო სპექტაკლების აღქმის სხვადასხვა სიძნელეებთან ერთად საქმე იმითაც რთულდება, რომ ხშირად ამ უაღრესად მაღალი მუსიკალური აზროვნებისა და ემოციური ძაბვის ხელოვნებაში, სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას საშემსრულებლო ოსტატობა. ხშირ შემთხვევაში სწორუპოვარ გმირთა სახეებს საშუალო და კიდევ უფრო დაბალი კვალიფიკაციის მომღერლები ასრულებენ. მათ არ ჰყოფნით ვოკალური მონაცემები, აკლიათ მუსიკალური სიღრმე, ზომიერების გრძნობა, სცენურობა, ვოკალთან ერთად სიტყვიერი მასალის უზადოდ გადმოცემა. მომღერალს სიტყვა ენის წვერზე უნდა აჯდეს და სხარტი ელვარებით აწვდიდეს მაყურებელს; მარტო დიქცია, რა თქმა უნდა, ვერ განსაზღვრავს მომღერლის ოსტატობას, მაგრამ თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ გამოჩენილ, მსოფლიოში აღიარებულ დიდ მომღერალს, რომ მას ბრწყინვალე დიქცია არ ჰქონდეს. ვოკალური ხაზის სწორუპოვრად გამართვა სიტყვიერი ფაქტურის გარეშე, წარმოუდგენელია.

ოპერის მომღერლის დიალოგი პარტნიორთან გასაგები და ლოგიკით სავსე უნდა იყოს მსმენელისათვის, მაგრამ როცა ორი მომღერალი სცენაზე გასაუბრების დროს სულ სხვადასხვა ენებზე ამღერებენ გმირებს, ბუნებრივად იბადება არადამაჯერებელი, გაუბედავი სიმღერა, — აქედან ინტონაციური სიყალბე, სცენური უხერხულობა და ა. შ. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ოპერის მხატვრული თუ იდეური შინაარსის სრულყოფილად გადმოცემაზე ლაპარაკი ზედმეტია. სრულიად სამართლიანია მაყურებლის ჩივილი, რომ მას ხელს უშლის, ეჩოთირება, აბნევს ხმა, რომელიც მთელ სპექტაკლში ყველასაგან განსხვავებით გაუგებარ უცხო ენაზე მღერის (მე არ ვლაპარაკობ გასტროლიორებზე) და წარმოდგენის საერთო სტილიდან მკვეთრად ითიშება. ასეთი აღრევა, ჩემი აზრით, არ შეიძლება ხდებოდეს მაღალი, მუსიკალური ღირსებების მქონე თეატრის სცენაზე.

იტალიური ენა უაღრესად მღერადი ენაა, ამავე დროს, იტალია ვოკალური ხელოვნების აკვანია; ამდენად პირველ ხანებში ახალბედა მომღერალს ხმის სწორად მართვისათვის, შეიძლება მიეცეს საშუალება რამდენიმეჯერ იმღეროს იტალიურ ენაზე, მაგრამ დასში გამუდმებით ამ პრაქტიკის დამკვიდრება დაბლა სწევს, აქვეითებს, როგორც სპექტაკლის ღირსებებს, ისე, ბუნებრივია, თეატრის საერთო მხატვრულ დონესაც. უნდა ითქვას გარკვევით—დამაჯერებლად, ეს ფაქტი მსმენელს ძლიერ უშლის ხელს, არ აძლევს საშუალებას სპექტაკლებში სწორი ორიენტირება მოახდინოს, მის მხატვრულ ღირსებებში გაერკვეს.

ოპერა მეტად რთული ბუნების, მრავალფეროვანი ფაქიზი ხელოვნებაა და, რა თქმა უნდა, მასების ესთეტიკურად აღზრდის დიდად საპატიო საქმეში წამყვანი და გადამწყვეტი როლი უდავოდ მომღერლის ნიჭმა და მისმა შემოქმედებითმა მასშტაბებმა უნდა შეასრულოს. მომღერალი თანაბარი ძალით უნდა ფლობდეს, როგორც ეროვნული მუსიკალური კულტურის ნაირსახეობებს — ხალხურობას, კოლორიტს, ნიშანდობლივ ნიუანსებს, აგრეთვე სოლო სიმღერის კლასიკურ ფორმასაც; სწორედ ასეთი შერწყმის ნიადაგზე, შეიძლება წარმოიშვას ჭეშმარიტი, ყველასათვის გასაგები ხელოვნება. ასეთი სინთეზი ყოველთვის იქნება საწინდარი მომღერლის მრავალმხრივობისა და პოპულარობის მსმენელთა ფართო მასებში.

**ბათუ კრავეიშვილი,**
რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

კარლო კობერიძე

მოთხრობა

# ხმაურიანი გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი დ. ერისთავი.

ბრეზენტიან მანქანაში, შოფრის გვერდით, აულაყუდა ბიჭი იჯდა — მხრებში მოხრილი გასცქეროდა ადუღებულ, ჩაშავებულ ასფალტს და თვალებს ისე მალიმალ ახამხამებდა, შოფერი ფიქრობდა, ბარემ სულ დახუჭოს და ეგ იქნებაო. ერთი თალია დააპირა კიდეც, მოდი, ვკითხავ, საერთოდ, რა ჯანდაბა აქვს ატეხილიო, მაგრამ აღარ უკითხავს — კინაღამ აკვნიდან იცნობდა, იქიდან მოკიდებული სულ ამ დღეში იყო, თითქოს დიდმა სინათლემ მოსჭრა თვალიო.

აულაყუდა ხანდახან მიუბრუნდებოდა ხოლმე შოფერს და რაღაცას ეკითხებოდა. მისი ყოველი შეკითხვა უაზროდ ეჩვენებოდა შოფერს, უსიტყვოდ შეხედავდა, გაუღიმებდა, და ისევ დაძაბული გასცქეროდა გზას — ხშირი მოძრაობა იყო და შიშობდა, ემანდ, ვინმეს არ გავექექოო.

კიდევ ერთი სოფელი დარჩა უკან, გრძელი ხიდი გაიარეს და კაკლის ხეივანიც დაიწყო. ხეივნის ბოლოს წყარო გადმოთქრიალებდა სქელი მილიდან, ბეტონის ნავის მრგვალ ჭრილს ცერად ეცემოდა და შხეფად ედებოდა დაბალ, მკრთალი ორთქლით მოქანავე მიწას.

შოფერმა სვლას უკლო, წყაროსთან მიაყენა მანქანა და აულაყუდას უთხრა:

— ჩავალ, ჰამლეტავ, ვიდრე უარესად ამდუღებია, წყალს ჩავასხამ რადიატორში. აი, ამ პედალს დააჭირე ფეხი, არ ჩაქრეს.

— როდის აქეთ აღარ ადგამ ნაბიჯს უჩემოთა?— გაეღიმა ჰამლეტას და სიჩქარის ბერკეტსა და სკამშუა ძლივს გაატია ფეხი.

შოფერმა ძარაზე ჩამოკიდებული ვედრო ხმაურით ჩამოიღო და სანამ კაბინის კარს მიაჯახუნებდა, მუქარით თქვა:

— არ იქნება ერთი ტალამაში გაგცხო?

— ვაჰ?!

— ვაჰ კი არა, ეგრეა!.. ტარანს რო მარილი მოაყარო, იმასავით მოგიხდება!..

ნავთან ვიღაც გალეული ბიჭი წახრილიყო, ხოტორა თავს უშვერდა წყალს, ერთიანად გალუმპულიყო, შარვლის ტოტებიდანაც წურწურით გასდიოდა წყალი. შოფერი რომ მიუახლოვდა, მაშინ შეტრიალდა, ცხვირზე ჩამოკიდებულ წვეთებს შეუბერა, თავი მკვეთრად გაიქნია:

— რას იტყვი, — უთხრა შოფერს, — თელავამდე გამაყოლებ?

— დაჯექი, მაგრამა ავტობუსი არ გეკადრება?

— ახლა იქ ამომფუფქე სიცხით!

შოფერმა ვედრო შეუდგა წყალს.

— ხალათი მაინც გაიწურე, კაცო, მემრე არ გიანგარიშოს.

— გასაწურად რომ მდომებოდა, რაღაზე გავეყვდებოდი.

რადიატორში წყალი ჩაასხა, ვედრო ისევ ჩამოჰკიდა ძარაზე და კაბინაში ცოცხლად შეხტა. მანქანა დაიძრა თუ არა, ორღობიდან ქერა ბიჭი გამოვარდა და ქლოშინით აებღოტა ძარაზე, გალეულმა ხელი შეაშველა.

შოფერმა სიჩქარე გადართო, პაპიროსს გაჭირვებით მოუკიდა, თან თვალს არ აშორებდა გზას.

— ჰა, ჰამლეტავ, ეს ხვითქი რო გადაგდის, გაგრილება გაწყენდა?

— შენ თუ ილივლივე, აღარც დაგცხება!

— თელავამდე ხო მეყოფა? მეყოფა. იქიდან ალაზნამდე ერთი ამოსუნთქვაა, ტანისამოსიანი ჩავწვები.

ჰამლეტამ არაფერი თქვა. შუბლზე ნაოჭები გაიმრავლა და ცერად მიხედა შოფერს:

— ი ლაწირაკი რატო დასვი მანქანაზე?

— წყაროზე რო იყო?

— ხო.

— ვითომ რა დამიშავა?

— მე ამადულა.

— აგადულა და გაგესწორებინა ანგარიში. ჩემი რა გადასახდელია, თანაც პირველადა ვხედავ!

— არ უნდა დაგესვა!

— შენა, ეგე, კარებს ხო არ მიარტყი თავი? აგადულა და ვერ წაადე?! თუ ტოტები არა გაქ, უნდა ჩაყლაპო! შენ მკვდარს, შვილოსა, მე ვერ ვიტირებ!

— არ უნდა დაგესვა!

— რას აიჩემე „არ უნდა დაგესვა! არ უნდა დაგესვა!“ სხვა არაფერი იცი? დავსვი და, მოვრჩით!...

კაბინაში სისინით იჭრებოდა ცხელი ნიავი.

შოფერს ერთი სიჩქარით მიჰყავდა მანქანა, მშვიდად და აუღელვებლად.

გზის აქეთ-იქით, ხეებისა და სახლების ჩრდილში ხალხი იდგა, მანქანის დანახვაზე მზეში გამოვარდებოდნენ, იხვეწებოდნენ, წაგვიყვანეო, მაგრამ შოფერი არავის აქცევდა ყურადღებას. ხანდახან თავს გაჰყოფდა მანქანიდან და უკანა, გვერდგამოგლეჯილი საბურავის ტყლაშუნს უსმენდა.

— ამ გზას „გაიპარას გზას“ ეძახიან, — თქვა შოფერმა.

— ვიცი, — უხალისოდ ჩაილაპარაკა ჰამლეტამ.

გზა სწორი იყო, დაცემული. მართლაც, ისე ჩანდა შორიდან, თითქოს მიიპარებაო: აქვე, მანქანის წინ, განიერი იყო, შორს კი, სიცხის ბუღში ისე წვრილდებოდა, გეგონება, გაწყდომაზეაო. მიდიოდა გზა და მიიპარებოდა სადღაც, სიღრმეში, ბაღიანი სახლების გასწვრივ.

შრიალით ჩაიქროლა „ვოლგამ“, ზიგზაგებით მიჰქროდა. ისე ახლოს ჩაუარა, ჩადგმულ შოფერს ჭირის ოფლი დაასხდა, აბუზღუნდა:

— ვიღაცაა, მკვდარძაღლი, გადაკრულშია! რა გეჩქარება, შვილო, მოგდევენ? იმიტომ მეჯავრება კვირას გამოსვლა!.. აბა, გაიხედე, რა გალა-გალა მიდი-მოდიან მანქანები! შენ არ წაეჯახები და ვიღაცა ოხერი წაგაწყდება!.. მემრე კიდევ ისა: ყველას რო გავუჩერო, ზედახორას გავმართავ მაღლა! ჭოგჯერ იგეთი ვინმე გამოტყვრება, თუ არ გაუჩერე, უტარო დანასავით დაგკარგავს, — კაკლის ჩრდილში ქალი დაინახა, სვლას უკლო, — ეგე, აჰა, ხსენებაზეო?! ძმაკაცის ცოლია, ჰამლეტავ, მაღლა ასვლა მოგიხდება.

მანქანა გააჩერა. ჰამლეტა უხალისოდ გადმოვიდა კაბინიდან.

— მობრძანდი, რძალო! — დაუძახა შოფერმა.

ქალს ვიწრო კაბა ეცვა და გვერდულად აახიჯა კიბეზე.

— მადლობელი ვარ, — თქვა ქალმა, — ორი საათია, ვდგავარ და ვიხვეწები, მაგრამ არავინ გამიჩერა.

— საით გაგიწევია?

— კურდღელაურში მივდივარ ქმარ-შვილის სანახავად.

შოფერს გაეცინა:

— კაცი რომ მიდიოდეს ცოლ-შვილის სანახავად, გამიგია, ეგ რაღაათ?!

— დედა მყავს ავად და თავზე ვადგავარ.

შოფერს აღარ ეცინებოდა.

— მთელი ორი საათი დამაწყდა მუხლები, არავინ გამიჩერა, — თქვა ქალმა, — ავტობუსებიც გადატვირთულია.

—ყველა ბაზარში როგორ მიდის?! — გაიოცა შოფერმა. — მთელი ხალხი ბაზრისაკენ მიუყაყანობს. აი, იგეთი ოხერი მეზობლები მყავს, მანეთს არ გასესხებენ წამლის ფულად, არადა, ყოველ კვირა ბაზარში გარბიან, თანაც განცხადება აქვთ შეტანილი, მანქანა გვინდაო.

— ყველა მეზობელი ასეთია.

— ასეთია და თავი გვაქვს ჩამოსახრჩობი.

მანქანის ძარაზე ბრაგაბრუგი ატყდა. შოფერმა თავი მიაბრუნა, უკანა მინაში გაიხედა, მერე მანქანა გვერდზე მიაყენა და დაფეთებული გადახტა კაბინიდან. გალეული ბიჭი უკვე დაბლა დახვდა. ჰამლეტას მუშტი მოუღერებინა და იმუქრებოდა:

— უნდა დაგამბილო, მლივო, გუდათ უნდა ამოგიღო!

— მაქედან ნუკი მეჭიკჭიკები, დაბლა ჩამოდი!— ფერი დაკარგოდა გალეულს.

ჰამლეტამ ჩამოსასვლელად გამოიწია, მაგრამ ქერამ ჩაავლო მაჯაში ხელი, ღონივრად მოქაჩა.

— რა ამბავია, გასაყოფი ვერ გაიყავით? — იკითხა შოფერმა.

— რა ვიცი, ქორწილში ამირიეო! ვინ შტერია, მიცნობს, ვიცნობ?! — მხრები აიწურა გალეულმა.

— საკატლეტეთ უნდა დაგკუწო! ვაიმე!—შუბლში ხელი იტკიცა ჰამლეტამ.

— ჰამლეტ, შენი ხმა აღარ გავიგონო! — გაბრაზდა შოფერი, — აქ რო მოხდეს რამე, მე გადამხოტრავენ თავსა. დაჯექი და წყნარად იყავი, — გალეულს მიუბრუნდა შოფერი, — ჩუმათ იყავით!

გალეული შეყოყმანდა.

— ამოდი, ბიჭო, — დაუძახა ქერამ.

შოფერმა ახლა დაინახა ქერა ბიჭი.

— შენ რომელ სასაფლაოდანღა ხარ?!

— გეტყოდი, მაგრამ რომ არ გეცოდინება?

— მაინც საიდან მომელანდე?!

— გაქანებულს შემოვახტი. ხმას ვეღარ მოგაწვდენდი და ქვის სროლა, მართალი გითხრა, მომერიდა...

შოფერი ღიმილით ჩაჯდა კაბინაში.

— რა მოხდა? — ჰკითხა ქალმა.

— არაფერი, ბალღები არიან და უქრით. როგორ არი შოთა?

— საიდან იცნობ ჩემს ქმარს? — გაუხარდა ქალს.

— ბოლო შამადგომაზე ყურძენი მე არ ამოგიტანეთ?

— განა არა, ვიფიქრე, საიდან მეცნობა-მეთქი? როგორა ხარ ცოლ-შვილში?

— რა მიჭირს! თვალი მოგკარი და გიცანი კიდეც.

— მეც არა ვთქვი!..

— კარგა გემრიელად ვიქეიფეთ და ვიკუნტრუშეთ. ბარაქიანი რთველი იყო.

— ნეტაი დედაჩემი იყოს კარგად!..

— უჰ! — მანქანა გააჩერა შოფერმა — დაბლა არ გადმოცვივდნენ ეს რეტიანები! რა ზრიალი გააქვთ, არ გესმის? — გასაღები გამოაძრო და კაბინის კარი მიიჯახუნა.

ჰამლეტასა და გალეულ ბიჭს შორის ქერა ჩამდგარიყო და ძლივს აკავებდა ორივეს. გალეული სკუპით ჩამოხტა:

— გამოუშვი! თვალში ხომ არ ვეცოტავები მაგასა?!

— მოკლედ, აღარ გაჩერდებით? — მოიღუშა შოფერი.

გალეული ბიჭი გაცხარდა:

— ჩემგან რა უნდა, თუ ძმა ხარ? არ მახსოვს, კაცო, პირველათა ვხედავ, ნასვამი არა ვყოფილვარ და მთვრალი? შარია? ხათაბალაა? მომეშვას, კაცო!

— ერთი ჩემი სიძის მანქანა არ იყოს! — კბილები გააკრაჭუნა ჰამლეტამ, — ერთი ჩემი სიძისა არ იყოს!

— კიდეც იმიტომ დაიბოხე ხმა, არა? — გაეცინა გალეულს.

— გამიშვი! — გადაირია ჰამლეტა, — გამიშვი მე მაგისი ავ-კარგი!.. იმ არევას შევარჩენ?!

— მაინც იგეთი რა თქვა? — დაინტერესდა შოფერი.

— ჩემ საცოლეს ეუბნება, ობოლა ბატკანსა გავზარო?! კაცილა ვიქნები, რო შევარჩინო?! ბატკანსა გავხარო, ე?!

გალეულმა ოფლიან შუბლზე ღიმილით გაისვა მაჯა:

— ცუდი ქათინაურია, ვითომ?

—ამას ეძახი, ბიჭო, არევას?! — ხელები გაშალა შოფერმა — მთლად შტერი არა ყოფილა, ეს უპატრონო?!

— გამიშვი, დავამტვრიო! — ჰამლეტამ ხელი ჰკრა ქერას. — გამიშვი მე მააგისი!..

ქერამ ხელი გაუშვა და აჩქარებით ჩამოვიდა მანქანიდან.

— ან დაარტყით, ან თავი დამანებეთ! არ დამაწყდა ხელები? აღარ მინდა, ძმაო, თქვენი მანქანა, ავდგები და ფეხით წავალ! — ქერა ბიჭი შებრუნდა, მანქანას გვერდი აუარა და გაუტია.

—მოიცა! — დაუძახა შოფერმა — შენც დაგეხვივნენ?

ქერა მაშინვე მობრუნდა, ფერი დაჰკარგოდა იმასაც:

— ეს ერთი ხალათი მაქვს, ესეც რომ დამახიონ, შინ ვეღარ დავბრუნდები!

— კარგი, დაწყნარდი, — დაუყვავა შოფერმა,— ჰო, ბიჭებო, ადით ახლა მანქანაზე და, ხალხნი არა ხართ, უცხო ქალს მაინც ეცით პატივი, არ იტყვის, ე რა ნადირებს გადავეყარეო?

— მე რა შუაში ვარ, — თქვა გალეულმა, — ვინც გაღორდა, იმას წაუკითხე მოხსენება.

— ჰამლეტავ, შენი დეიდაშვილის ძეობაზე მივდივართ და ჩაოხრებულ გუნებაზე ნუ დამაყენებ. იცოდე, აღარ გამაჩერო! — თქვა შოფერმა და გასაღებს უსუნა.

— რა ვქნათ, წავყვეთ? — ქერა მიუბრუნდა გალეულს.

— საქმეზე მივდივარ და მა ამ შუა გზაზე ხო არ გავიჩხირები!

ბიჭები ისევ მანქანაზე ალაგდნენ: ჯერ გალეული, მერე — ქერა, ბოლოს — ჰამლეტა.

მანქანა დაიძრა.

— მანქანა რომ მიდის, სიცხეს იმდენად ვერა გრძნობ, — თქვა ქალმა, — ცოტაც და დავიხრჩობოდი. ჩხუბობენ?

— ძიძგილაობენ, რა უნდა ულაპარაკო, ცოლშვილი მაგათ არ აწუხებთ, საქმე, დარდი, ერთი და მეორე. ერთობიან, რა! წიგნი მაგათ არ ახსოვთ და გაზეთი!.. ახლანდელი გამოსაზრდელები... მე აიმ აყლაყუდაზე ვამბობ, თორემა, ის ორნი არც ვიცი, სადაურები ყრიან... მაგრამა ერთი ჯიშის კურდღლები რო არიან, ნაღდათ ეტყობა...

ძარაზე ისევ ატყდა ბრაგაბრუგი. შოფერი გადაირია: მანქანა გვერდზე მიღრიჯა, უცებ დაამუხრუჭა და კაბინიდან გავარდა. გალეული ბიჭი უკვე დაბლა გადმომხტარიყო.

— ჩამოდი! — უყვიროდა ჰამლეტას. — ბარემ გავათაოთ! ამ ხალხს დააწყდა ნერვები და მე რაღა დამემართება! ჩამოეთრიე, შე მათხოვრის ჯოხო!

ჰამლეტამ რაკი დაინახა, შოფერი გაბრაზებულიაო, ხმას დაუწია:

— რო ჩამოვიდე და მიწაზე დაგაკვრევინო თავი, ახი არ იქნება?

—ჩამოდი, — ხელიც დაუქნია შოფერმა, — ჩამოდი, თორემ ამოვალ და გადმოგისვრი!

ჯერ ქერა ჩამოხტა და თქვა:

— იცოდეთ: მიშველება და წაქცეულზე დარტყმა არ იყოს!

— ეგ რა გამაგონე?! — იწყინა შოფერმა.

ჰამლეტამ დამცინავი ღიმილით დახედა ქერას და ძარის კუთხიდან ჩამოაბიჯა მშვიდად.

— ეგრე რა, შე კაი კაცო! — ქამარი გაიჭირა გალეულმა, — ორიოდე წავუთაქოთ ერთმანეთს, რაც მალე წავუთაქებთ, უფრო მალე ავალთ თელავში!

— ნეტა რისი იმედი გაქ, შე წვინტლიანო?

— ეგ კითხვა მემრითვინ გადავდოთ.

— თუ გატაკე თვალებში! — ჰამლეტამ ორი თითი გაუქანა. გალეულმა მარცხენა ხელი აუკრა, მარჯვენა კი გამეტებით შემოჰკრა ყბაში. ჰამლეტა ჩაიკეცა. მერე სწრაფად წამოიმართა და გალეულმაც ისევ შემოჰკრა. ახლა კი წაიქცა ჰამლეტა. ქალი მანქანიდან გამოსულიყო და გაკვირვებული მისჩერებოდა მოჩხუბრებს. ქერა ბიჭი იღიმებოდა, შოფერი კი სინანულით აქნევდა თავს და ნერვიულად ისრესდა ხელებს.

ჰამლეტა წამოდგა, უკან-უკან, თხრილისაკენ დაიწია და... ქვას დასწვდა. ქერა შეშინებული აეკრა მანქანას, ქალმა შეჰკივლა. გალეული ბიჭი კი არც გატოკებულა, თვალებში მისჩერებოდა მოწინააღმდეგეს.

— არ დაარტყა! — უყვირა შოფერმა და გალეულ ბიჭს ჩამოეფარა, — არ დაარტყა! დააგდე ქვა!

ჰამლეტა, თითქოს არაფერი გაუგონიაო, მაინც დასარტყმელად იწევდა. გარშემო ურბენდა შოფერს. შოფერი კი მთელი სხეულით ეფარებოდა გალეულს.

— ქვა გადააგდე, ჰამლეტავ! სულ ეგა ხარ, ბიჭო?

— მოვკლავ, მაგ შობელძაღლს!

ქვა დასარტყმელად რომ მოიქნია და ქალმა თვალებზე აიფარა ხელი, შოფერი ჰამლეტას მაჯაში სწვდა, გადაუგრიხა და დააგდებინა ქვა.

— შენიდან თუ კაცი გამოვა, მაგასაც ვიკითხავ! — თან ხელი ჰკრა და თხრილისაკენ გაარაცრაცა, — ადით, ბიჭებო, მანქანაზე, — გალეულსა და ქერას მოუტრიალდა, — ადით!

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ადით, რომ გეუბნებიან!

მაშინვე აცვივდნენ. ჰამლეტა გაოგნებული იდგა და ყბაზე ისვამდა ხელს.

შოფერმა კაბინის კარი რომ გამოაღო, ქალი უკვე იქ დახვდა. ჯერ ნელა წაიყვანა მანქანა, მერე ერთბაშად გადააგდო მესამე სიჩქარეში.



# მამა

## მოთხრობა

### გიორგი პაპუაშვილი

ტრამვაიში ჭარმაგი კაცი ამოვიდა, რაღაც ცელის ტარის მსგავსი გრძელი საგანი კუთხეში მიაყუდა და უკან, ბაქანთან გაჩერდა. გვერდიდან ვიღაც ახალგაზრდა კაცი შეეხმიანა.

— შაქრო, შენა?! — შესძახა ჭარმაგმა და სიხარულით სახეგაბადრულმა ხელი გაუწოდა.

— მე ვარ, ძია ქიტეს, — ხელი ჩამოართვა ახალგაზრდამ, — სხვაფრივ როგორ გიკითხოთ? ხომ კარგად ბრძანდებით?

— კარგად. სოფელში რა ამბავია?

— წვიმებია.

— წვიმებია, არა? აბა, მაშ ვერ იმუშავებთ მინდორში!

— ვერ ვმუშაობთ. ლაფობს.

— ლაფობს, არა?

— ლაფობს... დათესვა კი მოვასწარით, მაგრამ...

— კარგია, მოგისწვრიათ. ბიჭი რას შვრება? თივა და შეშა თუ მოიმარაგეთ?

— ყველაფერი მოვიმარაგეთ. პური და ღვინოც საკმაოდ გვაქვს. შენ მარტო ჩამოსვლა მოახერხე და პურ-მარილი ჩვენზე იყოს.

ჭარმაგმა კაცმა კეფა მოიფხანა.

— ვეღარ მოვახერხე ეს ოხერი... ჩემი ბიჭი რასა საქმიანობს?

— წვიმებია და რას გააკეთებს?.. ტრაქტორიც გაარემონტა და ისვენებს.

— იცი, რა? მოდი უთხარ! ე, ხომ მაინც ვერ ხნავ და სამი დღით ჩემთან ჩამოდი-თქო.

— ჩამოვა.

— ვიცი, ჩამოვა. მე სამუშაოდან არ მიშვებენ და შენ ჩამოდი-თქო.

— ვეტყვი.

— უეჭველად უთხარი, აი.

— უეჭველად ვეტყვი.

— ჩემი ბრალი არაფერია... — ღრმად ამოიოხრა ჭარმაგმა, — რა ვქნა, შვილო, ხუთი წელი ვიგლოვე დედამისი და მეტი ვეღარ შევძელ. კაცი ვარ, მოვლა მინდა... ოჯახში თუ ქალის ხელი და თვალი არა ტრიალებს, ის ოჯახი არ არის, — მერე უფრო დაუწია ხმას, მხარი იბრუნა, ტრამვაის უკანა ვაგონისკენ გაიხედა და ისე განაგრძო: — სანამ არ დავაბინავე და ცოლი არ შევრთე, არაფერი მიფიქრია ჩემზე, მეგონა, პატარძალს მოვიყვან და ის მოგვხედავს-მეთქი, მაგრამ მისი შიშით პირსაწმენდი ვერ მეხმარა: აჭუჭყიანებო. შე კაი კაცო, თუ აქამდე არ ვაჭუჭყიანებდი, ახლა რაღა დამემართა, მაგრამ ეჰ... ჩამოდი, ცოტაოდენი ფული დამიგროვდა და უნდა მოგალონივრო-თქო, სხვა ეკიდება სხვასა და მე ხომ მამა ვარ.

— ჩამოვა.

— ვიცი, ჩამოვა. ავი ქალი მაინც იყოს ეს საცოდავი. ჩვენზეა გადამკვდარი. ჩემს შვილს თავის შვილივით იფიცავს, თავი არ მომიკვდება. რასაც ვიშოვით და ვიპოვით, ყველაფერს ინახავს, ჩვენს შვილს გამოადგებაო. იმას კი აუტეხია, დედინაცვალი და დედინაცვალიო.

— მერე რა მოხდა, შე კაი კაცო, დედინაცვლები ვიცი, რომ დედაში ვერ გამოარჩევ.

— გიშველა ღმერთმა. მეც მანდა ვარ. თავი არ მომიკვდება, ჩემი დედაკაციც ასეთია, მაგრამ დედინაცვალიაო და... მეც ავდექი და გამოვერიდე. აესე ცარიელ-ტარიელი წამოვედი, — გულზე ხელები ჩამოისვა კაცმა, — თითზე გადასახვევი არაფერი წამომიღია... ჩემი ოჯახიდან წამოვედი, ღვთისნიერო, მეტი რა გინდა. ჩემი ძველი ხელობა — მჭედლობა გავიხსენე და ქარხანაში დავიწყე მუშაობა. გინდა დაიჯერე და გინდა არა, ორას მანეთს ვიღებ თვეში. ბინაც ქარხანამ მომცა და ჩემთვის ყველაფერი მოვაწყე. დედაკაციც დამლაგებლად მუშაობს და იოლას მივდივართ. ცოტა-ცოტას ვაგროვებ კიდეც — შავი დღისთვის. ისე რომ... გაქცევა არსად დამეკარგება, თუ ჩაჭირდა. ჩემთვის ცოტაოდენი ვიშოვნე და არაფრისა არ მეშინია.

— ჩამოვა.

— უთხარ, ჩამოდი, ლუდი უნდა დაგალევინო-თქო. ვიცი, თვითონაც არაფერი უჭირს, მაგრამ...

— ვეტყვი... ლუდს ღვინო არა სჯობია? მირონივით ღვინო დააყენა. შენი ჩამოსვლაც არ იქნება ურიგო.

— განა ვერ ჩამოვიდოდი, მაგრამ... — კეფა მოიფხანა ჭარმაგმა და სათქმელი გააჭიანურა: — რა ვიცი... აი, ამ დედაკაცს ვერ იტანს: დედაჩემის ადგილზე სხვა არ შემიძლია დავინახოო. პატარძალს კიდევ არც დედაკაცი ეპიტნავება და არც მე ვუზივარ თვალში... უთხარ, თვითონ ჩამოვიდეს. ძალიან შეგეხვეწა-თქო.

— უეჭველად ვეტყვი.

ტრამვაიმ სვლა შეანელა. კაცი კიბისკენ წავიდა და ჩასვლისას ერთხელ კიდევ მიიხედა ახალგაზრდისაკენ.

— ძალიან შემოგეხვეწა-თქო.

— ვეტყვი.

კაცი ვაგონიდან ჩავიდა. ორიოდე ნაბიჯი გადადგა და იქვე გაჩერდა, გრძელი საგანი ძირს დააბჯინა და ისევ ტრამვაისკენ მოიხედა.

— არ დაგავიწყდეს, აი!

— არა, არ დამავიწყდება.

ტრამვაი დაიძრა.

— წვიმაში ბევრ რამეს მაინც ვერ გააკეთებ და უეჭველად ჩამომიარე-თქო!

ახალგაზრდამ თავი დაუქნია.

კიდევ რაღაც შემოუძახა კაცმა დაძრულ ტრამვაის, მაგრამ ჩვენს ყურამდე ვეღარ მოაღწია. მერე ის გრძელი საგანი მხარზე გაიდო და გარდიგარდმო გადასჭრა ქუჩა.

# მაისის ერთი დღე

## ეტიუდი

ავტომანქანა მთელი სისწრაფით მიქრის სველ ასფალტზე. სადგურიდან იმ სოფლამდე კიდევ გრძელი გზაა.

ლევანს თავი ჩაუქინდრავს, ლიას მიყრდნობია მხარზე. თვლემს, ვერც გაამტყუნებ. წუხანდელი უძილოა. მერე და როგორი სამსახური აქვს, ერთ წუთს თავს ვერ ანებებს, საამქროს უფროსია და...

მატარებელშიც თვლემდა, აქაც. ჯუმბერი კი გიტარას აწვალებს.

გურამი და გია ფეხზე დგანან, კაბინის უკანა კედელს მიყრდნობილნი, წინ იცქირებიან...

ლიას გარდა, კიდევ ორი ქალიშვილი ზის მანქანაში.

აგერ უკვე მეხუთედ მიდიან, ასეა ყოველი წლის მაისში. ნეტავ კიდევ რამდენ მაისს განმეორდება ასე!

— ჩვენი ჩასვლა გაეხარდება დეიდა თამარას!— თქვა ნანამ.

— ჰო... — უაზროდ დაუდასტურა ჯუმბერმა.

დეიდას სახლი შორიდანვე ჩანს, გარეთ ჭიშკართან ზის დეიდა. იცის, რომ სტუმრები დღეს ჩამოვლენ. შარშანაც ასე იცდიდა, შარშანწინაც.

დაინახა მოახლოებული მანქანა, წამოდგა.

არ გაჰკვირვებია სტუმრები, გაეხარდა კი.

წინ შემოეგებათ, რიგრიგობით ჩაიკრა გულში ჩამოსულები.

ეზოს შიგნიდან ნაცრისფერი ნაგაზი წამოვიდა და ჭიშკართან შეჯგუფებულ სტუმრებს ფეხებთან წამოუწვათ.

სიტყვაძვირნი არიან სტუმრები. არაფერს ეუბნებიან გოგონები დეიდას, მარტო თვალებში უცქერიან და თვითონაც ცრემლით ენამებათ წამწამები.

ბიჭები?

ბიჭები დინჯი ნაბიჯებით დადიან ეზოში, პაპიროსს აბოლებენ. მკერდგაღეღილები, ჯიბეშიხელჩაწყობილი შესცქერიან ფართოაივნიან სახლს.

მერე ყველამ აივანზე მოიყარა თავი. ყველა მოიკითხა დეიდამ — როგორ არის ნანას დედა ოპერაციის შემდეგ, ლევანის ბავშვი ალბათ უკვე დადის... ხოლო ეს ქალიშვილები რაღას უცდიან? არც ერთი არ გათხოვილხართ? წელსაც არაფერს ფიქრობთ?

მერე სოფლის გზაზე მიდიან. ნაწვიმარზე მწვანეს საოცარი სურნელი ასდის. შემხვედრნი მდუმარედ ესალმებიან ჩამოსულებს. იცნობენ ისინიც.

სიჩუმეა სასაფლაოზე.

ბიჭები მდუმარედ დგანან, პაპიროსს ეწევიან, დეიდა თამარი საფლავს დასტრიალებს, ქოჩორივით უსწორებს ყვავილების ბულულს.

სალამოთი სუფრა იშლება ფართო აივანზე. ასე უყვარდა ბადრის. უკვდავი ეგონა თავი. ექიმებმაც ვეღარაფერი უშველეს დამსხვრეულ ჭაბუკს... ან როგორ დაჰყვა სული იმხელა ხევში?!.

ჰო, ხუთი წლის წინათაც ამ აივანზე იყო გაშლილი სუფრა.

ბიჭები ქალიშვილების პირისპირ ისხდნენ, ახლაც ასეა.

დეიდა ისევ ისე ფუსფუსებს. ისევ ისე გულუხვობს.

ნათურას პეპლები ეხვევიან.

— მიირთვით, შვილებო!

გურამი უფროსია, საერთოდ უფროსია თავის მეგობართა წრეში, ჭიქას იღებს ხელში. ყველანი ფეხზე ადგნენ.

ნელა დასხდნენ ისე, რომ ერთხელაც არ დაუკვნესია სკამს. ნათურას მოფარფატე პეპლები მიეკვრნენ, ასევე დარჩნენ.

ჯუმბერმა გიტარა აიღო.

— ნანა!

— არ შემიძლია, ჯუმბერ!

— არც მე, მაგრამ...

— შენ, ნაზი!

ხმის კანკალით იწყება სიმღერა. დეიდას ცრემლი აუელვარდა ღრმად ჩაკარგულ თვალებში. ლია ცხვირსახოცს იშველიებს.

— ბადრის უყვარდა ეგ სიმღერა!

— ჩვენ ყველას გვიყვარდა ბადრი, ახლაც გვიყვარს.

სადღაც მამლებმა იყივლეს. დიდი დრო გასულა.

— ნუთუ ვერ შევამჩნიეთ?!

რამაზ კერესელიძე



პაპა და შვილიშვილი.

ამბობენ: დრო ყოველგვარი ტკივილის გამქარვებელიაო, უმეტეს შემთხვევაში ეს ასეა, მაგრამ არაიშვიათად პირიქითაც ხდება და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხალხი, ერი თავის უგულითადეს მესიტყვეს ეთხოვება სამუდამოდ. ამ შემთხვევაში მის გულში ისადგურებს მწუხარება, რომლის მტანჯველი ძალა დროთა მსვლელობაში კი არ ნელდება, არამედ ხშირად უფრო მწვავდება და ღრმავდება. ეს ნათლად დაადასტურა გიორგი ლეონიძის გარდაცვალებამ, იმ დიდი ადამიანის უდროოდ დაკარგვამ, რომელიც ნამდვილად იყო ვეფხვი სულისა, ვეფხვი პოეზიისა. მისი ეს თვისება ყველაზე ადრე იგრძნო უკვდავმა ვაჟამ, რომელსაც გ. ლეონიძის პირველი ლექსის წაკითხვისთანავე წამოუძახნია თურმე: „ამ ბალღს ვეფხვის მომავალი აქვს! იგი ვეფხვი იქნება, ვეფხვიო!“

მეოცე საუკუნის მიჯნაზე დაბადებული პოეტი, თითქმის ორმოცდაათი წელიწადი ემსახურა თავისი მრავალმხრივი ნიჭით ჩვენს ქვეყანას. ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე მან თავისი გაუბზარავი და სუფთა ახალგაზრდული ხმითა და თავდავიწყებით უმღერა ქართველ ხალხს, მის ნათელ გონებასა და უტეხ ნებისყოფას, საქართველოს განუმეორებელ სილამაზეს, ადამიანთა საყოველთაო ბედნიერებას.

ცნობილია, რომ სულით ყოველ სრულსა და ჯანსაღ შემოქმედს მუდამ აწევს გულზე სამშობლოს ბედი. ყოველ ჭეშმარიტ პოეტს ღრმად აქვს შეგნებული თავისი სისხლხორცეული ნათესაობა, სისხლხორცეული კავშირი სამშობლოსთან, რომლის „თაფლის წყაროებიდან, მუზათ ბაღებში და ველ-მინდვრებზე კრეფს იგი სიმღერებს“ თავისი ქვეყნისა და ხალხის სადიდებლად.

გ. ლეონიძის პოეზიას მშობელ მიწაში ედგა ფესვები, ისე როგორც „წყალში დგას წნორის ძირები“. პოეტს ახარებდა და ეამაყებოდა, რომ მისი შემოქმედების წყაროსა და შინაარსს შეადგენდა „ქართველი ხალხის ცხოვრება, როგორც მისი წარსული, ისე დღევანდელი დღე და მომავალი“.

თქმა არ უნდა, ეს პატრიოტული ხასიათი ანიჭებდა და ანიჭებს უჩვეულო ძალასა და მომხიბვლელობას „ოქროს მდნობელი“ პოეტის სიტყვას, რომლითაც მან გულწრფელად უმღერა საქართველოს, მის „თვითეული ხის შტოს“. სწორედ ეს ხასიათი უნარჩუნებდა გ. ლეონიძის პოეზიას ამოუწურავ სინედლეს, ადამიანთა გრძნობების დამატყვევებელ ლირიკულ სითბოს, საოცარ მიმზიდველობას და სამუდამო ბინასაც აკუთვნებდა მას ხალხის გულში.

სამშობლოსა და ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებაში პოულობდა გ. ლეონიძე სიცოცხლის აზრს, მის ჭეშმარიტ სილამაზეს და ამით შთაგონებული მიმართავდა და ეფიცებოდა თავის ქვეყანას, რომ „შენი გულისთვის სიკვდილს ვარჩევ-

# [illegible] პოეზიისა

### ვლადიმერ ზამბახიძე

დე, ვიბრძოლო შენთვის და ვიმარჯვებდე, აი ნამდვილი ბედნიერება“.

ეს კეთილშობილი სურვილი იყო და რჩება გ. ლეონიძის პოეზიის ფილოსოფიურ და ზნეობრივ არსად, რომელსაც პოეტი მუდამ ვაჟკაცურად ემსახურებოდა თავისი მრავალფეროვანი მოღვაწეობითა და შემოქმედებით.

გ. ლეონიძე ქართული სიტყვის გახელებული ტრფიალი იყო მუდამ. თავისი უკვდავი სულიერი წინაპრის, სულხან-საბას მსგავსად, იგი „სიტყვას ქართულს სამკურნალო ბალახებივით კრეფდა ხალხში“ და თვითონვე ძერწავდა და აჩუქურთმებდა მათ, რათა ამ სიტყვით აეწყო და აეჟღერებია „დიდი ჩანგი, სამშობლოსადმი ტრფობის მტყორცნელი“.

ამ ჩანგით ადიდებდა პოეტი მუდამ საბჭოთა საქართველოს, მის მშრომელ ხალხს, ერის შემოქმედებითს ძალასა და წვას. ამიტომ, რასაც არ უგალობდა გ. ლეონიძე, თბილისსა თუ კახეთს, ბახტრიონსა თუ საინგილოს, ქართლის შავფხასა თუ რუსთავს ნადუღარ ფოლადს, აჭარის ცას თუ „ლექსში გამჯდარ კახურ მზეს“, „გურიის წითელ ვარდს“, თუ „ძველ ვარადას“, ჭყონდიდის მუხას თუ ლეჩხუმის წყაროთა ვერცხლს, ხევსურეთსა თუ ფშავის ხევს, რიონისა და ალაზნის ველებსა, თუ სამშობლოს მთებს, გოლიათებს, რომლებსაც „გოლგოთის ღამეები უთენებიათ“ წარსულში, ყველა ამაში არსებითად პოეტის მიერ საქართველოსადმი მიძღვნილი ჰიმნი გაისმოდა და იგრძნობოდა ცხადად. ეს ერთიანი პატრიოტული გრძნობა იყო, რომ მგოსნის ლექსს ჩვენი გონების დამატყვევებელ ძალას ანიჭებდა წარსულში და ანიჭებს ახლაც და თანაც „ზოგ მთვლემარე სულში აღმაფრენის სუ-ცილს აღვიძებს“. ეს გრძნობა ამოძრავებდა გ. ლეონიძის პოეტურ ნებისყოფას და ძალღონეს მატებდა მის დაუშრეტელ შემოქმედებას. მგოსანი მასში პოულობდა სიცოცხლის ყველაზე დიდებულ ყვავილობას, მის უმაღლეს განვითარებას, „უპირატეს სიცოცხლეს“, როგორც დიდი ილია იტყოდა ხოლმე, და „ვარსკვლავთ შემგროვებ“ პოეტს სწორედ ამ დაუძლეველმა და ნათელმა გრძნობამ მიამართვინა ასე მგზნებარედ თავისი ქვეყნისადმი:

**მწამხარ, მიყვარხარ, — დიდი ლოტბარი,**
**მწამხარ, შენთვის ვარ სიტყვა გამტკბარი!**
**ჩემო მამულო, — თაფლო და ვარდო, —**
**ზღვით შეცვარულო, მზით გასირმულო, —**
**მარად ვეფხურო, ლაღად ირმულო!**

ეს ერთიანი პატრიოტული ხალხური სული იგრძნობა, როგორც ზემოთ ვთქვით, გ. ლეონიძის თითქმის ყველა ლექსში, მაგრამ უფრო მკაფიოდ გამოკრთის იგი პოეზიის იმ უეჭვო შედევრებში, რომლებშიც სიტყვის ოსტატი „ხმაში ვეფხვის ძალით“ ადიდებდა საქართველოს „გულის ფეოქვას“, მისი „ბრწყინვალების აკვანს“, ჭაღარა, მაგრამ უბერებელ თბილისს, დედაქალაქს, რომლის კარიბჭესთან ქართველი ხალხი უთვალავჯერ „ხმლით სიკვდილს შეგებებია“.

გ. ლეონიძის პოეტური სამყაროს ნამდვილი მშვენება იყო და არის „აფრენილი ხოხბის ქალაქისადმი“ მიძღვნილი მრავალი მისი ლირიკული და ეპიკური ქმნილება, რომლებშიაც ამ უძველესი ციხესიმაგრის „უბის შვილად“, მის „ყელჭრელ სტვირად“ შეიგრძნობდა თავს დიდი პოეტი და ამ გრძნობამ აამღერა იგი თბილისისადმი სიყვარულით.

გაუგონრად მწარე იყო წარსულში საქართველოს დედაქალაქის ხვედრი. გადამწვარი ნასახლარების, შემოსეულ ჯალათთა ურდოების მიერ „კალოზე გალეწილ ბავშვთა ქღივილის“, საფლავად გამზადებული ციხე-გალავნის თხრილების, ხანძრის კვამლში აბლავლებული ხარების, ქერქებგახდილი ხეების ამაჟრჟოლებელი სურათებით წარმოგვიდგენდა პოეტი ჩვენი ქვეყნისა და მისი დედაქალაქის წარსულ საშინელებებს, თუმცა იქვე უპირისპირებდა მათ ახალ, სოციალისტური ცხოვრების შუქით განათებულ თანამედროვე თბილისს, მის ახლანდელ განთიადს, განთიადს „გორგასლის ქალაქისა“, რომელსაც ჩვენს დროში „მცხეთამდე გააქვს თავისი მხარგაშლილობა“

ცნობილია, რომ რა რიგ მდიდარი და წარმტაციც არ უნდა იყოს ადამიანის შინაგანი ცხოვრება, როგორ ცხელ წყაროდაც არ უნდა ჩქეფდეს ეს ცხოვრება, სინამდვილის სურათი მაინც არ შეიძლება სრული იქნეს, თუ ის არ ითვისებს გარემომცველი ქვეყნის, საზოგადოების, კაცობრიობის ინტერესებს.

ამ საკაცობრიო ინტერესებს შეიცავს გ. ლეონიძის დიდი ჰუმანისტური პოეზია, მწერლის ნაირფერი და საოცრად ფართო, სახალხო მოღვაწეობა. ამის გამოა, რომ პოეტის ულამაზესი სიყვარული სამშობლოსადმი მჭიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა პატრიოტიზმის დიდ გრძნობასთან, რომელიც საბჭოთა ხალხების, მსოფლიოს მშრომელთა ძმური ერთობისა და მეგობრობის პოხიერ ნიადაგზე ხარობს და თვალის მომჭრელად ჰყვავის. პოეტისათვის „ხალხთა სალამი“, სიყვარულის „ხმა შენაზიარი“ ის ფოლადია, რომელიც მის „ლექსს ავაჟკაცებს“. ამიტომაა, რომ მეგობრობის მაღალი და წმინდა გრძნობით დამთვრალი გაიმღეროდა მგოსანი — „მთვრალი ვარ ძმური სიყვარულითა, როგორც მაისის მიწა მწვანითა“.

ჯანსაღი და ოპტიმისტური იყო პოეტის ეს განწყობილება, რომელიც გ. ლეონიძის ერთი ცალ-



**— აი ჩემი კლასი. (გ. ლეონიძე 38-ე საშუალო სკოლაში. ძველად აქ იყო სასულიერო სასწავლებელი).**

კეული ლექსის თავისებურებას როდი წარმოადგენდა. ოპტიმიზმის ნათელი აცისკროვნებდა გ. ლეონიძის, ქართული ლექსის ამ ოქროპირის, მთელ პოეზიას და იმ ლექსებსაც კი, რომლებშიც ხალხების, კერძოდ ქართველი ხალხის, მის დიდ წინაპართა ცხოვრების ტრაგიკული დღეები იყო მხატვრულად წარმოსახული.

საუკუნეთა მანძილზე იცავდა ჩვენი ხალხი ურიცხვი მტრის შემოსევისაგან თავის არსებობას, ნივთიერ და სულიერ კულტურას, უმდიდრეს დედაენას. ამ ბრძოლაში ეხმარებოდა მას არა მარტო საყოველთაოდ ცნობილი უდიდესი ვაჟკაცობა და განმაცვიფრებელი თავგანწირვა, თოფი და ხმალი, არამედ ერის გენიით შექმნილი სულიერი იარაღიც, დიდი შინაგანი რწმენა.

სამუდამოდ დასამარდა ჩვენი ქვეყნის ბნელი წარსული და პოეტის სიტყვებით, „თვითონ ხალხის მზე გადაფოთლილა ახალი თესლის ასამწვანებლად". გ. ლეონიძეს სიხარულით ავსებდა „ჩვენი დიდი დროება", როდესაც „ისევ აღმსდგარა მკვდრეთით ილია და მუხაც ისევ შეფოთლილია". ამიტომ გაიძახოდა იგი ასეთი აღტაცებითა და გულისძგერით:

**ნუ დამაძინებ, ვარ ბედნიერი,**
**ვივიწყებ სიკვდილს, ნანგრევს ვერ ვხედავ,**
**მღერის ფაზელი, ცხუმ-ბედიელი,**
**ახლად გუგუნებს არმაზი — მცხეთა.**

სიყვარულისა და სიკეთის გრძნობით იყო აღვსილი პოეტ  განუმეორებელი ბუნება მთლიანად, მისი სულის ყოველი ნაჭერი, ამის მოწმეა არა მარტო მგოსნის ღვთაებრივი ლირიკა, არამედ მისი ჭეშმარიტად მხატვრული პროზაც.

როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ვაჟა იყო გ. ლეონიძის პოეტური მიმრქმელი, ვინც ჩვენს მგოსანს დაანათლა ყველა თავისი მაღალადამიანური თვისება, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ მართლაც მომჯადოებელ ჯილად ადგა მის პიროვნებას.

ვაჟა ხომ არა მარტო დიდი პოეტი იყო, არამედ დიდი და განუზომელი ჰუმანისტიც და მგოსნის ეს ჰუმანიზმი თავის უმშვენიერეს გამოხატულებას პოვებდა ადამიანისადმი სიბრალულის არა უბრალო, ჩვეულებრივ განცდაში, არამედ ჩაგრულის ბედისადმი იმ მაღალ ზნეობრივ თანაზიარობაში, რომელიც, ჩვენი აზრით, წარმოადგენდა თავისებურ სახეს მისი კოსმიური ჰუმანურობისა. სწორედ ამას გულისხმობდა პოეტური სიტყვის ჩვენი წინაპარი დიდოსტატი, როდესაც საქვეყნოდ აღიარებდა: „...მე რომ არ მიყვარდეს და არ მებრალებოდეს ვინმე, თავს არ ვიცოცხლებდი და ვგონებ შენც (მიმართავდა მკითხველს — ვ. ზ.) დამეთანხმები, რომ არც სასიცოცხლო ვიქნებოდი... ეს გრძნობა სიბრალულისა მ ტ ა ნ ჯ ა ვ ს კიდეც, მაგრამ დიდადაც მ ა ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ს (ხაზი ჩვენია — ვ. ზ.), — მასიამოვნებს ის, რომ ამ საბრალო არსების ცხოვრება ოღონდ კი გავაუკეთესო და სიცოცხლე არაფერია ჩემთვის; იმის გულისთვის სიკვდილი სასიამოვნო, საამაყო, თავმოსაწონებელია ჩემთვის". სულ მოკლედ რომ ითქვას, ვაჟას ეთიკური შეხედულებანი თვით მან სრულად გამოხატა თავისივე იმ სიტყვებით, რომ „სანამა ვცოცხლობ გულში მაქვს, კეთილსა ვყვანდე ზიარადო".

კეთილის მოზიარედ შეიგრძნობა მკითხველის მიერ გ. ლეონიძის პიროვნებაც მთელ მის შემოქმედებაში და კერძოდ და ხაზგასმულად მის დიდებულ ლირიკულ პროზაში, დაუვიწყარ მოთხრობებსა და ნოველებში. დიდი ლირიზმი იგრძნობა ამ კრებულში მისი მიძღვნიდანვე დაწყებული, რომელსაც სათაურად ამშვენებს უმაღლესი, უუწმინდესი, უკეთილშობილესი სიტყვა „დედას". პოეტის იმ სიტყვათა შორის, რომელიც ადამიანებს ეკუთვნით, ყველაზე დიდი ზნეობრივი და ესთეტიკური ტევადობისაა სიტყვა „დედა" და ყვავილთა შორის „ია", რომელიც, პოეტის ფანტაზიით, იასავით სპეტაკი დედის ცრემლებით არის მორწყული. ამ ერთგვერდიან, მაგრამ ემოციურად საოცრად „დატენილ" მიძღვნას მოსდევს მწერლის ის ნაამბობი, რომელშიც პოეტი ამ დედის მიერვე გამოწრთობილ კაცობას, მამულისა და შრომის სიყვარულს აგვიწერს განუმეორებლად.

შრომის მოსიყვარულედ ზრდიდა წარსულში და ზრდის დღესაც ყოველი დედა თავის პირმშოს, მაგრამ განა ყოველთვის ბედნიერების პირობას წარმოადგენდა იგი ადამიანისათვის? არა და არა, ამბობდა მწერალი და ამის დამადასტურებელი იყო წარსულის ცხოვრებიდან აღებული ის დაუვიწყარი სურათი, რომლისთვისაც „ნატვრის ხე" დაურქმევია გ. ლეონიძეს. ეს მოთხრობა, რომლის სიუჟეტი თითქმის მოარულია, ხოლო თემატურად განსაკუთრებით ემსგავსება დოსტოევსკის მძიმე, ტრაგიკულ ნოველას სახელწოდებით „ყმაწვილი ქრისტეს ნაძვის ხის სტუმრად", გადმოგვცემს ამბავს იმ ნაზი გულის და ცხარედ მეოცნებე ელიოზის შესახებ, რომლის სულში მშიერი ცხოვრების სისასტიკეს ვერ ჩაექრო ოცნების ნაპერწკალი და თავისივე შეთხზულ უცნაურ ოცნებას შეეწირა, როცა ნატვრის ხის ძიებაში ამ ხის ქვეშ გაყინულიყო.

პოეტურ ოცნებას შეეწირა საწყალი ელიოზი, რადგან, მწერლის სიტყვით, პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან, პოეტური თვალით, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე.

ეს პოეტური თვალი, ხედვა, გულისცემა ამშვენებს გ. ლეონიძის ყოველ მოთხრობას, ამ მოთხრობების თითქმის ყველა გმირს. განა შრომის პოეტი არ იყო მოხუცი გუთნისდედა ნინია, თავისი პურისა და ხვავის მადლიერმა ოცი წლისამ რომ აიღო გუთანი ხელში, რათა სიკვდილამდე ეპურებინა ხალხი?

სიკეთისა და სიყვარულის გრძნობით იყო აღსავსე ამ პოეტური ბუნების ადამიანთა გულები. სიყვარულის ეს ძალა განსაკუთრებული დამაჯერებლობით მოჩანს იმ შესანიშნავ ნოველაში „ჩირიკი და ჩიკოტელა", რომელშიაც შვილიშვილის პატარა ფრთებით მოტანილმა სიყვარულმა აჯობა ორი ბაბუის შორის ჩამოვარდნილ უნიადაგო უსიამოვნებას და თავისი „ფუნჩულა თათებით" საბოლოოდ სამარე გაუთხარა ორი ადამიანის მტრობას.

სიცოცხლის უკვდავებაზე და მის მარადიულ სიყვარულზე უთქვამს თავისი საგალობელი ავტორს იმ პატარა მოთხრობაში, რომელშიაც დიდი ლირიკული სითბოთია ნაამბობი უსაზღვროდ მოსიყვარულე გულის დეიდა მაიკოზე; როგორც ვაჟასათვის, ისე გ. ლეონიძისათვისაც სიცოცხლე და სიყვარული ორი, ერთმანეთისაგან დაუშორებელი, უერთმანეთოდ წარმოუდგენელი მხარე იყო ყოველივე არსებულისა, თვით უბრალო მწერისაც კი და ამიტომ იყო, რომ, როდესაც დეიდა მაიკო ფანჯარაში შემოფრენილ, დაბორიალებულ ფუტკარს მოჰკრავდა თვალს, იგი „გააღებდა სარკმელს და გარეთ გააფრენდა: აგერ შენი სარბიელი, გაინავარდეო".

დეიდა მაიკოს ომში ვაჟი დაეღუპა, იგი „დიდხანს ელოდა თავის შვილს, ელოდა და ბოლოს დარდით დანაღვლიანებული, შავსახადშეყრილი, ვაჟს ზედ გადაჰყვა", გ. ლეონიძის პალიტრაზე ასე განმეორდა დედის ტრაგიკული სიკვდილის ის განუმეორებელი და შეუდარებელი სურათი, რომელიც ქართულ მწერლობაში პირველად დაგვიხატა უკვდავმა ილიამ.

დიდი ილიას გმირთა სახეები მუდამ თავს დასტრიალებენ ჩვენი პოეტის დიდ შემოქმედებას და ამიტომაა, რომ ისევ ოთარაანთ ქვრივის ხმა გვესმის, როცა ლეონიძე გვიხატავს იმ მუხასავით მტკიცე და ფოლადისებურად გამძლე ციციკორეს, რომელსაც, გარეგნულად მკაცრს, სინამდვილეში ადამიანთა ბედნიერება ეწადა, და იბრძოდა კიდეც მისთვის

ოთარაანთ ქვრივივით მტერი იყო ციციკორე მოშაქრული, შარბათიანი სიტყვისა; ზოგი ჩუმადაც უჩიოდა მას სუსხიან სიტყვისათვის, მაგრამ უმრავლესობა სოფლისა იწონებდა ამ სიმკაცრეს, რადგან მოხუცი, იმავე დროს, ადამიანთა დიდი მანუგეშებელიც იყო. აკი ყოველ გასაჭირისას ციციკორე ასე ამხნევებდა მეზობლებს: „ნუ გეშინიათ, გამაგრდით! გადაივლის ავდარი! ამისთანა უნახავს ჩვენს ხალხსა? ნუ შეშინდებით, გამაგრდით!"

ოპტიმისტი მეოცნებე იყო ჩორეხიც, რომლის სახელი აქვს შერქმეული თვით მოთხრობასაც; „ჩორეხიც" ხომ, „ნატვრის ხესავით", მოზრდილთა და საბავშვო მოთხრობა არის ერთდროულად! თვით ჩორეხი პატრიოტულად ნაწრთობი გმირია მწერლისა, რომლის სული იოანე ბატონიშვილის „კალმასობით", „დედა ენით", „ჯეჯილით" იყო აღვსილი. ამიტომ სუნთქავდა იგი იმ წარსულით, რომელიც ჩვენი ერის ბედნიერი მომავლის ერთგვარ იდეურ წინამორბედს წარმოადგენდა.

არსებითად მეოცნებე იყო ყოფილი სემინარელი, ანარქისტი იორამიც, რომელსაც მთელი გულით სძულდა ძველი ცხოვრება და მისი წესები. იორამს სძულდა სიღარიბე, ძველი ცხოვრების აყროლებული ჭაობი, მიბრეცილი ქოხები... ყუმბარით აფეთქებას უქადდა იგი ჩაგვრის სამყაროს.

თანამგრძნობლები არ აღმოაჩნდა საწყალ დალაქს ბულბულასაც, რომელსაც გულის ძარღვებშივე ჩაუსრისეს რწმენა და ჭეშმარიტება; ასე იჩაგრებოდნენ ეს პოეტურად მეოცნებე ადამიანები სიმართლისა და სამართლიანობის ძიებაში.

გ. ლეონიძემ იმის ჩვენებაც შეძლო, რომ ეს ადამიანები და მათი ოცნებები არა მარტო იჩაგრებოდა წარსულში, არამედ იმარჯვებდა კიდევაც და რომ ეს გამარჯვება მთელი ძალით გამოვლინდა ჩვენს დროში, რომელსაც დაუვიწყარი სიტყვა და საგალობელი მიუძღვნა ამ უნაზესმა ლირიკოსმა ქართული პოეზიისა.

# გუგა მიქაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის სალონი ცნობილია არა მარტო იმით. რომ იქ თვით ელენე ახვლედიანი ქმნის თავის შესანიშნავ ნაწარმოებებს, არამედ იმითაც რომ ამ სალონში ბოლო ხანებში უკვე სისტემატურად ეწყობა გამოფენები. ამით მხატვარი ქალი ფასდაუდებელ დახმარებას უწევს ახალგაზრდა ოსტატებს. ამას წინათ სალონში გაიმართა გუგა მიქაძის ნამუშევართა გამოფენა

გუგა მიქაძე უკვე საკმაოდაა ცნობილი, როგორც მოქანდაკე, და მისი პერსონალური გამოფენა დღეს ერთგვარი ანგარიშია მაყურებლის წინაშე. გამოფენილია ორმოცამდე ნაწარმოები, შესრულებული ბოლო ათიოდე წლის განმავლობაში, უმეტესად რელიეფები მხატვარი თავისუფლად ფლობს სხვადასხვა მასალას — მისი ნამუშევრები ზოგი ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული, ზოგი ტერაკოტაა, ზოგიც ქვისაგანაა გამოთლილი. იგი ხმარობს აგრეთვე ახალ ხელოვნურ მასალას — პლასტიკურ მინას, რომლის დამუშავებაც საინტერესო შედეგებს იძლევა

გუგა მიქაძეს არაერთი პორტრეტი თუ ფიგურა აქვს შესრულებული, ისინი პლასტიკური ღირსებებით და ემოციურობით ხასიათდება. მაგრამ თავისი ორიგინალური მხატვრული მანერა მან რელიეფში შეიმუშავა. მისი რელიეფების თემატიკა დაკავშირებულია უმეტესად სოფლის ცხოვრებასთან, გამოსახვის საგნად შრომაა აღებული, ხშირად ესაა საკოლმეურნეო სინამდვილის გამომხატველი სცენები. ამას გარდა, ავტორს იტაცებს დედაშვილობის თემა. გამოსახულება თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია ბუნებასთან — მოქმედება ბუნების წიაღში იშლება. აქ პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ მისი ნამუშევრები — „პური", „გაზაფხული", „შემოდგომა", „დედობა".

ბრტყელი, ხაზობრივი, გრაფიკული ხასიათის რელიეფი დეკორატიულობის მკაფიო შეგრძნებითაა შესრულებული. ამიტომაც ასე ხშირია მის ნამუშევართა შორის „დეკორატიული მოტივი". თავისებური, დამახასიათებელი იერი გუგა მიქაძის რელიეფებში შექმნილია მათი შესრულების მანერით: რელიეფთა ზედაპირი სრულიად ბრტყელია, ფონი ამოჭრილი, ხანდახან თვით ნახატიც ამოღარულია. მაშინ რელიეფი სულ მთლად გრაფიკული ხდება, როგორც, მაგალითად, „ცხვრის კრეჭა". მხატვარს თავის ნამუშევრებში შეაქვს ეროვნული ელემენტი — იგი იყენებს ქართული ტანისამოსის შემკულობის მოტივებს, რითაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს რელიეფის დეკორატიულ დანიშნულებას. ამავე დროს, ეროვნული ფორმები სტილიზებულია.

მხატვარი ქალის ნამუშევრები მოწმობენ მათი ავტორის თავისებურ ნიჭს, ორიგინალურ მხატვრულ აზროვნებას და დასრულებულ ოსტატობას.

ლელა შანიძე



ლილი წეროძე.



ეკა.

სადღეგრძელო.



გიორგი ჯაშს საპატიო ადგილი უჭირავს ქართული საბჭოთა ფერწერის გამოჩენილ ოსტატთა შორის. განვლილი ათეული წლების მანძილზე მან არაერთი თვალსაჩინო ნაწარმოებით გაამდიდრა ახალი ქართული სახვითი ხელოვნების საგანძური.

მხატვრის შემოქმედებასთან გაცნობა გვარწმუნებს, რომ წლიდან წლამდე იგი სრულყოფდა ნახატისა თუ მოდელირების, ფერწერის, კოლორიტული ამოცანების გადაწყვეტას, გამოირჩეოდა მოვლენათა წვდომის და ინტერპრირების, ადამიანის შინაგანი სამყაროს გახსნისა და მხატვრული დამაჯერებლობით გადმოცემის ძლიერი უნარით.

სამხატვრო აკადემიაში გ. ჯაშის მასწავლებლები იყვნენ ი. შარლემანი, ვ. სიდამონ-ერისთავი, მ. თოიძე, ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე და სხვ. 1937 წელს გიორგი ჯაშმა დაამთავრა აკადემია და წარმატებით დაიცვა დიპლომი. თუმცა მაშინ ჩვენი უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის პრაქტიკაში ეს ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული, ახალგაზრდა მხატვარი აკადემიაშივე დატოვეს. იმ დროიდან დაწყებული გიორგი ჯაშმა განვლო ვრცელი გზა შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისა გზა, დაწყებული ლაბორანტის თანამდებობი-



ავტოპორტრეტი.


ელექტრონული ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი.

# გიორგი ჯაში

დან ვიდრე პროფესორის მაღალ და პასუხსაგებ წოდებამდე.

მხატვარმა თავიდანვე გამოამჟღავნა ულრმესი სიყვარული და ინტერესი საპორტრეტო ჟანრისა და საჟანრო სურათისაკენ. ეს სიყვარული მთელი ძალით გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის პორტრეტში; იმავე ხანებში იგი ქმნის სურათებს ისტორიულ-რევოლუციურ თემაზე.

გიორგი ჯაშის პორტრეტებში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა საქართველოს მოწინავე ადამიანებს — ახალი სამყაროს მშენებლებს. აქ არიან ბრძოლისა და შრომის გმირები, მწერლები და მეცნიერები, მხატვრები და მეციკოსები, მეტალურგები და კოლმეურნენი. რეჟისორები და მსახიობები. და მხატვარს ყოველი ცალკეული პორტრეტისათვის მოძებნილი აქვს როგორც ფიგურული, ასევე ფერწერული მეტყველების პოეტური გასაღები. ეს კი მას საშუალებას აძლევს მოგვცეს პიროვნების მართალი, ღრმა და ყოველმხრივი მხატვრული დახასიათება. ჯაშის პორტრეტებისათვის ნიშანდობლივია მხატვრული ხილვის სიმართლე, შეერთებული მაღალ ოსტატობასთან.

გ. ჯაში წარმატებით მუშაობს ქართული ჟანრული სურათის სფეროშიც. მისი ჟანრული კომპოზიციებისათვის ნიშანდობლივია სინამდვილის, გარემოს, ეთნოგრაფიული დეტალების, ადამიანთა ხასიათებისა და ქცევის, ადგილის კოლორიტისა და ნიუანსების დაკვირვებული შესწავლა, ამიტომ მისი საჟანრო სურათები მუდამ ყურადღებას იქცევენ თავისი რეალისტური სინათლითა და სიცხადით.

გიორგი ჯაში მოწინავე ოსტატია, იგი ეკუთვნის იმ შემოქმედთა რიცხვს, რომლებიც ქმნიან ახალ ქართულ სახვით ხელოვნებას, შთაგონებულს ჩვენი დროის მაღალი იდეებით.

შალვა კვასხვაძე

რუსთავი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუგა მიქაძე







# ერთი საქმის დასაწყისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონება

## ევგენი ჯანდიერი

1918 წლის შემოდგომაზე თბილისის უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებს მათემატიკური ანალიზის კურსს ანდრია რაზმაძე გვიკითხავდა.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მათემატიკური ლექციები ქართულ ენაზე იკითხებოდა. ამ ამბავმა, უეჭველია, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების განვითარება-გაღრმავებას ჩვენს სამშობლოში.

ანდრია რაზმაძე ლექციებს კითხულობდა დიდი გატაცებით, დახვეწილი და მომხიბლავი ენით. ჩვენ დაძაბული ყურადღებით ვუსმენდით მას.

იმ დროს ქართულ ენაზე არ არსებობდა უმაღლესი სასწავლებლის მათემატიკური სახელმძღვანელო. ტერმინოლოგიის დაუზუსტებლობის, მათემატიკური სასტამბო ნიშნებისა და გამოცდილების უქონლობის გამო, ასეთი წიგნის შექმნა, როგორც ავტორისაგან, ისე ტექნიკური მუშაკებისაგან, დიდ ცოდნას, ნებისყოფასა და გმირობას მოითხოვდა.

ჩვენ, ანდრია რაზმაძის სტუდენტებმა, კერძოდ შალვა მიქელაძემ და მე, ამ მოგონების ავტორმა, გავითვალისწინეთ ის გარემოება, რომ მენშევიკურ მთავრობას არ შესწევდა არავითარი ძალა და უნარი და არც რაიმე სახსრების გამოყოფა შეეძლო მათემატიკური სახელმძღვანელოს გამოცემისათვის, გადავწყვიტეთ ანდრია რაზმაძის ლექციების დაწვრილებითი კონსპექტი შეგვედგინა.

გასაგებია, რომ ამიერიდან რაზმაძის არც ერთი ლექციის გამოტოვება არ შეიძლებოდა; ლექციებს ის ზეპირად გვიკითხავდა და ორივენი ვცდილობდით მისი თითოეული ლექცია, რაც შეიძლება ზუსტად ჩაგვეწერა. შევადგინეთ სათანადო ვრცელი კონსპექტი, რის შესახებაც მოვახსენეთ ჩვენს საყვარელ მასწავლებელს და სტუდენტთა სახელით ვთხოვეთ მისი ლექციების ხელნაწერები მინსაბეჭდზე მაინც გაგვემრავლებინა რამდენიმე ეგზემპლარად მსმენელთა შორის დასარიგებლად. იგი ამ ამბით გაოცებული, მეტად გახარებული და ნასიამოვნები დარჩა, სწრაფად გამოგვართვა ლექციების ხელნაწერები, გაეშურა საპროფესოროში და გვთხოვა ცოტა ხნით მისთვის მოგვეცადა.

დიდი დრო არ გასულა, როცა რაზმაძე საპროფესოროდან გამოვიდა და გვითხრა, რომ მისი სახელმძღვანელო დაიბეჭდება არა მინსაბეჭდზე, არამედ სტამბური წესით; იგი გულდასმით და დაძაბული ენერგიით შეუდგა წიგნზე მუშაობას და ჩვენმა კონსპექტებმა მას ამ საქმეში, როგორც ჩანს, კარგი სამსახური გაუწია.

წიგნის მზადების დროს ანდრია რაზმაძემ გადაუდებელ ამოცანად სცნო, პირველ რიგში, მათემატიკური ტერმინოლოგიის შექმნა ქართულ ენაზე.

შემდგომში ის თავის წიგნის წინასიტყვაობაში წერდა, რომ „ტერმინები სატერმინოლოგიო კომისიის სხდომაზე კი არ იქმნება, სადაც ყოველი სპეციალისტი თავისი ტერმინის დაცვას ცდილობს, არამედ ქართულ ენაზე მეცნიერული აზროვნების პროცესში. აი თუ რისთვისაა, რომ საქმის ამ მხარეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვაძლევ: მე ვხმარობ ამ წიგნში იმ ტერმინებს, რომელნიც ჩემის აზრით ამჟამად ყველაზე უფრო შესაფერისი არიან. რა თქმა უნდა, მათ შორის მოიპოვება ისეთები, რომლებიც მგონია, სამუდამოდ უნდა დარჩეს მეცნიერებაში, მაგრამ კარგად მესმის, რომ არის აგრეთვე ისეთებიც, რომელნიც დღის სინათლეს, შესაძლოა, ერთხელ და უკანასკნელად ხედავდნენ. შემდეგს გამოცემებში, მე, რასაკვირველია, ვეცდები, რომ მათ ნაცვლად უფრო შესაფერისი ტერმინები ვიხმარო“.

იმ დროს საუნივერსიტეტო მათემატიკური წიგნის ბეჭდვა თბილისისათვის სრულიად ახალი საქმე იყო. სტამბაში მათემატიკური ნიშნები არ მოიპოვებოდა, არ იყვნენ ამ საქმის მცოდნე ასოთამწყობნი და სხვა; ანდრია რაზმაძემ მაინც შესძლო შესაფერისი სტამბის აღმოჩენა, რომელიც ახლანდელი კეცხოველისა და ნატო ვაჩნაძის ქუჩების კუთხის ორსართულიანი შენობის პირველ სართულში იყო მოთავსებული, ხოლო იქვე ეზოში თავისი ასოთჩამოსასხმელი სახელოსნო ჰქონდა.

ეს იყო სამხედრო სამინისტროს სტამბა, რომლის უფროსმა პოლკოვნიკმა ზ. ჩაპოძემ თავს იდვა აღნიშნული წიგნის ბეჭდვის საქმე, რისთვისაც მან გამოყო ასოთამწყობები: შ. ზაქარაშვილი, ინოზემცევი და ახალგაზრდა იაკინთე ხომერიკი (ამჟამად ცნობილი მწერალი იაკინთე ლისაშვილი), მბეჭდავი და ასოთჩამომსხმელი სახელოსნოს უფროსი (მათი გვარები არ მახსოვს). საერთო ხელმძღვანელობა დააკისრა ტექნიკური ნაწილის უფროსს ა. გერასიმოვს.

წიგნის აწყობის პროცესში ანდრია რაზმაძეს, სისტემატურად, მის მიერ პირველად ხმარებაში შემოღებული ტერმინების ნაცვლად, მთელი რიგი ახალი კიდევ უფრო შესაფერისი და დახვეწილი ტერმინები შეჰქონდა.

გამოჩენილი მეცნიერი არ ზოგავდა შრომასა და ენერგიას, რათა პოლიგრაფისტებისათვის გაეადვილებინა მუშაობა, ჯერ უჩვეულო წიგნის აწყობა და ბეჭდვა. ასე მაგალითად, მას ნიმუშის სახით ასოთჩამომსხმელთან მოჰქონდა უმაღლესი მათემატიკური სახელმძღვანელოები, გამოცემული რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე და ერთად სწყვეტდნენ თუ რომელი მათემატიკური ნიშნების ჩამოსხმაზე შეჩერებულიყვნენ.

მრავალი ცდის შემდეგ ასოთჩამომსხმელმა, ანდრია რაზმაძის ხელშეწყობით, ისეთი ნიშნების ჩამოსხმა აითვისა, რომელიც არც ერთ ნაჩვენებ ნიმუშს თავისი გარეგნული სილამაზით არ ჩამოუვარდებოდნენ.

წიგნის აწყობას ჯერ ანდრია რაზმაძე უწევდა ხელმძღვანელობას, ხოლო შემდგომში, ეს საქმე მან მე მომანდო. უნდა ითქვას, რომ სტამბის მუშებმა დიდი მოთმინება და სიმტკიცე გამოიჩინეს ამ ღირსშესანიშნავი პირველი ქართული მათემატიკური წიგნის აწყობის დროს. არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ მათ რაიმე უკმაყოფილება გამოეთქვათ არა მარტო ანდრია რაზმაძის, არამედ ჩემს მიმართაც კი, მიუხედავად იმისა, რომ წიგნის ავტორს გზადაგზა შეჰქონდა უამრავი შესწორებები, დამატებანი ანდა აწყობილ ტექსტში ტერმინებს ახალი, უფრო შესაფერისი ცნებებით სცვლიდა.

პირიქით, მუშები თითონაც ამაყობდნენ, რომ ასეთ შესანიშნავ საქმეს აკეთებდნენ, იზიარებდნენ იმ დიდ სიძნელეს, რასაც ჩვენი ერის საამაყო შვილი აწყდებოდა ჯერ გაუკვალავ გზაზე და ყოველმხრივ ცდილობდნენ ეს სიძნელეები ოდნავ მაინც შეემსუბუქებინათ.

წიგნის ბეჭდვის დროს რაზმაძეს პიჯაკის ზედა კიდესთან დამაგრებული ჰქონდა რამდენიმე ქინძისთავი. ანაწყობის თითოეულ ჭუჭყიან ნიშანს ამ ქინძისთავით ვწმენდდით. ასეთი ნიშნები კი ცოტა როდი იყო. ახლა წარმოიდგინეთ რამდენ დროს ჰკარგავდა ჩვენი უდიდესი მეცნიერი-მათემატიკოსი ამ საქმეზე.

ამ ოპერაციის მოთავების შემდეგ იწყებოდა ანაწყობის ხელახლა ბენზინით წმენდა-რეცხვა, ზოგიერთი სრულიად მოძველებული ნიშნების ახლით შეცვლა.

ნახაზები, რომლებიც ხსენებულ წიგნშია მოთავსებული, ამ მოგონების ავტორს ეკუთვნის. რაზმაძემ გულდასმით შეამოწმა ისინი და შემდეგ გადასცა სტამბას კლიშეების დასამზადებლად.

ამრიგად, „მათემატიკური ანალიზის შესავლის“ ბეჭდვას წელიწადზე მეტი დრო დასჭირდა (გამოქვეყნდა იგი 1920 წლის დასაწყისში); მისი გამოცემა დიდი დღესასწაული იყო მთელი ქართველი საზოგადოებისათვის.

აი რა აზრს გამოთქვამდა ანდრია რაზმაძე თავისი წიგნის წინასიტყვაობაში: „ქართულ ენაზე ისეთი წიგნის გამოცემა, რომელიც ჩვენ მოსწავლე ახალგაზრდობას თანამედროვე მათემატიკის ყველა რთული საკითხის გამორკვევისა და შეთვისებისათვის საკმაოდ მოამზადებდა — აი ის იდეა, რომელიც მე დიდხანს მიპყრობდა და ბედნიერი ვარ, რომ ეს ჩემი იდეა გაცილებით უფრო ადრე ხორციელდება და თანაც ისეთ გარემოებაში, რომელიც წინათ ფიქრადაც კი ძნელი წარმოსადგენი იყო. სამშობლო უნივერსიტეტისა და მისი სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გახსნამ დღეს სინამდვილედ გახადა ის, რაც გუშინ მხოლოდ მშვენიერს საოცნებო საგანს შეადგენდა“.

ანდრია რაზმაძის პირველი საუნივერსიტეტო მათემატიკური სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ შესაძლებელი გახდა ქართულ ენაზე ფართოდ გაშლილიყო მათემატიკური სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო შრომების დაბეჭდვა-გამოცემა.

არ გასულა დიდი დრო და ამავე 1920 წელს იმავე სტამბაში დაიბეჭდა არჩილ ხარაძის მათემატიკური წიგნი სახელწოდებით: „დეტერმინანტთა თეორიის საფუძვლები“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ უფართოესი ასპარეზი შეუქმნა სახელოვან ქართველ მათემატიკოსს. 1922 წელს იგი აქვეყნებს თავის მეორე კაპიტალურ სახელმძღვანელოს — „განუსაზღვრელ ინტეგრალთა თეორიას“.

1929 წელს მან დაამთავრა და დასაბეჭდად გაამზადა კიდევ ერთი სახელმძღვანელო „ვარიაციათა აღრიცხვის კურსი“. ეს სახელმძღვანელო და ორი გამოკვლევა გამოიცა უკვე ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1933 წელს მისი მოწაფის პროფ. ლ. გოკიელის რედაქტორობით.

პროფ. ანდრია რაზმაძე გარდაიცვალა 1929 წელს, ჯერ ისევ ახალგაზრდა (39 წლის ასაკში).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკურმა ინსტიტუტმა 1952 წელს გამოსცა ანდრია რაზმაძის „რჩეული შრომები“, რომელშიაც შეტანილია მისი ძირითადი გამოკვლევები.

ზემოხსენებული ნაშრომებით ანდრია რაზმაძემ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მათემატიკურ კვლევა-ძიებას და საუნივერსიტეტო მათემატიკური სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე გამოცემას, საერთოდ მათემატიკური კულტურის შემდგომ განმტკიცება-განვითარებას. მისმა მოწაფეებმა დღეს დიდ მეცნიერულ მწვერვალებს მიაღწიეს და შორს გაუთქვეს სახელი ჩვენს სამშობლოს.

# მზე საუკუნეთა



ბიბლიოთეკა

გურამ ხარაიძე

მოთხრობა

„...ქვეყანასა მზისასა აღმოსავლეთით-კერძო, რომელსა ეწოდების ჩინმაჩინი, გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკვირველნი ადგილსა ყარყურუმად წოდებულსა, უცხო სახითა, წესითა და შესახედავადაცა. რამეთუ არიან უცხო-ენა, უცხო-სახე, უცხო-ცხოვრება, პურისა გემო არა იცოდიან...“

* * *

მოხუცი ნოინი არ იმჩნევდა, მომჟავო კუმისის ნაცვლად რაღაც რძისმაგვარ, მღვრიე სასმელს რომ მიართმევდნენ ხოლმე. უნდა მოტყუებულიყო და თვალი დაეხუჭა კარისკაცთა გაიძვერობაზე. ცხენის რძე იმდენად ძნელი საშოვნი გახდა, ქეიფის დროს კი არა, დილის საუზმეზე პატარა ფიალას ძლივს უვსებდნენ. ერთ საღამოს კი ყური მოჰკრა, როგორ ეუბნებოდა ერთი მეომარი მეორეს: სულ მთლად გამოყეყეჩდა ნოინი, ვირის რძისაგან უმზადებენ სასმელს და კუმისი ჰგონიაო. ჩუმად ჩაიქირქილეს მეომრებმა და კიდევ რაღაც თქვეს მისი მისამართით...

თავს ზევით ძალა არ იყო — უნდა მოტყუებულიყო და საათობით ეგდო ყური მთავარი მეჯინიბის წუწუნისათვის: გადაშენების გზაზე დგანან მონღოლთა ცხენები, თითქოს უცნობი სენი შეეყარათ, აღარ მრავლდებიან და დაკნინების გზაზე დგანან. თქვენი ბრძანების თანახმად რაც შეიძლება ნაკლებად ვწველით. კვიცები მეტწილად გაგუდულები იბადებიან და ფაშატებს მაშინვე რძე უშრებათო.

ნოინს ბრტყელი, გაქვავებული სახე ჰქონდა. ვერ გაიგებდი, გიგდებდა ყურს თუ არა, სჯეროდა შენი ნაუბარი თუ არა.

გუშინწინ მთავარ მეჯინიბეს ესტუმრა კარავში. რამდენიმე სარდალი უმალ ფეხზე წამოვარდა, შემდეგ კი მოცელილებივით გაიშხლართნენ ნოხზე, თაყვანი სცეს ნოინს და შიშით თავი ასწიეს. კარავში ნამდვილი, მადისაღმძვრელი კუმისისა და მოხარშული კვიცის ხორცის სუნი ტრიალებდა. სიბრაზით რეტი დაესხა ნოინს, მათრახის ტარს ისე მოუჭირა თითები, სახსრებმა ტკაცატკუცი დაიწყეს. ზიზღით უცქერდა ნოხზე გართხმულთა ექვს გაპარსულ, ოფლიან კეფას, ძლივს შეიკავა სურვილი სატევარი ეძრო და წაესხიპა ეს გაპრიალებული გოგრები. ისევე უხმოდ გავიდა კარვიდან, როგორც შემოვიდა.

იძინებდა ბანაკი. აქა-იქ ბჟუტავდნენ მიმქრალი, მიტოვებული კოცონები. ალიზისბანიან სახლებში სომხები ცხოვრობდნენ. მოედნებზე, ბაღებსა და ზოგან სახლების ბანებზე მონღოლებს დაედგათ კარვები. მტვერს მტკავლისოდენად დაეფარა რიყის ქვით მოკირწყლული გზა.

ოთხი შუბოსანი აჩრდილივით მიჰყვებოდა ნოინს. შფოთიანი დრო იყო, ღამით მარტო სიარული ხიფათის ძებნას ნიშნავდა.

უეცრად შუკიდან ნაგაზი გამოვარდა და გაშმაგებული ეძგერა ფიქრებში წასულ მბრძანებელს. წამიც, და შუბის წვერზე წამოგებულმა ძაღლმა წკავწკავით დააფრთხო მთვლემარე მიდამო.

ნოინი ისევ ფიქრს მიეცა. რაღაც უნდა დასჯდომოდა, განადგურებისაგან უნდა გადაერჩინა მონღოლთა რემა. ღამით, ქურდულად, კლდეებისაკენ იტაცებდნენ მეომრები ცხენებს, ჰკლავდნენ და სვავებივით ერთმანეთს ჭამას არ აცლიდნენ. დილით კი, ასისთავის თანხლებით, ნოინის კარავს მიადგებოდნენ, მოსთქვამდნენ, ჩიოდნენ, სახეს იხოკავდნენ: ღამით ცხენი მოგვტაცეს, დავიღუპეთ, გვიშველეთო. ასისთავიც შუამდგომლობდა „დაზარალებულს“, მდაბლად უკრავდა ნოინს თავს და პირდებოდა, რომ ამიერიდან გახურებული შანთით ამოსწვავდა თვალებს ქურდს, თუკი, რა თქმა უნდა, ღმერთებიც დაეხმარებიან და აპოვნინებენ. განა არ იცოდა ნოინმა, რომ „დაკარგული“ ცხენის საუკეთესო ნაჭრები ასისთავმა მოწყალედ მიიღო თავის კარავში.

თავს ზევით ძალა არ იყო... თვალნათლივ ხედავდა ნოინი, როგორ იხრწნებოდა ურდო. ქურდობა, ყაჩაღობა, ძალადობა, ერთმანეთის დაბეზღება და ზურგს უკან სამარის გათხრა! ორი ლუკმა ხორცისათვის ან ახალი ჩექმისათვის კაცი კაცს არ ინდობდა, მეგობარი მეგობარს ყიდდა. სხვაგანაც ასე იყო. ოდესღაც ვაჟკაცი მონღოლი მეომარი ტურას დაემსგავსა.

გუშინწინ, როგორც იქნა, ერთი ქურდი დაიჭირეს. დანარჩენებმა თავს უშველეს და კლდე-ღრეს შეეფარნენ. მათრახის სამი, არც თუ ისე ძლიერი დარტყმა აღმოჩნდა საკმარისი, რომ მეომარს თანამონაწილეები გაეთქვა.

მბრძანებელს მთელი ღამე არ ეძინა. დილით კი ბრძანა სამაგალითოდ დაესაჯათ ამხანაგების გამყიდველი.

...ორი გასხეპილი ალვის ხე მოდრიკეს, კენწეროებზე ფეხებგაჩაჩხული ქურდი მიაბეს. თეთრ მამალს თავი წააგლიჯეს და გაკოჭილ მეომარს სისხლი ლაწვებზე წასცხეს. ჰყიოდა მონღოლი, ლანძღავდა ამხანაგებს და მათგანვე შველას ითხოვდა. ირგვლივ შემოჯარული ბრბო კი გულიანად ხარხარებდა.

სიბრაზის კანკალი ჩაუდგა ნოინს მუხლებში, მერე აჰყვა ზევით, ზევით. ნიკაპი რომ აუცახცახდა, კარისკაცებმა უკან დაიხიეს, შიშით უცქერდნენ ნოინის მოხრილ ბეჭებს.

ხელი აიქნია. იმწამსვე გადასჭრეს თოკები, შუილით გასწორდნენ შიშველი ალვები.

...დადის ნოინი მიყუჩებულ ანისში, აჩრდილებივით დაჰყვებიან შუბოსნები, ხმას ვერ იღებენ. ნოინის ყოველი უძილო ღამე რაღაც ახალ, საზარელ დილას უქადის ჯარსა და ქალაქს.

ციცაბო კლდეს რომ მიადგა, მაშინღა გამოფხიზლდა მბრძანებელი. ქარისგან საფეხურებად გათლილ ლოდებს აჰყვა და ბრტყელ ქვაზე ჩამოჯდა.

თენდებოდა. ამომავალი მზე მკრთალად ანათებდა ნოინის ფეხქვეშ გართხმულ ანისს. ეკლესიები, ქოხმახები, კარვები, ბაღები, მოედნები, აგერ, იქ, ამ დღეებში, სომხის ქალმა თონეში ჩააგდო მონღოლი და თვითონაც უკან მიჰყვა. იქ კი, მოედანზე, მერამდენე დღეა გაშიშვლებული ტყვე ქართველები ყრიან მზის გულზე. არ ტყდებიან.

მზე ამოდის და ქალაქი გავარვარებულ თონეს ემსგავსება. სუნთქვა ჭირს, ჰაერში ჭრიჭინობელებისა და ცერის სიმსხო პრიალა ბუზების ბზუილი ისმის.

ზის ლიპ ქვაზე ნოინი და თავის მეგობრებზე, ურდოს პირველ, ამაყ და გულად მეომრებზე ფიქრობს. გავიდა წლები. უბელო ცხენით, ყიჟინითა და სისხლში ამოსვრილი სატევრით გადაუქროლა ნოინმა ცხოვრების გზას. მაშინ ღირდა სიცოცხლე და არ ერცხვინებოდა, მონღოლი რომ იყო...

მზე ამოიწვერა და ბუზებმაც მორთეს ბზუილი.

ნოინი წამოდგა, ის-ის იყო ქვევით ჩასვლას აპირებდა, რომ მოპირდაპირე კლდის ნაპრალიდან უცხო სამოსში გამოწყობილ კაცს მოჰკრა თვალი, უკან ორი ტანმორჩილი ახალგაზრდა მოჰყვებოდა

„საკაიკაცოდ არ მოდიან“, — გაიფიქრა ნოინმა და ლოდს ამოეფარა.

მგზავრი, ეტყობოდა, ჩქარობდა, სწრაფად გადაჭრა ხევი, გადაახტა რუს და ორღობეში გაუჩინარდა. მერე კვლავ გამოჩნდა ქუჩის მოსახვევში და ისევ მიეფარა სახლებს.

მიჰყევითო, თვალით ანიშნა ნოინმა. ორი შუბოსანი თავქვე დაეშვა.

უცნობი კი განიერ ქუჩაზე გავიდა და მოედნისაკენ გაემართა. აი გავიდა მოედანზე. ხელფეხშეკრულ ტყვეებს მიუახლოვდა. ჯერ ერთთან ჩაიმუხლა — შუბლზე ემთხვია, მერე მეორესთან, მესამესთან...

შუბოსნები მოედნისკენ გარბოდნენ. მათ სხვა მეომრებიც აედევნენ.

მგზავრმა მოამთავრა მისალმება. მზეს ახედა, პირჯვარი გადაისახა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და პერანგიც გაიხადა. წულები ჩოხის გვერდით დააწყო. მტვრიანი ქუდი მუხლზე დაიბერტყა...

* **

„...და ვითარ იხილეს თათართა, განკვირდეს და მსწრაფლ აუწყეს ნოინთა, ვითარმედ: „ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაცითა, და განიძარცუა სამოსელი თავისი, და შეკრული დაჯდა ქართველთა თანა“...



# ლექსები

## ხარიტონ ვარდოშვილი

## მეც გამითენა

მეც გამითენა განთიადმა დღე სიხარულის,
ცუდად არ დაშვრნენ მზის ხოტბითა ჩანგის სიმები!
მაშ რად არ მტოვებს სიმძიმილი, გულში [illegible]
და არ მამშვიდებს ზეცა წარმტაც აციმციმებით?

ჩემი სამშობლოს მომჯადოებ არე-მარეში
რად ამედევნა მე ეს ჰმუნვა განუკურნელი?
მეც ხომ შევხარი მშობლიურ მზის სინარნარეში
გაშლილ ყვავილებს, ატოკებულთ მათრობ სურნელით!

მეც ხომ მატყვევებს სიდიადე დედა ბუნების,
ლაჟვარდ ცათამდე აღმართული მთათა ქედები,
გაზაფხულის ჟამს, სივრცეების აგუგუნებით,
გრიალი მეხთა, ელვის ალით დანაფეთები?

მეც ხომ მალაღებს სიამაყით ქვეყანა ჩვენი,
მარად ბრწყინვალე ლურჯი ზეცა, უხვი მთა-ველი,
გვირგვინი ჩვენი უკვდავების — მზე რუსთაველი,
ჩაუქრობელი ელვარების შუქთა მომფენი!

არ ვიცი... მაგრამ ის კი ვიცი და გულსაც სჯერა,
რომ უკვდავია ამა ქვეყნად საქმე დიადი.
სიკეთის მადლით აგზნებული სულის სიმღერა,
გამაქრობელი, დამღუპველი ბნელი წყვდიადის!

ვიცი, მიწაზე რაც კი ცოცხლობს, ჰყვავის და ხარობს,
არის ნაყოფი ალალ შრომის, მსხვერპლის გაღების.
დაბნელდებოდა სამუდამოდ მთელი სამყარო,
მზეს ჩააქრობდა ქარიშხალი გაპარტახების, —

რომ არ სუფევდეს კაცის გულის უანგარობა,
სიმართლისათვის თავგანწირვა, თავის დადება!
დიდება იმას, ქვეყნად კაცად ვინც იბადება,
გული აქვს წრფელი, ესმის ცის და მიწის გალობა!

## გული კვლავ მღერის

დიდხანს ვიმღერე და დავბერდი, თუმც მკერდში გული
ჭაბუკურად ძგერს და არ იშლის სიმღერას კვალად,
მაისის სუნთქვა, თუ დეკემბრის ქარის გუგუნი,
მას ისევ აგზნებს, შთაგონების სახმილით მსჭვალავს.

მე ჩემი გულის ამ სიმდიდრის ვარ მადლიერი,
და მიხარია კვლავ რომ მღერის, ჰანგებით იწვის,
მისი სიმღერა სპეტაკია, ვით ცისიერი
სხივები მზისა, მარადისი სიცოცხლე მიწის.

ჩემზე სვიანი აქ მგოსანი, ლექსით მდიდარი,
ბევრი ყოფილა, დადაფნული მზის დიადემით,
მე, მწირს და ობოლს, არ მაქვს განძი არავითარი —
გარდა ლექსისა, ლექსებია სიმდიდრე ჩემი!

ვარ მადლიერი, რომ გული კვლავ ლექსით ითნება,
სასიხარულოდ ჩემთვის ზეცის სილურჯეც კმარა,
მწამს, ჩემი ლექსი ბურუსით არ დაიბინდება,
შუქს არ მოაკლებს მის სიცოცხლეს ზეცის კამარა!

## სიხარული

კვლავ მოვესწარი გაზაფხულო, ო, საყვარელო,
შენს მობრძანებას, აყვავებას ბლების, შინდების,
რა წარმტაცი ხარ, ჩვენი ქვეყნის ლაღო მთა-ველო,
როს საამურად ამწვანდები, აბიბინდები!

გაზაფხულის მზით ლაჟვარდ ზეცას კარი ელება,
თბილი ჰაერით ათრთოლება იწყო ბუნებამ,
ყვავილთა თქორით მალე მიწა შეიღებება,
ცას გააბრწყინებს ელვა-მეხის აგუგუნება!

ამღერდებიან ბაღნარებში ნაზი ჩიტები,
სული ყოველი ბუნებისა — აიდგამს ენას.
ანცი წყარონი შხეფთა ბროლის მარგალიტებით
მიმოაფრქვევენ სიცოცხლის ეშხს გულთა სალხენად

დიდება შენდა, გაზაფხულო, ხარ სხივოსანი,
კაცის სილაღე, დაკოდილი გულის მალამო!
ო, როგორ ვხარობ ალტაცებით შენი მგოსანი,
კვლავ მაზიარე შენს მშვენებას დაუსაბამოს!

მე არ მეგონა — აყლერებულს ელვის ცეცხლებით,
კვლავ ვიხილავდი შენი თვალის მწველ ელვარებას.
სივრცეში ფრენას ფრთაფარფატა ნაზი მერცხლების,
სიცოცხლის გზნებით დედამიწის ამღელვარებას!

ბევრი გიმღერე, დღესაც გიმღერ, შვილი მხცოვანი,
აყვავებულო ჩემო მხარევ, გულგასახარად.
დე, გმირთა დედა, ჩვენი მიწა, ზურმუხტოვანი,
უკვდავების მზით ანთებული — ცოცხლობდეს მარად!

## სინანული

ღამით, ორთქლმავლის გაბმულ სტვენას როს გავიგონებ,
მომაგონდება გაფრენილი ყრმობის დილები,
და უნებლიეთ ექსოვება ლექსის სტრიქონებს
მატარებელზე ადევნებულ ხეთა ჩრდილები,

როგორ განქარდნენ სამუდამოდ, — დაუბრუნებლად,
გაუხარელი სიჭაბუკის დღეები მკვირცხლნი!
თან წარიტაცეს მარად მთრთოლი ჩემი გუნება,
და დამიტოვეს სხივჩამქრალი სიბერის ნისლი.

როგორ მიყვარდა მგზავრობა შორი,
მთვარიან ღამით, მშვიდ სივრცეში ქროლა ქარულთ!
ზღვა დაბურული აისის ჟამს ნისლების თქორით.
ფირუზი სარკე, თვალუწვდენი, ლეგენდარული!

ანდა ბორჯომით როს მიიწევ ბაკურიანის
მთისკენ, ლაჟვარდის სხივით უბე რომ ავსებია,
მწვანე ფიჭვები როს ზეცისგან ნაპკური არის
ცვარით და კრთიან, შუქს აფრქვევენ ალმასებიანს!

ეჰ, მოგონება გულს გამივლის მწველ ჟრუანტელით,
ვწუხვარ, ბევრი რამ ჩემი ქვეყნის არ მაქვს ნახული,
ერთხელ მენახა თვით ვარძია, ოშკი, ხახული,
გაბრწყინვებული ქართულ სულის უქრობ ნათელით!

გულით კი მსურდა, მარად მწვავდა გრძნობა კეთილი:
მომევლო მთები და ველები ჩემი მამულის.
ვაგლახ, სიცოცხლე გავატარე კარჩაკეტილი,
ესეც ვერ შევძელ, თან მიმყვება ეგ სინანული!

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიხეილ ქაქიბელაშვილი**

## ჟამთასვლის ხმაურში

დარიც მინახავს, ავდარიც მინახავს
ბედის ტრიალში, ცხოვრების თამაშში, —
მშობელი მიწის ღირსებას ვინახავ,
როგორც მარგალიტს, გულის ნიჟარაში.

და ამ ღირსებით და ამ საგანძურით
ვბობოქრობ, ვღელავ, ვითარც ზღვა პონტოსი...
მეამაყება ჟამთასვლის ხმაურში —
ქედუხრელობა დედა-სამშობლოსი.

## ქართულ მიწაზე

ამ მადლიან და დალოცვილ მიწაზე
ერთი წუთიც არ ვყოფილვარ მერყევი...
ცოცხალი ვარ, შენი ტრფობით ვიწვები,
მოვკვდები და, ფერფლად გადაგეყრები.

ვინ დამძრახავს, სულით ცოტნე დადიანს,
არწივების საბუდარის მეხოტბეს,
მე მომხდური ვერ მიხილავს დარდიანს,
თუნდაც ტანჯვა და წამება მელოდეს.

ამ მადლიან და დალოცვილ მიწაზე
ერთი წუთიც არ ვყოფილვარ მერყევი...
ცოცხალი ვარ, შენი ტრფობით ვიწვები,
მოვკვდები და, ფერფლად გადაგეყრები.

**გიორგი შეთეკაური**

## თრიალეთის ზეგანზე

როგორც მხედარი დაღლილი,
წევს თრიალეთის ზეგანი
და ცა მფეთქავი ძარღვივით
ჩემი ნეკნებით შევკარი...
ჰე-ჰეი, სად ვარ!.. ქარივით
ყველა მთას ვეპოტინები,
შორს ჩანს ფერდობთა განივი
ძვლოვანი კლდეთა ხრტილებით.
გზა ფრთებს საფრენად მიწაფავს,
ფიქრი დუმს, როგორც წერტილი,
წინ ისევ ქედი ისწრაფვის,
ცხვრის ფარით გადაპენტილი...
მე თვით ვარ უღელტეხილი,
ღრუბლის უბეში ჩაშლილი,
ლოდებს დავასკდე მეხივით,
გავყარო ცეცხლი კაჟივით,
დავიწვა! სივრცე ტივტივებს,
მზეს აქვს სხვა სიგამჭრიახე,
მხრებზე მოგდებულ ტვირთივით
სულ ზევით ამაქვს სიმაღლე!

**გიორგი მესხაძე**

## რაჭული ნანა

ღამდება და გრძელ ხრიანწებს,
ჩაუწვება მთვარე.
დამდგარ წყალში ყმმაკუნა
ჩაიხედავს მალე.
ცხრათვალა მზე იტრუნება,
გზებზე წვება ჩრდილი,
ჩემს პატარას სიცოცხლე და
საამური ძილი.
თმახუჭუჭა წალკოტნარი
მკერდში იკრავს ნამებს,
გილოცავენ ვაჟკაცის გზას
და ხვანჭკარას სვამენ...
ლომის გული და...
სიცოცხლე რიონივით გრძელი,
მომავალი კარგს გვპირდება,
ნათელი გზა გელის.
ძველ დროს გაჰყვა
პაპაშენის
შფოთიანი გზები,
საქართველო ასახელე!
გუგუნებენ მთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისელი მოგზაური თბილისის შესახებ

1817 წელს ინგლისელმა პოლკოვნიკმა ჯონსონმა სახმელეთო გზით იმოგზაურა ინდოეთიდან ინგლისში. სამშობლოში ჩასვლისას მან გამოსცა წიგნი: „მოგზაურობა ინდოეთიდან ინგლისში ირანის, საქართველოს, რუსეთის, პოლონეთისა და პრუსიის გავლით“.

1817 წლის ივლისში, ერევანი და კარაკლისი რომ გამოიარა, ჯონსონი საქართველოში ჩამოვიდა. რამდენიმე დღე თბილისში დაჰყო, ხოლო შემდეგ გაემართა საქართველოს სამხედრო გზით. თბილისში ყოფნისას მან მოასწრო ქალაქის დათვალიერება. იყო სადილად ჯარების სარდალთან, შემდეგ დაესწრო თბილისის მაღალსაზოგადოების მიერ გამართულ წვეულებაზე, სადაც საშუალება ჰქონდა გასცნობოდა ქართულ ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებს.

„ადგილმდებარეობა ქალაქისათვის მეტად ხელსაყრელად არის შერჩეული, — წერს ჯონსონი, — თბილისი გაშენებულია მთის კალთებზე, რომელთა ქვემოთ მიედინება მდინარე მტკვარი“; მას ყურადღება მიუქცევია ქალაქის ქუჩების თავისებურებისთვის, გარეუბნებისათვის, აუწერია ხიდი მტკვარზე, რომელიც მას ძალზე მაღალ ხიდად მიუჩნევია.

ინგლისელი მოგზაური განსაკუთრებით დააინტერესა ქალაქის გოგირდის აბანოებმა. „თბილისის ცნობილი ცხელი წყალი, — წერს ის, — წარმოადგენს მთელ ნაკადულს, რომელიც მიედინება ქალაქის ერთ მხარეს და მასზე გაშენებულია ქართული სტილის რამდენიმე აბანო“.

ჯონსონი იყო თბილისის აბანოებში და ძალიან კმაყოფილი დარჩა, თუმცა აღნიშნა, რომ აბანოების შენობები ცუდ მდგომარეობაშიაო. განსაკუთრებით ყურადღება მიუქცევია ჩამტვრეული მინებისათვის, საიდანაც ყოველმხრიდან უბერავდა ქარი, რაც მობანავეთ გაციებას უქადდა. მაგრამ გოგირდის წყალი მას ძლიერ მოსწონებია და იგი ჩელტნემის წყლებისათვის შეუდარებია. ასეთი შედარება ჯონსონის მხრივ დიდ ქებას ნიშნავდა, ვინაიდან ჩელტნემი მაშინ ინგლისში მოდურ კურორტად ითვლებოდა. ჩელტნემის მინერალური წყლები აღმოაჩინეს ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, კურორტი განსაკუთრებით პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც მას ეწვია მეფე ჯორჯ III. აღსანიშნავია, რომ უილიამ თეკერეი, თავის ცნობილ რომანში „ამაოების ბაზარი“, სადაც აღწერილია XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ინგლისის ცხოვრება, არაერთგზის იხსენებს ჩელტნემს, სადაც მიემგზავრებიან რომანის გმირები მაღალი საზოგადოების წრიდან, რათა გაიკაჟონ ჯანმრთელობა და დრო გაატარონ.

ყოველი მოგზაური ახლადნახულ ქვეყანას თავისი თვალით და თავისი ინტერესების შესაბამისად უყურებს. პოლკოვნიკი ჯონსონი გასაგებია, რომ დაინტერესებულია იმ დროის ცხოვრების პრაქტიკული მხარეებით და ყურადღებას ნაკლებად აქცევს სიძველეებსა და ადგილობრივ კულტურის თავისებურებებს. ამიტომ ის არაფერს წერს თბილისის ისტორიულ ძეგლებზე. მცხეთის აღწერისას ის კმაყოფილდება იმით, რომ აღნიშნავს — ეს არის საქართველოს ძველი დედაქალაქი, მდებარე მტკვრისა და არაგვის შესართავთან და რომ ქალაქის ცენტრში აშენებულია დიდი ძველი ტაძარი, ხოლო აღმოსავლეთით, მთის მწვერვალზე მოჩანს ტაძრის ნანგრევებიო. მაგრამ თუ მოგზაური თავის წიგნში ყურადღებას არ ამახვილებს ქალაქის სიძველეებზე, სამაგიეროდ არ ივიწყებს შეიტანოს წიგნში ცნობები მაშინდელ ცხოვრებაზე: ის აღწერს გზებს, ასახელებს ადგილებს, სადაც ღამის გათევა შეიძლება, უჩვენებს რამდენ ვერსს გადიოდნენ საათში მოგზაურები და რამდენი ხანი დასჭირდათ მათ საქართველოს სამხედრო გზაზე ერთი პუნქტიდან მეორემდე და აქ იცავს სიზუსტეს წუთობით.

ქართული ცეკვები ჯონსონმა ვერ გაიგო, ხოლო ქალების ჩაცმულობამ მას მოაგონა ტანსაცმელი ძველ ინგლისურ პორტრეტებზე.

განსაკუთრებით გამოცოცხლდება ხოლმე მოგზაური, როცა სიტყვა ჩამოვარდება პრაქტიკულ საკითხებზე — ვაჭრობაზე, ფასებზე, სამიმოსვლო გზებზე, თავისი აქ შეძენილი გამოცდილების მიხედვით ის სასარგებლო დარიგებებს აძლევს მომავალ მოგზაურებს, თუ როგორ გამოცვალონ ფული, როგორ გაგზავნონ ბარგი და ა. შ. ჯონსონი ჩამოთვლის, თუ რა საქონლის შეძენა შეიძლება საქართველოში; ის აღნიშნავს, რომ სპილენძის სიუხვე აქ შესაძლებლობას იძლევა განვითარდეს ნივთების წარმოება ამ ლითონისაგან. ქართველებს ჰყავთ კარგი ჯიშის ცხვარი, მოგვითხრობს ჯონსონი, რომელიც იძლევა საშუალებას წარმოებულ იქნას კარგი შალეული. მოგზაური ხშირად უბრუნდება ისევ ფასებს, გვაუწყებს რამდენი გადაიხადა სადილისათვის სასტუმროში, თანაც ფასს ის უჩვენებს მანეთებით და იქვე გადაჰყავს შილინგებზე, რათა ყველაფერი გასაგები იყოს ინგლისელი მკითხველისათვის. სადილი მას ძალიან მოსწონებია, კერძებში შედიოდა ღვინო, მურაბა და ხილი.

თანამედროვე მკითხველისათვის ჯონსონის წიგნი, მიუხედავად ამ თავისი ცალმხრივობისა, მაინც ინტერესს იწვევს, ვინაიდან აშუქებს იმ დროის ცხოვრების ცალკეულ მხარეებს. წიგნი კიდევ იმით არის საინტერესო, რომ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მრავალი უცხოელი ჩამოდიოდა საქართველოში, მაგრამ ჯონსონი იყო ერთ-ერთი პირველი ინგლისელთაგანი, რომელიც ჩამოვიდა საქართველოში და ასე ზედმიწევნით აღწერა თავისი მოგზაურობა ჩვენს ქვეყანაში. თავის წიგნში მან შეიტანა მოკლე, მაგრამ ცოცხალი ამბები, რის დანახვაც მოასწრო უნაგირიდან და თავის ხანმოკლე გაჩერებების დროს გზაზე.

იმ დროის მკითხველს ჯონსონის წიგნიდან შეეძლო მიეღო მთელი რიგი საყურადღებო ცნობები და პრაქტიკული რჩევა-დარიგებანი. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ 1818 წელს ლონდონში გამოცემულმა ამ წიგნმა მაშინვე მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება და ერთი წლის შემდეგ გამოიცა პარიზში ფრანგულ ენაზე.

**ნატალია ორლოვსკაია**

# ჩვენი „ნახევრადქართველი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ" ლონდონში ჩვენი ჩასვლის აღსანიშნავად ვახშამი მოაწყო. ამ საღამოს, მასპინძლებთან ერთად, ესწრებოდა მთელი ჩვენი ჯგუფი, შემდგარი რუსების, უკრაინელების, ქართველებისა და ყაზახებისაგან.

სუფრაზე ჩვენს კუთხეს მასპინძლობს ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის (სლავური ენების) კათედრის ასპირანტი ლესლი კოლინზი — საკმაოზე მეტად რომანტიკული ახალგაზრდა, პოეტი და ნოველისტი.

ლონდონის უნივერსიტეტს ჩვენთვის წმინდა სუბიექტური მნიშვნელობაც აქვს. აქ მოღვაწეობს ცნობილი ქართველოლოგი, პროფესორი დევიდ მარშალ ლანგი. შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში სიამოვნება მქონდა გავცნობოდი ბატონ ლანგს თავის მეუღლე ქალბატონ ჯანეტ ლანგთან ერთად ვარძიის გამოქვაბულთა ლაბირინთებში.

— უკაცრავად, ხომ არ იცნობთ პროფესორ ლანგს? — ვეკითხები ლესლი კოლინზს.

— მმ, — დამახასიათებელი სარკაზმით გაიცინა მან, — ვიცნობ თუ არა ჩემს ნათლიას, რომელმაც ჩემი „გაქართველებაც" მოინდომა? არა, არა, ჩემგან საკმარისია ერთი აღმოსავლური ენაც, თუმცა, როგორც ფილოლოგს მეორეც არ მაწყენდა, მაგრამ მომავალი წინ არის. როგორ, გსურთ მასთან აუდიენცია? სიამოვნებით!

კოლინზი იმარჯვებს უბის წიგნაკსა და კალამს. მე მიწევს ჩემი სახელისა და გვარის სპელინგი ინგლისურად. მისამართი ოტელისა, სადაც ჩვენ გავჩერდით, მისთვის ცნობილია.

მეორე დღეს პორტიემ გადმომცა ბარათი ჩვენი წუხანდელი კომპანიონისაგან არცთუ სასიამოვნო ცნობით. პროფესორი ლანგი ბულგარეთში გამგზავრებულა და მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ იქნება ლონდონში. ჩამოვა კი ამ დროისთვის?

პირველ მაისს — მსოფლიო პროლეტარიატის დიდ დღესასწაულს ვზეიმობთ „იორკ ოტელში" გამართულ საღამოზე. დამტარებელი გვეუბნება, რომ ქართველებს კითხულობს მისტერ ლანგი... წუთიც და საპატიო სტუმარი, ქ-ნ ჯანეტასთან ერთად, ჩვენს წრეში ექცევა. ქართული სასმელებით დამშვენებულ სუფრაზე გულთბილი საუბარი გაიმართა. დაილია საბჭოთა და ინგლისელი ხალხების მეგობრობის, მშვიდობისა და ურთიერთგაგების, ინგლისელი ქართველოლოგებისა და ქართველი ინგლისოლოგების, ქ-ნ ჯანეტ ლანგისა და ქართველი მანდილოსნებისა და სხვა სადღეგრძელოები... ქ-ნი ჯანეტა საქართველოში უკანასკნელი ვიზიტით გამოწვეულ დიდ აღტაცებას გამოთქვამს. გვიამბობს, თუ როგორი განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ხერთვისმა და თმოგვმა, ვარძიამ და წინანდალმა, თბილისმა და თელავმა, ქართველი ხალხის შეუდარებელმა სტუმართმოყვარეობამ. ხოლო სიმღერები? ვარძიაში, გამოქვაბულის კედლებს მიხეთქებული ნაირხმიანი და ომახიანი ქართული მრავალჟამიერი და სხვა სუფრული სიმღერები ღმერთების ყივილს უფრო მოგაგონებდათ ოლიმპოს მთაზე, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავთა სიმღერას... განუმეორებელია ქართველ ქალთა ნატიფი, ნარნარი ცეკვები.

— ჩემი თავი ზღაპრული დევგმირების და ნიმფების ქვეყანაში მეგონა. ძალიან ვწუხვარ, არ მოგვეცა საშუალება გავცნობოდით ოქროს საწმისის სამშობლოს — კოლხეთს, დასავლეთ საქართველოს. ოთხი ბავშვი, რომელთაგანაც ორს ქართული სახელები ჰქვია და ოჯახი, სამწუხაროდ, ადამიანს არ გაძლევს საშუალებას, თუნდაც იშვიათად, თავს ასეთი სიამოვნება არგუნო. და კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქარი, რომელიც საქართველოს ასე ხშირად მაგონებს, ეს შესანიშნავი ქართული ჰედური ხელოვნების ნიმუში — სამაჯურია, ქართველი მანდილოსნების სახსოვარი. მე მას ერთგვარ რელიქვიად ვთვლი და დღენიადაგ თან ვატარებ ხოლმე.

ქ-ნ ლანგის ქართულ სუვენირებს ჩვენის მხრივ ჰედურივე ხელოვნების რამდენიმე ნიმუშს და ვენერა ურუშაძის „ქართული პოეზიის ანთოლოგიას" ვუმატებთ.

პროფესორი ლანგი თავის სტიქიაშია.

— მაშ, ყმაწვილო, თქვენ პაპიროსს არა სვამთ,— მომმართავს მე. ოდნავ შევყოყმანდი. მეგონა, ქართველოლოგი შეცდომაზე დავიჭირე. ხმამაღალი ბარიტონით გადაიხარხარა.

— როგორ, გურიაში, ხიდისთავში, განა ასე არ ლაპარაკობენ?

— არ მეგონა, ბატონო, თქვენ პროვინციულ ქართულსაც თუ იცნობდით, თორემ ხიდისთავური მე მკითხეთ, — სიცილითვე ვუპასუხე, აშკარად ნასიამოვნებმა, პროფესორი შეცდომაში რომ ვერ დავიჭირე.

— ვიცნობ, კარგად ვიცნობ საქართველოს. რამდენჯერმე ვიყავი თქვენს ქვეყანაში. არ გაგიკვირდეთ, ჩემს თავს ნახევრადქართველად რომ ვთვლი. მრავალი შრომა და ნარკვევი დამიწერია საქართველოზე, მის გმირულ და რომანტიკულ ისტორიაზე, კულტურაზე. რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით ჩემი რედაქციით ხელმეორედ დაიბეჭდა მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი", ოლივერ უორდროპისეული „ვისრამიანი", ინგლისურად ვთარგმნე „სიბრძნე ბალავრისა", ამავე ენაზევე გამოვეცი „ქართველ წმინდანთა ცხოვრება და მოღვაწეობა"...

წასვლის წინ „ნახევრადქართველმა", ქართული სუფრის ტრადიციის თანახმად, გამოსამშვიდობებელი სადღეგრძელო შეითხოვა. ერთხელ კიდევ დალოცა ქართული მიწა, მისი შვილები და ცოტა შექეიფიანებულმა ვეღარ დამალა თავისი სიმპათია ქართველი მანდილოსნებისადმი. „დიდი მოკითხვა ლამაზ გოგონებს, ჩემს კარგ გოგონებსო" და იქვე აუხსნა მეუღლეს აღტაცების მიზეზი. ქ-ნ ჯანეტამაც აღარ დააყოვნა და კომპლიმენტი უძღვნა ჩვენს მანდილოსნებს.

მეორე დღეს საპასუხო ვიზიტით ლონდონის უნივერსიტეტში ვართ. პროფესორ დ. ლანგის კაბინეტი... მეცნიერის ბიბლიოთეკაში უცხოელ ორიენტალისტთა წიგნების გვერდით ყურადღებას იპყრობს ქართველ მეცნიერთა შრომები. ერთმანეთის გვერდზე ჩამწკრივებულან კ. კეკელიძის, კ. გამსახურდიას, გ. მელიქიშვილის, გ. წერეთლის, ალ. ბარამიძის, შ. ნუცუბიძის, შ. ამირანაშვილის, პ. გუგუშვილის და სხვათა ნაშრომები. აქვეა საქართველოში და, საერთოდ, საბჭოთა კავშირში გამოცემული უამრავი წიგნები — მხატვრული, პუბლიცისტური, მეცნიერული. კაბინეტის ბევრი სხვა საგანიცაა დაკავშირებული საქართველოსთან.

ქართველოლოგის ბიბლიოთეკას ვუმატებ პროფესორ დავით გამეზარდაშვილის მიერ დ. ლანგისადმი გატანებულ რამდენიმე ტომს („ხომ კარგად ბრძანდება, დიდი მადლობა გადაეცით ჩემს სეხნიას, ბატონ დავითს"), „ვეფხისტყაოსნის" სერგი წულაძისეულ თარგმანს ფრანგულ ენაზე („ფრიად ნასიამოვნები ვარ ამ საჩუქრით. რამდენიმე ეგზემპლარი აქაურებმა, ამ წიგნით დაინტერესებულმა პირებმა მომტაცეს"). თავის მხრივ, არც მასპინძელი დარჩა ვალში და ავტოგრაფებით გვაჩუქა „ქართველი წმინდანების ცხოვრება" და „სიბრძნე ბალავარისა".

— თბილისიდან მივიღე დეპეშა ბ-ნი ვეკუას ხელმოწერით. მეპატიჟებიან აკად. აკაკი შანიძის იუბილეზე. მისალოცი ტელეგრამა გავგზავნე. დიდი სურვილი მაქვს ჩემი სახელით პირადად მიულოცოთ მხცოვან მეცნიერს და საზოგადოებას წაუკითხოთ შემდეგი შინაარსის ბარათი:

„დაბადების ოთხმოცი წლისთავთან დაკავშირებით ჩემს მამათმოძღვარს ბ-ნ აკაკი შანიძეს მსურს გადავცე საუკეთესო სურვილები. დიდი ხნის სიცოცხლე და ჩემთვის საყვარელი ქართველი ხალხისათვის კვლავ ხანგრძლივი სამსახური. უკანასკნელად ბ-ნი აკაკი ჩვენი რუსთაველის რვაასი წლისთავთან მოწყობილ მსოფლიო დღესასწაულზე ვინახულე. სასიამოვნოა, კავკასიონის მწვერვალებივით თმაშევერცხლილი პროფესორი კვლავ კავკასიონივით ამაყად გამოიყურება. მისი საქმე მყინვარივით მარადი და უდნობია. ვწუხვარ, გარკვეული მიზეზების გამო, პირადად ვერ ვესწრები ჩემი ანგელოსმფარველის დღესასწაულს.

ბ-ნი აკაკი შანიძის უმცროსი მოწაფე, თქვენი ნახევრადქართველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი დავით მარშალ ლანგი.

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით ჯანეტა ლანგი".

აღნიშნული მილოცვის ტექსტი საჯაროდ იქნა წაკითხული აკადემიკოს აკაკი შანიძის იუბილეზე.

ლონდონის უნივერსიტეტის ეზოში. მარცხნივ არ. გეგეჭკორი, მარჯვნივ დ. ლანგი.



**არნოლდ გეგეჭკორი,**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა





# სამანიშვილის დედინაცვალი





რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე დიდი წარმატებით მიდის დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“. სპექტაკლი თავისებურად და ორიგინალურად არის ჩაფიქრებული და დადგმული — მსახიობები გამოდიან უგრიმოდ, ჩვეულებრივ კოსტუმებში. ამან თითქოს უფრო გაუსვა ხაზი და მკაფიოდ გამოკვეთა ის დიდი სიმართლე, რომელიც ნაწარმოებშია გადმოცემული; ეს სპექტაკლი ახალი სიტყვაა ჩვენს სასცენო ხელოვნებაში. რუსთაველის თეატრი ამჟამად საგასტროლოდ იმყოფება სახალხო პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. „სამანიშვილის დედინაცვალი“ იქაც მაყურებლის დიდ მოწონებას იმსახურებს.

# გამომძიებლის შეცდომა*

ნოდარ ცხირელი

შალვა ქლიბიძე გამოვიდა პატარა წვეულებიდან, რომელიც მოაწყო მისმა მეგობარმა ქალმა თინა კიკნაველიძემ. რამდენიმე წუთის შემდეგ ქლიბიძე ქუჩაში მოკლეს. შემთხვევის ადგილის მახლობლად იდგა ტაქსი, რომლის ნომერიც ვერავინ დაინახა. მეორე დღეს ერთ-ერთ ტაქსში აღმოაჩინეს კლიენტის მიერ დატოვებული ისეთივე სათხილამურო საცხისი, როგორიც მკვლელს დაუვარდა ქუჩაში. გამომძიებელ სულაძეს აეჭვებს კიკნაველიძის მეზობლის ოჯახი, რომლის ბინაც მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე გატეხეს. უცნობმა ბოროტმოქმედმა არაფერი წაიღო, იგი ცდილობდა მხოლოდ კიკნაველიძის ბინაში შეეღწია. ქურდის მიერ დატოვებული ანაბეჭდები დაემთხვა ანაბეჭდს მკვლელობის ადგილას დავარდნილ საცხისზე.

გამომძიებელი სულაძე ცდილობს გაარკვიოს, რა იცის ტაქსის შოფერმა მთელი ამ ამბების ირგვლივ.

— მოდი, დათიკო, ამ მიკიბ-მოკიბვას თავი დაანებე! — გამომძიებელმა თითქოს დააპირა ყოველ შემთხვევისათვის ხმა აეწია, მაგრამ ისევ გადაიფიქრა და მეგობრული კილოთი განაგრძო: — მკვლელობის ადგილზე საცხისი გდია. შენს მანქანაში კიდევ ცხრა ასეთი საცხისი დევს. ესე იგი, ან შენი მანქანა იქ იყო, როცა ბოროტმოქმედება მოხდა, ან შენ გაიხსენებ აქ, ამ წუთში, რომელ კლიენტს დარჩა და სად ჩაჯდა!

— უფროსო! მე განა გითხარი, არ გავიხსენებმეთქი? — შოფრის დაღლილი ნაკვთები შემპარავ ღიმილად დაიკეცა, — მე ხომ იცი, მილიციასთან ყოველთვის ეგრე ვარ! (მან თითები ერთიმეორეს მიადო) — თუ გინდა, გაიგე: რაიონიც და სამმართველოც კარგად მიცნობს.

— კარგად იქნები, აბა რა? ისე ტაქსზეც არ იმუშავებ, — სულაძემ ეს თემა ისევ გვერდზე გადასდო, — აბა, ჰა, სწრაფად: ვინ ჩაჯდა, როდის ჩაჯდა, ეგ საცხისები როგორ დატოვა? თქვი ახლა, თორემ, აქედან პირდაპირ სატუსაღოში წახვალ!

შოფრის სახემ საწყალი გამომეტყველება მიიღო — რა ვქნა, უფროსო? ვერ გავბედავ! ხომ იცი ჩემი ხელობა: კაცს ჩემი ჯავრი ჰქონდეს, უკან ჩამიჯდება. ისე გამასაღებს, კრინტის დაძვრას ვერ მოვასწრებ.

— ხომ იცი, ყალბ ჩვენებაზე რა არის?

— აბა რაზე მოგატყუო, უფროსო? მე ბრალი არ მედება. შენც ხომ იცი — მანქანა მკვლელობის დროს გარაჟში მეყენა. საგზური ჩაბარებული მქონდა.

— მართალია, მაგრამ ბოროტმოქმედს მაინც არ უნდა შეუშინდე. შეგიძლია აღწერო ის კაცი როგორი იყო?

— აი, მე რომ ვარ, ამაზე ცოტა დაბალი. შავ-შავი. რგვალი სახე. ცხვირი, ესენი, — ტაქსისტმა ყვრიმალებზე ხელი მიიდო, — პატარა. ულვაშები არა აქვს. აქ ტუჩი გახეთქილი, თუ გაჭრილი. ისე ძალიან ეტყობა, რომ შეხედავ, ყურადღებას მიაქცევ. ნაცრისფერი კეპკა ახურავს. ცოტა ჩამოწეული. მოკლედ, გამორჩეული ვინმეა. რომ დაინახო, ხელათ მიხვდები...

— შენ რომ ნახო ახლა, იცნობ?

— ვაჰ, როგორ არ ვიცნობ! ასი კაცი რომ დამიყენო წინ, იმ წუთში ხელს დავადებ.

— რა ასაკისა იყო?

— ასე ოცდასამის-ოცდახუთის. შეიძლება მეტისაც, — ტაქსისტის სახეზე უცებ მეტისმეტად შესაბრალი ღიმილი გამოისახა, რომელსაც, შიშთან ერთად, რაღაც საჩოთირო წინადადებაც უნდა გამოეხატა.

---

* იხ. „დროშა", № 3, 5.



— უფროსო! პირზე ნუ დამაყენებ, რა! — თქვა მან გულით და ლამის ხმის კანკალით, — მაინც ყველაფერზე უარს დაგირტყამ! ისე, ჩემი თავი გენაცვალოს! სადაც გინდა, წამოგყვები, სადაც გინდა, დავდგები. იმ კაცს ვიცნობ. ოღონდ მე ნუ გამომაჩენ! ისეც ნაწვალები კაცი ვარ. ის ხალხი არ გადამკიდო.

სულაძემ ცოტა დამცინავად, ცოტა ყოყმანით გაუმართა თვალი, მაგრამ შოფრის წინადადება გონივრული ჩანდა, სულაძეს ეს წინადადება ჭკუაში დაუჯდა.

— კარგი, ეგრე იყოს, — თქვა მან, — როგორც კი დაინახავ, გაჰყვები და პირველივე შესაძლებლობისას მე დამირეკავ. ოღონდ ხო იცი!—შოფერს კიდევ თითით დაემუქრა. — ერთი პატარა ტყუილი და საჭეს ველარ მიეკარები.

— ვიცი, უფროსო! —დაუდასტურა შოფერმა მშვიდი და მორჩილი ღიმილით.

## თავი მეხუთე

თინა კიკნაველიძე ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა კაბინეტში და პირდაპირ გამომძიებლის მაგიდისკენ გაემართა. მას იგივე შავი ქურქი ეცვა, რაც წუხელ, სახეზე შავი პირბადე ეფარა.

— დაბრძანდით! — უთხრა გამომძიებელმა.

ქალი დაჯდა.

— იცნობდით თუ არა მოქალაქე ქლიბიძეს, შალვა ვახტანგის ძეს, რომელიც მოკლულ იქნა ამა წლის ოცდაშვიდ იანვარს?

ქალმა ამოიოხრა. გამომძიებლის ცივი, კანცელარიული კილო, ეტყობა, სხვა იყო, ვიდრე ის, რის გასაგონადაც იგი მოემზადა.

— დიახ, ვიცნობდი.

— როდიდან იცნობთ?

— ათას ცხრაას ოცდათოთხმეტი წლიდან. სკოლა ერთად დავამთავრეთ.

— გასაგებია! — გამომძიებელი შეუცხნდა, რადგან ეს ცნობა მისთვის ახალი იყო, მაგრამ შეეცადა, დასაკითხვისთვის ეს არ ეგრძნობინებინა. — ერთი ეს მიბრძანეთ: თქვენი... მეგობრობა ქლიბიძესთან ადრე დაიწყო? ახალგაზრდობიდანვე დაახლოებული ბრძანდებოდით?

— ო, დიახ! — თქვა ქალმა, — შალვა რომ მოიყვანეს, მეხუთე კლასში ვიყავით. ლამაზი,შავგვრემანი ბიჭი იყო და პიჯაკი ეცვა მაშინ, როცა სხვა ყველა ბიჭები ჯერ ქამრიანი ხალათებით დადიოდნენ. მშობლები ერთმანეთს გაცილებული იყვნენ და ორივენი ცალ-ცალკე ანებივრებდნენ, მაშინაც და მერეც. დასვენებაზე გოგოები შემოეხვივნენ და საათის ჩვენება სთხოვეს, რა თქმა უნდა, გაცნობის საბაბად. შალვა ამ დროს მერხზე შემდგარიყო, საათი მოიხსნა და ყველას თავს ზემოთ მე გამომიწოდა...

სულაძე გულდაწყვეტით შეიჭმუხნა.

— ამას არ გეკითხებით, ქალბატონო. მე გეკითხებით: როდის მოხდა თქვენი სერიოზული დაახლოება ქლიბიძესთან? ახალგაზრდობაში? თუ მერე? თუ სულ ბოლო ხანებში?

ქალს მკრთალ სახეზე ფერმა გადაჰკრა. როგორც ჩანს, დღის განმავლობაში მიღებულმა სამძიმრებმა ცოტა არ იყოს მგრძნობიარე გუნებაზე დააყენა და ეს ოფიციალური ჩარევა მის პირად ცხოვრებაში ახლა მით უფრო ეუცხოვებოდა.

— მე არ მესმის თქვენი შეკითხვის აზრი, — თქვა თავდაჭერილად. — უკეთ რომ ვთქვათ, თქვენი შეკითხვის მიზანი...

— მე მაინტერესებს, ვის შეხვდა და დაუახლოვდა პირველად — თქვენ თუ თავის საცოლეს,— მკაცრად განუმარტა სულაძემ.

— თავის საცოლეს, — უპასუხა აჭარხლებულმა თინამ.

— კარგი, მაშ სკოლა დაამთავრეთ და მერე ქლიბიძე რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტში სწავლობდა, თქვენ — პოლიტექნიკურში. მაგრამ ერთმანეთს, ალბათ, ისევ ხვდებოდით! — ქალმა თავი დაუქნია. — შემდეგ ჯარში გაიწვიეს. ტყვედ იყო. დაბრუნდა, ოჯახს მოეკიდა. შემდეგ კვლავ რეპრესირებული იყო. ერთი მიბრძანეთ: რომ დაბრუნდა, მერე მან მოგნახათ, თუ თქვენ მონახეთ? თუ, ერთმანეთს შემთხვევით შეხვდით?

— მან მომნახა! — თქვა ქალმა ისე, თითქოს ამ სიტყვით სრულ რევანშს იღებდა, — ერთ ჩვენს საერთო ამხანაგს ჰქონდა ჩემი ახალი მისამართი. იმით მომძებნა.

— რატომ? საქმე ჰქონდა თუ თქვენი ნახვა მოენატრა? დავალება ხომ არაფერი მოგცათ?

— მე მამა იურისტი მყავდა. შალვამ არ იცოდა, რომ ის ცოცხალი აღარ იყო. უნდოდა, თავის საქმეზე ეთათბირა. მაგრამ მერე მხედველობიდან აღარ დამკარგვია.

— მაშ, მაინც საქმე ჰქონია! — ფრთხილად შენიშნა გამომძიებელმა.

— დიახ, — უხალისოდ დაეთანხმა ქალი.

სულაძემ აცალა ქალს, მისი პირადულის ამ ულმობელი ჩხრეკით მიყენებული წყენა განელებოდა, შემდეგ ოქმი გვერდზე გადასდო და თინას უთხრა:

—მე როგორც მესმის, ქალბატონო, თქვენ დაზარალებულის მეგობარი ბრძანდებოდით. ოჯახი ჰყავდა, მართალია, მაგრამ ოჯახთან საერთო ენას ვერ ნახულობდა. მხოლოდ შვილების გულისთვის ინარჩუნებდა ურთიერთობას, ნუგზარისა და თამრიკოსთვის. — გამომძიებელი დინჯად, გულითადი ინტონაციებით ლაპარაკობდა, თან, თითქო, სიტყვებს ეძებდა, რაც მის კილოს კიდევ უფრო დიდი უშუალობის შთაბეჭდილებას უქმნიდა. ქალი მას მოუშორებლად, მოდარაჯე თვალით უყურებდა. —

თქვენთან, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი რამ აკავშირებდა. პატივს გცემდათ, გენდობოდათ. ალბათ, გინდათ, რომ მისი მკვლელი დაისაჯოს?

— ოო, დიახ! — აღმოხდა ქალს. მას სახე შეუტოკდა, რასაც ამბობდა, ეტყობა, მისი ღრმა და მეტად პიროვნული სურვილი იყო, იმდენად პიროვნული, რომ მის გამხელასაც კი, თითქო, ვერ ბედავდა. — ოღონდ ის დაისაჯოს, ბატონო, და...— ქალის სახეზე ერთ წამს უცხო გამომეტყველება გამოკრთა, — ჩემს ქონებას, თუ რამე მაქვს, ჩემს სიცოცხლეს — ყველაფერს ამას ვანაცვალებ!

გამომძიებელმა, დროებით, უყურადღებოდ დატოვა ქალის წინადადება ქონების თაობაზე.

— მაშინ თქვენივე ინტერესი მოითხოვს, არაფერი დამალოთ. ვისზე გაქვთ ეჭვი, რომ შეიძლება ქლიბაძის მოკვლა ნდომებოდა?

— ეგ არის უბედურება, რომ კონკრეტულად არავისზე!

— არაკონკრეტულად?

— შალვა ბევრს არ უყვარდა... ხომ იცით, მაგარი კაცი იყო. ყველა ძნელ საქმეში პირველს იმას უშვებდნენ. მისაღები გამოცდების დროს სადღაც გზა გადასაკეტია — მაგან უნდა გადაკეტოს. ვიღაცას ქულა არ ეყო — სია მაგან უნდა წაუკითხოს. ყველაფერს მაგას აკისრებდნენ, როგორც დაბალ ღობეს... — ქალმა მწარე ირონიით ჩაიცინა. — ის კი არ იცოდნენ, საქმე ასე უბედურად არ წასულიყო და, მაგათ ყველას უკან მოიტოვებდა!

გამომძიებელმა არ შეიმჩნია დასაკითხის მწარე ჩაცინება „დაბალი ღობის“ ხსენებაზე.

— მაშ თქვენ გგონიათ, რომ გარეთ დარჩენილმა აბიტურიენტებმა მოკლეს?

— რა თქმა უნდა! — თქვა ქალმა.

— მაინც, ვინ ემუქრებოდა? ვის სჭირდა მისი ჯავრი?

— ვინც უკმაყოფილო რჩებოდა. ეს ჩამბარებლები და მათი პატრონები რომ გამწარდებოდნენ, ყველაფრისთვის მზად იყვნენ. ნაშეშვერების ნახვაც მოუნდებოდათ, გამომცდელების შემოწმებაც. ყველა ესენი შალვას უნდა მოეგვარებინა.

— მაშ მხოლოდ ჩამბარებლები და მათი მშობლები არ გყავთ მხედველობაში, როცა შალვას მოძულეებზე ლაპარაკობთ?

ქალი შეიშმუშნა.

— არა, მხოლოდ ჩამბარებლები არა.

— აბა ვინ კიდევ?

ქალი წრიალებდა, თითქოს სათქმელის პირველი ბგერის წარმოთქმა უჭირდა. მერე გულისნადებს გზა მისცა.

— სუყველანი: ლექტორები, კოლეგები, თანამშრომლები! მაგ ფილიალში დირექტორი ცნობილი მეცნიერია. ის მუდამ კონგრესებზეა ან ლაბორატორიაში. ფილიალს ფაქტიურად ვარდოსანიძე განაგებს. ჰოდა, შალვასი შურდათ, რომ მასთან ახლოს იყო. სძულდათ, ვერ იტანდნენ, კბილით დასაგლეჯად ემეტებოდათ. რას არ უგონებდნენ, რას! ო, ღმერთო ჩემო! თუ სადმე სამართალია, ამათ ამდენი სიბოროტე როგორ უნდა შერჩეთ?..

ბოლოს და ბოლოს გამომძიებელმა ქალი გააჩერა.

— მაშ აბიტურიენტების დაშოშმინებას ქლიბაძეს ის მოძულე ლექტორები ავალებდნენ?

ქალმა თავის პასუხში წინააღმდეგობა ვერ შენიშნა.

— არა, მაგრამ ყოველნაირად საქმეს უფუჭებდნენ. სახელს უტეხდნენ. ცდილობდნენ ლაფში ამოესვარათ...

გამომძიებელმა კილო შეცვალა.

— მაპატიეთ. თქვენ, ალბათ, ამჩნევდით, რომ ქლიბაძეს მეტი მატერიალური თავისუფლება ჰქონდა, ვიდრე კომენდანტის ხელფასს შეეფერება. რა იყო ამ კეთილდღეობის წყარო?

— როგორც გითხარით, დირექციასთან ახლოს იყო. — ქალი ახლა სხაპასხუპით ლაპარაკობდა. — ბევრ მდგომარეობის პირთან უხდებოდა შეხვედრა. ჰოდა, ზოგჯერ თუ რამეს სთხოვდა — წარმოსადეგი კაცი იყო, დარბაისელი, ალბათ, გახსოვთ — პატარა სამსახურზე უარს არ ეტყოდნენ, ხან დეფიციტურ ავეჯს გამოუტანდნენ ხოლმე, ხან საგზურს, ხან ხათრით ვინმეს საბინაო კოოპერატივში შეუყვანდნენ. შალვაც ხშირად აწუხებდა, ხან თავისთვის, ხან სხვისთვის. მოგეხსენებათ, ეს კაცს გარკვეულ უპირატესობას აძლევს...

გამომძიებელმა ქალის გამოცოცხლებულსა და თითქოს აჩქარებულ სახეს დაკვირვებით შეხედა.

— თქვენი წუხანდელი სტუმრებიდან ხომ არავის გაუწევია ქლიბაძისათვის ასეთი დახმარება? ან პირიქით?

ქალს გახსენება არ გასჭირებია.

— შალვას მეგობრებს ალავიძე სე-ტყის შოვნაზე დაეხმარა, როცა ავარაკების მშენებლობა წამოიწყეს. ბუკიასთვის, მართალი გითხრათ, არაფერზე მიგვიმართავს. გვარამიძემ რამდენჯერმე ავეჯი გვიშოვნა, მაგრამ მისთვის ეს მაშინ არაფერი იყო. „ავეჯვაჭრობაში“ მუშაობდა.

— ახლა სად მუშაობს?

— ახლა არსად. ორი თვეა, უსამსახუროდ არის. ბუკიასთან უნდა მუშაობის დაწყება, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

— ბუკიასთან სად? სარეწაო კოოპერაციაში?

— დიახ. ბუკიას ერთი თვის წინ მომარაგება-გასაღების უფროსი გარდაეცვალა. გვარამიძე ხწორედ ამ დარგში მუშაობდა.

— საიდან იცნობდა ბუკიას? — იკითხა გამომძიებელმა.

— წუხელ გაიცნო.

— თქვენთან?

— დიახ, ჩემთან.

გამომძიებელმა მოუთმენლობა ძლივს დამალა.

— ვინ იცოდა ამის შესახებ?

— რომ მომარაგების უფროსი მოკვდა?

— რომ გვარამიძე და ბუკია წუხელ თქვენთან ერთმანეთს ხვდებოდნენ?

— შალვამ, ალავიძემ, თვითონ გვარამიძემ. ბუკია, მართალია, წინასწარ არ გამიფრთხილებია.

— ვარდოსანიძეებს არ უთხარით, სტუმრად ვინ გეყოლებოდათ?

— ვუთხარი, მაგრამ, მე მგონი, არ იცოდნენ, გვარამიძე რომ ბუკიას იცნობდა.

გამომძიებელმა მოჩვენებითი დაღლილობით ამოიოხრა და საუბარი კვლავ სხვა თემაზე გადაიტანა.

— მაშ თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ აბიტურიენტებმა მოკლეს? — თქვა მან.

ქალმა თავი დაუქნია.

— დიახ. ასე მგონია.

— თან ლექტორებმა უმტრეს: სახელი გაუფუჭეს, დაჩაგრეს, კოლექტივს გადაჰკიდეს?..

— ო, თქვენ არ იცით, ბატონო, რა ხალხია! — როგორც კი სიტყვა შალვას კოლეგებს შეეხო, ქალი, კარგად აწყობილი ავტომატივით კვლავ წონასწორობიდან გამოვიდა. — რა შური, რა ღვარძლი, რა ბოროტება! არაფრად დაინდობდნენ, ბატონო! საშუალება რომ ჰქონოდათ, ახო-ახო დაგლეჯდნენ...

დაკითხვის გაგრძელებას — მით უმეტეს, ქალის სიტყვებში ლოგიკის ძიებას აზრი აღარ ჰქონდა. საქმე ნათელია: იგი მკვლელობას აბიტურიენტებს აბრალებს, მაგრამ, ამავე დროს, სხვა ვიღაცის ჯავრიც სჭირს და ვერც პირველებზე, ვერც მეორეებზე შურისძიების სურვილს ვერ შეელევა. გამომძიებელმა თავაზიანად, მაგრამ მკაცრად შეაჩერა მანდილოსანი, რომელსაც ქლიბაძის კოლეგების წყევლა-კრულვა, ალბათ, არ მოსწყინდებოდა, ოქმზე ხელი მოაწერინა და შინ გაისტუმრა. გაისურა თუ არა კარები, კაბინეტში ოპერრწმუნებული ხურდული შემოვიდა.

სულაძემ შვებით ამოისუნთქა.

— კიდევ კარგი, გივი, რომ ის გოგო ჯერ არ დავკითხეთ.

— რატომ, პატივცემულო უფროსო?

— რატომ? იმიტომ, რომ ჯერ ადრეა. ჯერ იმ ინსტიტუტის ფილიალს უნდა ვიცნობდეთ ისე, როგორც ესენი იცნობენ. ან ისე მაინც, როგორც თვითონ გოგო იცნობს. — სულაძემ მოკრიბა საქმის მასალები, რომლებმაც უკვე კარგა სქელი საქაღალდე შეადგინეს, და უფროსთან მოსახსენებლად გავიდა.

## თავი მეექვსე

ცოტა ხნის შემდეგ გამომძიებელმა მანქანა გამოიძახა და გივისთან ერთად უკანა სკამზე მოთავსდა.

— საით? — იკითხა მძღოლმა.

— ჩუღურეთისკენ, — უბრძანა გამომძიებელმა.

მანქანა სწრაფად აიჭრა ქვაფენილიდან ასფალტში და წუხანდელ [illegible] გვერდით [illegible]. სულაძემ მანქანა არ გააჩერებინა მანამდე, სანამ აღმართი ბოლომდე არ აიარეს, ზევით ვიწრო გასავალში მოუხვიეს და მეორე ქუჩით მკვლელობის ადგილის მოპირდაპირე კუთხემდე ჩამოვიდნენ. ახლა მანქანა ისე იდგა, რომ ერთ-ერთი ფიცრული ჯიხურის წინ გაჩერებული ეგონებოდა და შიგ მანქანაში მსხდომნი საუწყებო სახლს ცერად, მაგრამ საკმაოდ ახლოდან უყურებდნენ.

ქუჩაში მისვლა-მოსვლა თითქმის არ იყო, მაგრამ ოციოდ წუთში ერთმა მანქანამ და კარგად ჩაცმული ხალხის ორიოდე ჯგუფმა მაინც აიარა სადარბაზომდე და უკანვე ჩამოიარა. ეტყობა, თინა კიკნაველიძესთან სამძიმარზე მისვლა გრძელდებოდა. მისი მეზობლის კარიც გაიღო და რკინის აივანზე წუხანდელი გოგო გამოვიდა. „მერი!“ — გაიხსენა სულაძემ გოგოს სახელი, რომელიც წუხელ აქეთ მის სხვა ანკეტურ მონაცემებთან ერთად დაადგინეს. „მერი დგებუაძე, ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი“. გოგომ სწრაფად მოკრიბა გასაშრობად გაფენილი კაბები და ოთახში შევიდა. შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქო ღიღინებდა, თუმცა სულაძეს ხმა არ გაუგონია. „ქლიბაძე რომ მოკლეს, ნამდვილად იცის — ფიქრობდა ამ დროს გამომძიებელი.— მაგრამ იმასაც ხვდება, ნეტავ, რომ ეს მისი ბინის გამტეხავის საქმეა? ან, მით უმეტეს, რომ მისი ბინის გამტეხს იქ ნივთმტკიცება დარჩა? არა, ეს შეუძლებელია. გოგო ვერ ხვდება რა არის საერთო ამ ორ ამბავს შორის და რაც გვიან მიგახვედრებთ, ძიებისთვის უკეთესია!“

მეორედ გოგო მაშინ გამოვიდა აივანზე, როცა ქვემოდან სამმა ვაჟმა და ერთმა ქალიშვილმა დაუძახეს. ახალგაზრდებმა მერის რამდენიმე ფირფიტა დაანახვეს და, ეტყობა, ამოსვლის ნება სთხოვეს. მაგრამ მერიმ თავის გაქნევით უარი ანიშნა. „რატომ?“ ჰკითხეს ახალგაზრდებმა. „მეზობელი მგლოვიარედ არის“ — აუხსნა მერიმ ხმის დაწევითა და პირზე ხელების მოფარებით, მაგრამ კრიმინალისტებმა მისი ხმა მაინც გარკვევით გაიგონეს. მაშასადამე, გოგომ იცის, რომ ქლიბაძის სიკვდილზე გლოვა მის მეზობელს შეართებს.

სულაძეს არც ჰქონდა იმედი, რომ ასე დგომით ბევრ რასმე აღმოაჩენდნენ, მაგრამ იმიტომ რჩებოდა მაინც აქ და მილიციის მანქანასაც აჩერებდა, რომ ასე, შემთხვევის ადგილის უშუალო სიახლოვეში, ფიქრი უფრო ეხერხებოდა. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ახალი აზრი მოუვიდა. გოგოს ბინაში ტელეფონი არ არის, ეს გამომძიებელმა თვითონ ნახა. დედამისმა პროკურატურაში კიკნაველიძის ბინიდან დარეკა, მაგრამ განა ნიშნავს ეს, რომ გოგო მხოლოდ ამ ბინიდან რეკავს და ამხანაგებიც ამ ბინაში ურეკავენ? ალბათ, არა, მით უმეტეს, რომ თინა კიკნაველიძე მსახურობს და არაა მოხალოდნელი, წასვლისას გასაღებს მეზობელს უტოვებდეს.

— აბა, გაიგე, ამ სადარბაზოში ტელეფონი კიდევ ვისა აქვს, — უთხრა სულაძემ ხურდულს.

გივი გადავიდა მანქანიდან და იმავე ავტომატიდან, რომლითაც წუხელ ისარგებლეს, მილიციის განყოფილებას დაუკავშირდა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი ისევ მანქანაში დაბრუნდა.

— ტელეფონი რამდენიმეა, — მოახსენა მან გამომძიებელს, — პატივცემულო უფროსო! აქ ერთი ქალიც ცხოვრობს. ადრე ჩვენთან საპასპორტო მაგიდაში მუშაობდა. ტელეფონი იმასაც უდგას.

სულაძეს და გივის დიდი მალვა არც უცდიათ, ისე შეარჩიეს დრო, როცა სადარბაზოში მაინცდამაინც არავის შეხვდებოდნენ, და მესამე სართულზე

ავიდნენ. მილიციაში ნამუშევარი ქალი შინ მარტო იყო და რამდენადაც ბურდულს ახსოვდა, საერთოდაც ოჯახში ამჟამად არავინ ჰყავდა. „მერის თქვენთან ურეკავენ ხოლმე?“ „დიახ, ზოგჯერ. აქ, ზემო სართულში ცხოვრობს“. „საეჭვო არაფერი შეგიმჩნევიათ?“ „არა, არაფერი, თუმცა ლაპარაკი მეორე ოთახიდან ხშირად მესმის ხოლმე“. (სულაძეს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ქალი როგორც მერის, ისე სხვა მეზობლების ლაპარაკს საგანგებოდ უსმენს). „უფრო ვინ ურეკავს ხოლმე?“ „ბიჭები, გოგონები. განსაკუთრებით არავინ გამოირჩევა. ერთი ვიღაცა ურეკავდა ხოლმე, სხვებზე ბოხი ხმით, მაგრამ რამდენიმე თვეა, აღარ დაურეკავს“... „სახელი?“, „სახელი არ ვიცი. მისი სახელი არც გამიგონია. სულ „მე ვარ, მერი“, ან „შენა ხარ? ხო, მერი ვარ“. რომ დაიკარგა, მერი, ცოტა არ იყოს, დაღონებულს ჰგავდა“.

მაშ, ამგვარად, მერის ვიღაც მეგობარი ვაჟი ჰყოლია ამ რამდენიმე თვის წინ და შემდეგ ერთბაშად ნაცნობობა გაუწყვეტია. საინტერესოა! ნეტა, რა კაცი იქნებოდა? ისეთივე, როგორც ესენი, დღეს რომ მოაკითხეს — საკმაოდ მოდურად ჩაცმული, თამამი, ტაქტიანი და შესახედად უწყინარი? მაგრამ განა ეს კმარა, რომ მერის უხილავი ნაცნობი ეჭვის გარეთ დავაყენოთ?

ასე იყო თუ ისე, გოგოს ის უხილავი მეგობარი მას, რადაც უნდა დასჯდომოდა, უნდა ეპოვნა და გამომძიებელმა თავს ნება მისცა, ინსტიტუტის სპეცნაწილის უფროსი სამსახურში გამოეძახებინა. მას ახლა თითქმის არ ეპარებოდა ეჭვი, რომ მერის მეგობარი დანაშაულის თანამონაწილე, უფრო კონკრეტულად კი — გასაღების მშოვნელი იყო, და გულის სიღრმეში იმედიც ჰქონდა, რომ ინსტიტუტში მიკითხვით შეიძლებოდა მისი კვალი ეპოვნა.

მერის პირადი საქმე, რა თქმა უნდა, ინსტიტუტში ინახებოდა. მის ჯგუფში ვინ სწავლობდა, პრაქტიკაზე ვისთან ერთად ყოფილა — ეს ყველაფერი სპეცნაწილმა ადვილად დაადგინა. მაგრამ ამხანაგები? ამის დადგენა შეუძლებელიც იყო. ხომ არ დაიბარებდნენ, მართლაც, სათითაოდ მის ჯგუფელებს და არ ჰკითხავდნენ, ვის შეხვედრია, როდის, ვის მიმართ რა გრძნობა ამოძრავებს!

— მოთხილამურეთა გუნდი გყავთ? — იკითხა სულაძემ.

— არა, ცალკე არ გვყავს. ისე, „ქარიშხალას“ ნაკრებში ჩვენებიც მონაწილეობენ.

— ხომ არ არის მათგან ახლა ვინმე თბილისში? ან გუშინ, გუშინწინ ხომ არ ყოფილა?

—არა. ყველა შეკრებაზეა. თუ გამოიპარა ვინმე, მწვრთნელი დირექციას შეატყობინებს.

სულაძემ ბედი კიდევ ერთხელ სცადა.

— სელექციის ინსტიტუტში რომ გამოცდები უბარებიათ, თქვენთან ასეთები არიან?

— არ ვიცი, მართალი გითხრათ. ჩვენ აღრიცხვას არ ვაწარმოებთ. ამას უფრო ადვილად სელექციის ინსტიტუტში დაადგენთ. იქ სტუდენტები ცოტა ჰყავთ.

— კარგი. იქაც ვნახავთ, — თქვა სულაძემ, — როგორ ატყობთ, მაინც: ვინც თქვენთან ვერ მოხვდა, ის სელექციის ინსტიტუტში მიდის ხოლმე უფრო, თუ პირიქით — იქ ვერმოხვედრილები თქვენთან მოდიან?

სპეცნაწილის უფროსმა პასუხი შეაყოვნა.

— ეგ ძნელი სათქმელია, — თქვა მან, — სტატისტიკა რას ამბობს, არ ვიცი, ჩვენთან ჩაბარება უფრო ძნელია, მართალია, მაგრამ იქ პატარა კონტინგენტი ჰყავთ. ამიტომ... გარედან მოსული ხალხისთვის ადგილი ნაკლები რჩება.

* * *

ჯერ სპეცნაწილის უფროსის ცდაში, შემდეგ მასთან საუბარში სულაძეს შეაგვიანდა და ქუჩაში მხოლოდ თერთმეტ საათზე აღმოჩნდა. ნახევრად ჩაბნელებულ ინსტიტუტიდან უკვე სტუდენტთა უკანასკნელი ჯგუფები გამოდიოდნენ. სულაძემ გაჭირვებით შეაღწია ტროლეიბუსში, რომელიც ცარიელი მოვიდა, მაგრამ ინსტიტუტის გაჩერებაზე პირთამდე გაიჭედა.

გამომძიებელი რაღაც სიამოვნებას გრძნობდა, ტროლეიბუსი რომ რბილად მიაქანებდა ღამის დაცარიელებულ ქუჩაში და ორი დღის მიუსვლელს შინ დასვენება ელოდა. თავისი უბნის გაჩერებაზე იგი გადმოვიდა და დღის სინათლეებით განათებულ გვერდით ქუჩას აუყვა.

მძიმედ მიმავალ გამომძიებელს ვიღაც ტანდაბალმა ქალიშვილმა გაუსწრო და სულ მოკლე ხანში ასიოდე მეტრით დაწინაურდა. მისი ნაბიჯების სწრაფი ბაკაბუკი მოწმობდა, რომ ცარიელი ქუჩა შიშს ჰგვრიდა და მართლაც, ქუჩა უკაცური იყო, თუ არ ჩავთვლიდით ორი მამაკაცის ლანდს, რომლებიც ზევიდან ნელი და მოშვებული ნაბიჯით ჩამოდიოდნენ. გოგო გაუსწორდა სინათლეში გამოსულ უცნობებს, რომლებიც კარგა ახმახი ახალგაზრდები აღმოჩნდნენ, და ეტყობა, ინსტინქტურად კედლისკენ გაერიდა, რადგან ამან ბიჭებს მისი წაპოტინების სურვილი აღუძრა.

— უი! — წვრილ ხმაზე წამოიძახა ერთმა ბიჭმა, მისი შიშის გამოჯავრებით და გოგოს ხელი წაატანა.

— არ მომეკარო! უზრდელო! ხულიგანო! — წამოიყვირა გოგომ, რომელიც შიშისაგან კედელს აეკრა.

— მოგეკარო, თორემ ბრიჯიტ ბარდო ხარ! — უთხრა ბიჭმა, — დაიხედე, რას ჰგევხარ, შე მაიმუნო!

— შენ მაინც გჯობივარ, შე ქუჩაში გაზრდილო, — მიახალა გაწბილებულმა გოგომ.

ბიჭი თითქოს შეყოყმანდა, მაგრამ გოგოს რომ წასვლის სურვილი შეატყო, ერთი ნახტომით მიეწია და მაჯაში ხელი წაავლო.

— ვინ არის ხულიგანი? მე? შე მართლა მაიმუნო! — ჩაჰკითხა გაბზარული ხმით, და სულაძეს მოეჩვენა, რომ მკლავს უტრიალებს.

— მიშველეთ! — დაიძახა გოგომ.

სანამ გამომძიებელი ხმის ამოღებას მოასწრებდა, კუთხის იქიდან გამორბენის ხმა მოისმა და ქუჩაში კიდევ ერთი ტანდაბალი კაცი გამოჩნდა, რომელსაც ხელში საკატლეტე მანქანა ეჭირა.

— გაანებე, ბიძიკო, თავი! — მოსთხოვა მან გოგოს შეურაცხმყოფელს.

— წადი, თუ ძმა ხარ, კატლეტი გააკეთე! — უპასუხა ბიჭმა.

— როგორ „წადი“? თავზე მაჯდები, კაცო? ქუჩაა, კაცი მოვდივარ, შენ გოგო დაგიჭერია. რა, გუდურად მთვლი? — კაცი ცოტა პროვინციულად უქცევდა.

— წადი, ბიძია, სანამ ლამაზი ხარ! — ურჩია მეორე ბიჭმა.

კაცი სიტყვის უთქმელად დაეჯაჯგურა ბიჭის ხელს, რომლითაც მას გოგოს მაჯა ეჭირა, მაგრამ მეორე წამს მას სახეში მიარტყეს და მისი ხელიდან წართმეული მანქანა გოგოს შეურაცხმყოფელმა პურის მაღაზიის ვიტრინას ხეთქა. გოგომ დრო იშოვა და აღმართში სირბილით გაიქცა. შუშის მტვრევის ხმაზე დარაბებიდან და აივნებიდან აქაიქ მცხოვრებლებმა გამოიხედეს, რომლებიც, ეტყობა, ამ აყალმაყალს ადრიდანვე უსმენდნენ, და ქუჩა აღშფოთებული გადაძახილ-გადმოძახილებით ახმაურდა. სულაძე ამ დროს თითქმის სირბილით მიიჩქაროდა ინციდენტის ადგილისაკენ. „შესდექით“, დასჭყივლა მან ბიჭებს, რომლებმაც მეტი პეწისთვის კიდევ საფურთხებელი გადააბრუნეს და ზანტი სირბილით საცაა კუთხეს უნდა მოჰფარებოდნენ. გამომძიებლის რიხიანმა და მკაცრმა შეყვირებამ გასჭრა: ბიჭები გაჩერდნენ მასხრობაში, სულაძის ხმისგან გათამამებულნი, ქუჩაში გარშემო სახლების ბინადარნიც გამოეფინენ და ცოტა ხნის შემდეგ შუშის მტვრევის ხმაზე მოსული მილიციელიც გამოჩნდა.

— ესენი განყოფილებაში ჩაიყვანეთ, მეც მოვალ, როგორც მოწმე, — უთხრა მას სულაძემ და თავისი დოკუმენტი უჩვენა.

ათიოდე წუთის შემდეგ სულაძე და მისი ტყვეები უკვე მილიციის განყოფილებაში იდგნენ.

— მაშ ცარიელი სიტყვით დააკავეთ? — გაუცინა მორიგე ლეიტენანტმა, მაგრამ სულაძეს ჯერ კიდევ მთელი ტანი უკანკალებდა.

— არა, შეამჩნიეს, რომ იარაღი მქონდა. იმიტომ დამიჯერეს, — თქვა მან. — იფ, რა ჯეელებია! ერთი ამისი სახე ნახე! — სულაძემ ხან აქედან, ხან იქიდან შემოუარა მასზე ერთი თავით მაღალ ბიჭებს და თან ხარბად ათვალიერებდა მათს თვალებამოღამებულ სახეებს. — გარგოთ ხულიგნობამ? ახლა მიიღებთ სასჯელს და ნახავთ გემოს!

ბიჭმა, რომელსაც სულაძის ლაპარაკი ირონიულ ღიმილს ჰგვრიდა, უკანასკნელ სიტყვებზე ამოიოხრა. იგი, როგორც ჩანს, „არ ტყდებოდა“, ცდილობდა თავისი განურჩეველი პოზა ბოლომდე შეენარჩუნებინა.

— რა, არ მოგწონს? აბა, შენ დას, ან შენს საცოლეს შეეხოს ეგრე ვინმე. მაშინ ვნახოთ, რას იტყვი!

ბიჭი წამით შეყოყმანდა, მერე უპასუხა:

— მე რომ სხვას არ დავუხვდე, რა — ჩემ დას სხვა აღარ შეეხება?

— ჰმ! შენ დას თუ სხვა შეურაცხყოფს, სამაგიეროდ შენც ამას უნდა დაუხვდე? არ სჯობია, შენ სხვას წესიერად მოექცე და შენიანსაც კარგად მოექცნენ! — გამომძიებელი გაცოფებას ძლივს იკავებდა, მაგრამ ბიჭმა მხოლოდ მხრები შეიშმუშნა. წამიერი გამოცოცხლება მის თვალებში კვლავ ჩაქრა, ეს ყველაფერი, ცხადია, სმენოდა, მაგრამ საბუთად არ მიაჩნდა. — აბა, იმას მამა ჰყავდეს, ან ძმა შენზე ჯანიანი? ხომ წიწილასავით თავს წაგაწყვეტს! — განაგრძო გამომძიებელმა. — თუ, გგონია, ვერ წაგაწყვეტს, იმიტომ, რომ ჯიბეში დანას ჩაიდებ? შე საცოდაო! შენ თუ დღეს დანას ჩაიდებ, ის ხვალ ავტომატით დაგხვდება. იარაღმა საზღვარი არ იცის! მაგდენს ვერ ხვდები?

ბიჭმა იგრძნო არგუმენტის ძალა, უფრო კი გამომძიებლის აღელვებულსა და შთამბეჭდავ კილოს დაემორჩილა და ერთ წამს, თითქოს თვალები დახარა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წამს. ბიჭის სახე ისევ თავის თავში ჩაკეტილმა, ჩლუნგმა, შეზღუდულმა სიჯიუტემ მოიცვა.

— ფუი, შენს პატრონს! — წამოიძახა სულაძემ.—მომეცით აქტი! აფსუს, ის გოგო გაიქცა, თორემ მაგათ ორ-ორი წელიწადი არ ასცდებოდათ!

სულაძემ პირქუშად მოაწერა ხელი მორიგის გამოწოდებულ აქტს, სამორიგეოს კარი გაიხურა და დაცარიელებულ ქუჩაში გავიდა. შინ რომ დაბრუნდა, ბინა უკვე ჩაბნელებული დახვდა. გამომძიებელმა ფრთხილად დაჰკიდა დერეფანში პალტო და ქუდი, ფეხაკრეფით შევიდა სასადილო ოთახში და სინათლის აუნთებლად ბუფეტში ხელის ფათური დაიწყო.

(გაგრძელება იქნება)

# ჩვენი სტუმარი

# მიხეილ ტალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ტალი ამიერიდან საქართველოს გუნდის ლიდერი იქნება საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე. მან უკვე ითამაშ გორში ვ. ქარსელაძის მემორიალზე, თბილისის საერთაშორისო ტურნირში, ფოთში — საქართველოს პირველობაზე. თუ აქამდე ჩვენი გულშემატკივრები „რიგელ ჯადოქარს", როგორც იტყვიან, „შორით ეტრფოდნენ", ახლა მსოფლიოს ექსჩემპიონი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მათი საკუთრება" გახდა.

მიხეილ ტალი დღეისათვის მსოფლიოს ყველაზე უფრო პოპულარული მოჭადრაკეა. ეს ამას წინათ ბელგრადშიც დადასტურდა. იუგოსლავიელი ჟურნალისტების მოწმობით, „საუკუნის მატჩის" გახსნისას ყველაზე დიდი ოვაცია სწორედ ტალს გაუმართეს.

და აი მ. ტალი ჩვენს წინ ზის. საუბარი საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა — ჭადრაკში კითხვებს რა გამოლევს!

**უპირველეს ყოვლისა, გვიპასუხეთ ასეთ კითხვაზე: იუგოსლაველმა ჟურნალისტებმა მართლა წამოაყენეს წინადადება საზონათშორისო ტურნირში თქვენი და ფიშერის დაშვების შესახებ?**

როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში თამაშის უფლება არც მე მაქვს და არც ფიშერს. მე ცუდი შედეგი მქონდა საკავშირო ჩემპიონატში, რომელსაც საზონათშორისო ტურნირის 4 მონაწილე უნდა გამოევლინებინა, რობერტ ფიშერმა კი საერთოდ უარი თქვა ეთამაშა აშშ-ს ჩემპიონატში. ახლა იუგოსლავიელებმა წინადადება წამოაყენეს საზონათშორისო ტურნირში მეც დამიშვან და ფიშერიც. მე, როგორც მსოფლიოს ექსჩემპიონი, ფიშერი, კი როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე. ამის შესახებ ბევრს წერდნენ იუგოსლავიის გაზეთები.

**რამდენად რეალურია ეს აზრი?**

გააჩნია, ვის მიმართ. საზონათშორისო ტურნირში ჩვენს გარეშეც უამრავი მონაწილეა — 24. თანაც ფიდემ ჯერ კიდევ ადრე უარყო აზრი საზონათშორისო ტურნირებში მსოფლიოს ექსჩემპიონების დაშვების შესახებ. ისე, რომ მე პირადად ამ შეჯიბრებაში მოხვედრის არავითარი შანსი არა მაქვს.

ფიშერის საქმე გაცილებით უკეთაა. აშშ-ს საჭადრაკო ფედერაცია აპირებს ხელი აალებინოს (რა თქმა უნდა, სათანადო გასამრჯელოს ფასად) საზონათშორისო ტურნირის მონაწილეობაზე პ. ბენკოს. ეს საკმაოდ რეალური ამბავია. ბენკოს ადგილი ფიშერს გადაეცემა — დაე, საზონათშორისო ტურნირში ითამაშოს.

**ახლა ბევრს წერენ ამერიკელი დიდოსტატის შესახებ. გვითხარით, თუ შეიძლება რამდენიმე სიტყვა მის შესახებ?**

ბობისთან შეხვედრა მე თვით მაინტერესებდა. მე მასთან არ მითამაშია 1962 წლიდან მოყოლებული (ტალ-ფიშერის პირადი ანგარიში ჩვენი დიდოსტატის სასარგებლოდაა. ტალმა მოიგო 4 პარტია, წააგო 2, ხუთი პარტია ყაიმით დამთავრდა — გ. გ.), ხოლო ფიშერი უკანასკნელად ვნახე 1966 წელს, ჰავანის ოლიმპიადაზე. ფიშერი დავაკვირდი, კვლავ რამდენადმე თავისებურია, ტურნირის ორგანიზატორებს ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. თამაშით კი, როგორც ეს ახლა ყველასათვის ცხადია, ბრწყინვალედ თამაშობს. მას შეუძლია დაამარცხოს ბ. სპასკიც, ტ. პეტროსიანიცა და ბ. ლარსენიც. რა თქმა უნდა, ამ დიდოსტატებსაც შეუძლიათ დაამარცხონ ფიშერი.

ახლა ბევრს წერენ იმ 43 მოთხოვნაზე, რომელსაც ფიშერი შეჯიბრების ორგანიზატორებს უყენებს და, მისი განცხადებით, ამიერიდან ყოველთვის წაუყენებს. ფიშერი შაბათობით არ თამაშობს. იგი ქრისტიანი სექტანტია, ე. წ. „მეშვიდე დღის ადვენტისტების" სექტის წევრი. ადვენტისტები შაბათობით ისვენებენ. მოხდა ასეთი რამ: სწორედ შაბათს ფიშერთან იუგოსლავიელი ორგანიზატორი მივიდა და ჰკითხა, „როდის მოგიტანოთ ფულიო" (ფიშერმა არ მოისურვა მანქანის მიღება და მის ნაცვლად სათანადო თანხა მოითხოვა). ბობი გაბრაზდა: „მე შაბათობით ფულზე არ ვლაპარაკობ".

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ზოგჯერ ფიშერი მეტად გაჭირვეულდება ხოლმე; მაგალითად, „საუკუნის მატჩის" დაწყების წინ მან შეჯიბრების ორგანიზატორ ბ. კაზიჩს განუცხადა: „პეტროსიანს გადაეცით შემდეგი: დაე მან ჯერ სვლა გააკეთოს და შემდეგ ჩაიწეროს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში მე არ ვითამაშებ". კაზიჩი სახტად დარჩა, მაგრამ რას იზამდა. უნდა მოგახსენოთ, რომ მოჭადრაკეებს სხვადასხვანაირი ჩვეულებები აქვთ. ზოგი ჯერ სვლას აკეთებს და შემდეგ იწერს; ზოგი პირიქით. კიდევ კარგი, რომ პეტროსიანმა სათანადო ჯენტლმენობა გამოიჩინა და დათანხმდა ფიშერის მოთხოვნაზე, თორემ შეიძლება მატჩი ჩაშლილიყო.

**კიდევ ერთი კითხვა ფიშერის შესახებ. მან დიდი უპირატესობით მოიგო ელვისებური ტურნირი. მე ადრე ვესწრებოდი თქვენი და პეტროსიანის შეხვედრებს ფიშერთან ელვისებურ პარტიებში. მაშინ ფიშერს თქვენც ამარცხებდით და პეტროსიანიც.**

დიახ, ეს იყო ადრე. ახლა ფიშერმა მეც ორი პარტია მომიგო და პეტროსიანსაც. გაიზარდა, დახელოვნდა. მართალია, ერთი პარტია მე უნდა მომეგო, მაგრამ შევცდი.

**1972 წელს მსოფლიო ჩემპიონმა ბ. სპასკიმ თავისი წოდება უნდა დაიცვას. ვინ შეიძლება გახდეს მისი მეტოქე?**

ამ კითხვაზე მეტად ძნელია პასუხის გაცემა. თვით სპასკი ასახელებს ტ. პეტროსიანს, მ. ევე — ვ. კორჩნოისა და ბ. ლარსენს, ბ. ლარსენი ასახელებს... ბ. ლარსენს! მე ვფიქრობ, სჯობს თავი შევიკავოთ. ასეთი პროგნოზებისას სხვებიც მოტყუებულან და მათ რიცხვში მეც.

**რახან ვაჟთა შორის რაიმე კატეგორიულის თქმა ძნელია, მაშ ქალებზე ვილაპარაკოთ: იმავე 1972 წელს ნონა გაფრინდაშვილიც იცავს თავის წოდებას.**

ქალთა შორის დიდი არჩევანი როდია; ჩემის აზრით, ნონასთან შეხვედრის რეალური შანსები მხოლოდ ორს აქვს, ალა კუშნირსა და ნანა ალექსანდრიას. კუშნირს მსოფლიო პირველობის ჩატარების სისტემა დიდ უპირატესობებს ანიჭებს. იგი, როგორც მსოფლიო პირველობის მატჩის მონაწილე, ავტომატურად ითვლება ერთ-ერთ პრეტენდენტად. სამი დანარჩენი პრეტენდენტი კი საზონათშორისო ტურნირმა უნდა გამოავლინოს ახლა კუშნირი ჩინებულ ფორმშია, როგორც ეს ბელგრადის უკანასკნელ ასპარეზობაშიც დადასტურდა. მაგრამ ასეთივე ჩინებულ ფორმაშია ნანა ალექსანდრიაც. გაფრინდაშვილ-კუშნირის მესამე მატჩი, მე მაინც უფრო ნაკლებად რეალურად მეჩვენება ვიდრე გაფრინდაშვილ-ალექსანდრიას პირველი მატჩი. ეს მართლაც დიდი ზეიმი იქნება ქართველი გულშემატკივრებისათვის! ორი საამაყო ოსტატის შეხვედრა ახალ, დიდ საჭადრაკო კლუბში.

**კიდევ რომელი მოვლენები იქნება საინტერესო საჭადრაკო სამყაროში?**

ბევრი საინტერესო საერთაშორისო ტურნირი და მატჩია მოსალოდნელი. ძალზე გააქტიურდა ფიშერი. ეტყობა, მისი წინადადებით, ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო ფონდმა 25 ათასი დოლარი გამოჰყო სპასკი-ფიშერის მატჩისათვის; წინასწარი ვარაუდით, გამარჯვებული 15 ათას დოლარს მიიღებს, დამარცხებული — 10 ათასს. ჯერ ნათელი არაა, მოეწყობა თუ არა ეს ამხანაგური შეხვედრა. ფიშერმა გამოიწვია ბენტ ლარსენიც, რომელიც უცხოეთში მის მთავარ მეტოქედ ითვლება. გამარჯვებულად ცხადდება ის, ვინც 6 პარტიას მოიგებს. ლარსენმა განაცხადა, რომ არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს, მაგრამ წელს თამაშს ვერ მოახერხებს — გაისად შევხვდეთო.

**რიგის საჭადრაკო ჟურნალი გვპირდება თქვენი პარტიების კრებულს.**

დიახ, წლეულს უნდა გამოვიდეს ჩემი პარტიების ახალი კრებული, რომელსაც ოსტატი ა. კობლენცი ადგენს. იგი უფასოდ დაურიგდებათ რიგის ჟურნალ „შახსის" წლიურ ხელმომწერებს. მე, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვიტყვი ამ წიგნის შესახებ. ეს მკითხველთა საქმე გახლავთ.

**როგორია თქვენი საჭადრაკო გეგმები?**

1968-69 წლებში მძიმედ გავხდი ავად და ტურნირებში ბევრი მარცხი ვიგემე. რა თქმა უნდა, ამ ხანებში საერთოდ სჯობდა თამაშისაგან თავი შემეკავებინა, მაგრამ განა რომელიმე მოჭადრაკე შეძლებს თავი აარიდოს ცდუნებას. მაშ ასე, ბევრს, მაგრამ უხეიროდ ვთამაშობდი. ახლა მდგომარეობა შეიცვალა. 1970 წელს რაიმე მარცხი არა მქონია და თანდათან უკეთ ვთამაშობ. მე ძალიან ბევრი ტურნირი მელის, როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთაც. ვეცდები წარმატებით ვითამაშო.

მიხეილ ტალი ყველაფერში უჩვეულო იყო. 24 წლისა არც იყო, როდესაც მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ერთი წლის შემდეგ ამ წოდებას გამოეთხოვა, მაგრამ სულ მცირე ხანი გავიდა და დიდოსტატთა მორიგ ტურნირში გაიმარჯვა (1961 წ. ბლედი); მისმა ცეცხლოვანმა თამაშმა ჭადრაკს პოპულარობა შემატა. საკავშირო თუ უცხოური ტურნირების ორგანიზატორები მხოლოდ ერთ რამეს ცდილობდნენ: მონაწილეთა შორის ტალი ჰყოლოდათ. ეს თავის მხრივ იმას ნიშნავდა, რომ სატურნირო დარბაზში ტევა არ იქნებოდა. ასეა ახლაც.

ტალი ჩვენს წინ ზის. ჭადრაკში კითხვებს რა გამოლევს. მსოფლიოს ექსჩემპიონი დგება, დაფასთან მიდის და თითქოს ყველაფერი ავიწყდება. მის წინაშე საჭადრაკო სამყაროა, თავისებური ზღაპრული სამყარო. ხის ფიგურები ამ ჯადოქარის ხელის შეხების შემდეგ თითქოს ცოცხლდებიან და მტრის დასალაშქრად მიდიან.

**გივი გამრეკელი**



# საუბარი ნამდვილ ღმერთთან

ღმერთთან ჩემი გასაუბრება უფრო მოულოდნელი იყო, ვიდრე ჯვებე დუმბავასი. სამოთხეში პირდაპირ სტადიონიდან ამოვყავი თავი. ჯერ იყო და ჩვენმა ოსტატებმა შეუტიეს მეტოქეს, ოცდაშვიდჯერ ააცდინეს კარს ხუთ-ხუთი მეტრიდან, ერთხელ გადმოვიდა მოწინააღმდეგე ჩვენს მხარეს და თავისივე თავხედობით შეშინებულმა ორმოცდათოთხმეტი მეტრიდან დაარტყა ჩვენს კარში. მაშინ იფეთქა გულმა, და პირდაპირ ღმერთის კაბინეტში ამოვყავი თავი. ღმერთი საბეჭდ მანქანას მისჯდომოდა და ასო-ასო კენკავდა ბრძანებას მემანქანე ანგელოსის დეკრეტულ შვებულებაში გაშვების თაობაზე. შუა კაბინეტში რომ ზღართანი მოვადინე, ღმერთს გაეცინა და სათვალეებს ზემოდან გადმომხედა. გათამამებულმა გავუბედე:

— ბატონო გიორგი, შემიწყალეთ, სანამ ჩვენებს თასი არ აუღიათ, სამოთხეში ნუ წამიყვანთ!..

— ჰო, მიძახე შენ გიორგი და სამოთხე კი არა, ჯოჯოხეთიც უკან დაგრჩება! ვინაა, ბოშო, შენი გიორგი?

— რა ვიცი, ჯვებემ...

— შენ იცნობ ჯვებე დუმბავას? — გამოცოცხლდა ღმერთი.

— როგორ არ ვიცნობ, პატივცემულო, ნათესავია ჩემი! — შევღაღადე გახარებულმა.

— ჰოდა, ასე გადაეცი, ენას მოუკლოს, — ცივი წყალი გადამასხა მამაზეციერმა, — ისე რომ გამიშინაურდა, გიორგიც დამარქვა, ვინ ვგონივარ მაგას მე?

— ეს ისე, ბატონო, თქვენი სიყვარულით მოუვიდა...

— აბა შენ მაინც იცოდე, რომ ჩემი სახელია ფრანსისკო-მერსედეს-მანუელ დელა პუტიოსა დო საკრამენტო, შინაურები კი პუპუს მეძახიან.

— ამხელა სახელს რა დაიმახსოვრებს?

— ნუ გეშინია, პირველად მეც მიჭირდა ჩემი სახელის დამახსოვრება, მაგრამ ახლა მეტრიკაშიც არ ვიხედები.

— მამაზეციერო, აბა შენი წყალობით გახდა პელე ასეთი ღვთაებრივი ფეხბურთელი?

ღმერთმა მორცხვად გაიღიმა და მითხრა:

— ისე ჭკვიანურად ირჯები, რომ შეიძლება ერთი დავალება მოგცე და უკან გაგიშვა!

— მიბრძანე, მერსედეს ფრანსისკო... პუტიოსა...

— ნუ წვალობ, შვილო, შინაურულად პუპუ დამიძახე.

პუპუს დაძახება მაინც ვერ გავბედე და გავჩუმდი.

— რამე ხომ არ გინდოდა გეკითხა ჩემთვის? — ალერსიანად მითხრა ღმერთმა.

— ღმერთო, ნუთუ თბილისის „დინამოს" გამარჯვებაში შენი ხელი არ ერია?

— ეგ ჯვებეს ცილისწამებაა! — აღშფოთდა ღმერთი, მაგრამ მალე დაწყნარდა, თვალი მოჭუტა და ეშმაკურად (ღმერთო შეგცოდე!) მკითხა:

— შენ თუ იცი, ოცდახუთი წელიწადი რატომ ვერ ეღირსეთ ჩემპიონობას?

— ბედი არ გვწყალობდა...

— ჰოდა, ბედი ჩემი მოგონილი არ არის? — გაეცინა ღმერთს.

— კარგი მაგრამ, რას გვერჩოდი, ღმერთო?

— შენ, ძმაო, გადაცმული დათუნაშვილი თუ გგონივარ, მითხარი! მე ვარ ედსონ არანტეს დოს... აჰ, სულ დამავიწყდა, რომ ეს სახელი პელეს მივეცი... იშიაზი მჭირს! — სკლეროზის სახელი დაავიწყდა ღმერთს — ერთი სიტყვით, მე საზრუნავად ბრაზილიელებიც მეყოფა, თქვენთვის სად მცალია!

— ცრუობ, ღმერთო! — აღვშფოთდი მე — განა მესხი და მეტრეველი შენ არ გააჩინე?

ღმერთი სიამოვნებისაგან აილანძა.

— როგორ მიდის თბილისში ახალაშენების საქმე? — ცოტა ხნის მერე მკითხა ღმერთმა.

— გადასარევად! — ამაყად ვთქვი მე.

— ჰოდა, რაღა გიჭირთ, გადაირიეთ! — ნაღვლიანად აღმოუტევა მამაზეციერმა, — ბავშვებმა კაი სახლებში იძინონ, მარტო ეს ეყოფათ ჯანმრთელობისთვის და... რავა, ფეხბურთი მე ვითამაშო ზეცაში?

— ეგ რა შუაშია?

— აბა ცხრა თვეში დედის მუცელში ვასწავლო ბავშვებს ფეხბურთი, თუ იქ ოცი წელი ვამყოფო! — განრისხდა ღმერთი, — მინდორი თქვენ არ დამიტოვეთ, მთლად გამღლიტეთ მიწებისგან, ოქვე მართლა ულმერთოებო და საიდან გაგიჩინოთ პელე? ჰეფესტოს გამოგიგზავნიდით, მაგრამ ამხანაგური თამაშის დროს მოვცელე და ოლიმპოდან კუნძულ ლემნოსზე დავანარცხე მისი ფინტით გაბრაზებულმა. ახლა კოჭლი ღმერთი რაში გამოგადგებათ?

— აბა რა ვქნათ? — სასოწარკვეთით წამოვიყვირე მე.

— რა ქნათ და ღმერთმა თუ არა გიკარნახათ, ვერ უნდა მიხვდეთ? თოხსართულიან სახლებს რომ აშენებთ, ცოტა მიუმატეთ და მიწა დატოვეთ, თითქოს ისე მორიდებულები იყოთ, რომ ჩემი საჰაერო ტერიტორია გენანებოდეთ! რა ვიცი, კოსმოსიც არ შემარჩინეთ და უფრო დაბლა რა ღმერთი გაგიწყრათ?

— კიდევ რას დამაბარებ, ღმერთო?

— მსაჯებს გადაეცი, გადაარჩვიონ მცველები ფეხებში რტყმევას, სანამ ყველა მსაჯი არ დამიხოცავს. მოვლენ მაგენი ბოლოს ჩემთან!... ასე უხეშად მე ვთამაშობდი ამ მილიონიოდე წლის წინათ. ახლა ცოტა რამ ძლივს ვასწავლე თქვენს თავდამსხმელებს და იმასაც ავიწყებენ ეს ულმერთოები... თქვენც კაი ხვითოები ხართ, მაყურებლებო, შამა გიცხონდათ...

— რატომ, ღმერთო?

— ფეხბურთელებისთვის ქეთინოს და ცოცხნის დარქმევა და მისთანები შველის საქმეს? სხვები „ჰეია, ჰეიას", „შაიბუ, შაიბუს" ყვირიან და თქვენ ხეირიანი გულშემატკივრობაც არ შეგიძლიათ?

წამოვდექი.

— სად მიდიხარ, ასე უპატივცემლოდ რავა გაგიშვა... — შეწუხდა ღმერთი. მე გავიქაჩე, მაგრამ ღმერთს სად გავექცეოდი, „სტრახოვკაც" არ დასჭირვებია.

— აფროდიტა, გოგო! — დაიძახა ღმერთმა. ძალიან მინდოდა სილამაზის ქალღმერთის ნახვა. ახლა ღმერთს რომ გავეგდე, ფეხებს ზღურბლზე მივაბჯენდი. კარებში გამოჩნდა აფროდიტე. ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ ვერ გავარჩიე, სად იყო ნამდვილი და სად დახატული.

— რა გინდა, რა?! — შემოღრინა მან მამამისს.

— შემოიტანე, შვილო, ნექტარი, პატივი ვცეთ სტუმარს...

აფროდიტეჰ ცხვირი აიბზუა და გაბრუნდა.

— არ მცალია ახლა მე!

— გაზარდე ახლა შვილი!.. — თავისთვის ჩაიკვნესა ღმერთმა და მაცივრისაკენ წახანხალდა. მაცივარში დენი გამორთულიყო და ღვთაებრივ ნექტარს თბილი ბურახის სიმჟავე დაჰკრავდა.

ღმერთი კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა. მისი ღვთაებრივი შეგონებიდან ზოგი რამ დამამახსოვრდა. აი, როგორ განმარტა ღმერთმა ზოგიერთი საფეხბურთო ტერმინი:

მსაჯი: მუსიკის მასწავლებელი გულქვა მამიდა, რომელიც არ დაგინდობს, მაგრამ მაინც უნდა შესტირო.

კარში დარტყმა: ბურთის გადაგდება სამხრეთის ან ჩრდილოეთის მიმართულებით არა უქვემოეს მეორე იარუსისა.

ფინტი: როცა შენ აკეთებ, ძვლებს უფრთხილდი, როცა მოწინააღმდეგე აკეთებს, ხელი არ შეუშალო, მთავარია არ შერცხვე: გოლს მაინც მეკარეს დააბრალებენ, ის ხომ ისედაც ცოდვილია და ერთი ცოდვის მიმატებით არაფერი დაუშავდება.

მწვრთნელი: სანამ მიეჩვევი, უჯერებ, როცა მიიჩვევ, შენ უნდა დაგიჯეროს, თორემ... იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.

როცა ღმერთი ცოტა შეთვრა, კითხვა გავუბედე:

— მაინც რა მოხდა, პუპუ ჩემო, რამ გაგარისხა ჯვებეზე?

— თუ ძმა ხარ, მაგის სახელი არ გამახსენო... მაგას ვერ ნახავს აწი ჩემი თვალები საიქიოში. იყოს, ბატონო, უკვდავი, იჯდეს თბილისში და წეროს მოთხრობები, მერე სცენარები და პიესები, მე კი თავი დამანებოს. რავა, იმ დალოცვილმა ყველაფერი რომ ღმერთს გადააბრალა და თხოვნით სული ამომართვა, დაბალი ლობე მნახა თუ რა?

გაცეცხლებული ღმერთის სასუფევლიდან ველარ გამოვაღწევდი, რომ სიმწრით ნაშოვნი, ცეცხლისფასიანი, დინამოიან-ლოკომოტივიანი აბონემენტი არ მქონოდა თან. რას ვიზამდი, ქრთამად შევაძლიე, გამეგონა, ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებსო და აქ რა ღმერთი გამიწყრებოდა?

— კაია მაგი, — გამიღიმა ღმერთმა, — ამას ჩემს ბიძაშვილს ბუდას მივცემ, მარა ოზირისს რაღა ვუყო, სული ამომიღო მაგის ბილეთების შოვნამ. „ვხადნოი" თუ იშოვო სადმე, გამომიგზავნე!

იქიდან კი თავი დავაღწიე, მაგრამ რა ფასი აქვს ამისთანა სიცოცხლეს? უბილეთოდ დავრჩი! ხალხო, მითხარით, ვინმეს ჯერ ხომ არ გადაუგდია თავისი აბონემენტი?

რომან მიმინოშვილი

# მოზაიკა



## როგორ გაჩნდა შაქარი

როცა ალექსანდრე მაკედონელის ჯარი ინდოეთში შევიდა (მეოთხე საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ძველი ინდოეთის მრავალრიცხოვან სასწაულთა შორის მხედრების ყურადღება ერთმა პატარა „სასწაულმაც“ მიიპყრო. ინდოელები რაღაც თეთრ, მაგარ პროდუქტს სჭამდნენ, რომელსაც სასიამოვნო და ტკბილი გემო ჰქონდა. ალექსანდრე მაკედონელის ერთი თანმხლებელი შემდგომში ამის შესახებ წერდა, რომ ინდოეთში იზრდება ისეთი ლერწამი, რომელიც ფუტკრის გარეშე იძლევა თაფლს. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს უცნაური პროდუქტი ჩინეთში შეიტანეს და მას ქვის თაფლი შეარქვეს, ეგვიპტელები კი შაქარს ინდოეთის მარილს ეძახდნენ.

ამგვარად, შაქარი პირველად ინდოეთში დაამზადეს, შემდეგ იგი სპარსეთში გაიტანეს, ხოლო VII საუკუნეში, არაბების მიერ სპარსეთის დაპყრობის შემდეგ შაქარი მთელს ევროპაში გავრცელდა.

შაქრის ლერწამი ძირითადად მოჰყავდათ ბრიტანეთის კოლონიებში. ამიტომაც, ბუნებრივია, შაქრის წარმოება ინგლისის მონოპოლია იყო. 1747 წელს გერმანელმა ფიზიკოსმა ანდრეი მარკგრაფმა ჭარხალშიც აღმოაჩინა შაქარი, მაგრამ ამ აღმოჩენისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. ამ ფიზიკოსის სახელი მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს გაიხსენეს, როცა ნაპოლეონის კონტინენტური ბლოკადის შედეგად, ინგლისი გარესამყაროსაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა და ევროპას შაქარი ველარ მიაწოდა.

## როგორ გაჩნდა ჩამიჩიანი ნამცხვარი

რევოლუციამდე მთელ მოსკოვში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მეფუნთუშე ფილიპოვის საკონდიტრო ნაწარმი. ერთხელ ფილიპოვი მოსკოვის გენერალ-გუბერნატორ ზაკრევსკისთან გამოიძახეს. შეცბუნებულ მეფუნთუშეს გენერალ-გუბერნატორმა აუწყა, რომ იმ დილით, როცა მას საუზმე მიართვეს, ფილიპოვის საკონდიტროდან მოტანილ ნამცხვარში მან ხოჭო აღმოაჩინა.

ფილიპოვი არ დაიბნა. განრისხებულ გენერალ-გუბერნატორს მან ღიმილით აუწყა, რომ ნამცხვარში აღმოჩენილი რაღაც მოშავო საგანი ხოჭო კი არა, არამედ ქიშმიშის მარცვალია და თავისი სიტყვების დასადასტურებლად ფილიპოვმა დასტაცა ხოჭოს ხელი და შეჭამა.

თავის საკონდიტროში დაბრუნებისთანავე მეფუნთუშემ უკვე გამზადებულ ცომს ქიშმიში შეურია და რამდენიმე საათის შემდეგ ფილიპოვი კმაყოფილ გენერალ-გუბერნატორს უხვად გაუმასპინძლდა ახლად შექმნილი ჩამიჩიანი ნამცხვრით.





## როგორ გაჩნდა შოკოლადი

1519 წლის ნოემბერში ესპანელი დამპყრობლები ერნანდო კორტესის მეთაურობით მექსიკის ძველ დედაქალაქ ტენოჩტიტლანში შეიჭრნენ. აცტეკების იმპერატორის სასახლის გაძარცვის დროს ესპანელებმა სასახლის საკუჭნაოებში რაღაც მოშუშული მარცვლის დიდი მარაგი იპოვეს.

გამოირკვა, რომ აცტეკები ამ მარცვლებისაგან ამზადებდნენ თავისებურ, რაღაც მწვავე ნაყენს, რომელსაც ისინი „ჩოკოლატლის“ უწოდებდნენ.

კორტესს და მის რაზმელებს ეს ნაყენი არ მოეწონათ, სამაგიეროდ, ისინი მეტად კმაყოფილნი დარჩნენ იმ ტკბილი წვენით, რომელსაც მსახურები საგანგებოდ უმზადებდნენ აცტეკების იმპერატორს მონტესუმას. კაკაოს შემწვარ მარცვლებს ისინი ზელავდნენ სიმინდის მარცვლებთან ერთად, ამ ნარევს უმატებდნენ თაფლს, მოდუღებულ ტკბილ წვენს და შემდეგ ყოველივე ამას ვანილით აზავებდნენ.

ესპანეთში დაბრუნების შემდეგ ერნანდო კორტესმა მეფეს მიართვა კაკაოს მარცვლები და „ჩოკოლატლის“ დამზადების რეცეპტი.

პირველ ხანებში შოკოლადი მხოლოდ ესპანეთის მეფის სასახლის საიდუმლო მონოპოლიას წარმოადგენდა. გავიდა ათეული წლები, კაკაოს მარცვლებმა საფრანგეთშიც შეაღწიეს. XVII საუკუნის შუა წლებამდე შოკოლადს მხოლოდ საფრანგეთის მეფის სასახლეში სვამდნენ, შემდეგ კი იგი თანდათან გავრცელდა და მეტად მოდური სასმელი გახდა.

ბოლოს, შოკოლადის ფილების დამზადებაც დაიწყეს.

## ოქროზე უფრო ძვირფასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ძველი სლოვაკური ზღაპარი მოგვითხრობს: მეფეს სამი ქალიშვილი ჰყავდა. ერთხელ სამივენი მოიხმო და შეეკითხა:

— მითხარით, შვილებო, როგორ გიყვართ მამათქვენი?

— ისე, როგორც ოქრო! — მიუგო უფროსმა.

— ისე, როგორც პლატინა! — თქვა შუათანამ.

— ისე, როგორც მარილი! — ჩაილაპარაკა უმცროსმა.

მეფე გააბრაზა უმცროსი შვილის პასუხმა და სასახლიდან გააძევა იგი. შეიტყო ეს ამბავი კეთილმა გრძნეულმა, შეებრალა ქალიშვილი და გადაწყვიტა ჭკუა ესწავლებინა უგუნური მეფისათვის; და აი, ერთ მშვენიერ დღეს იმ ქვეყანაში სრულებით გაქრა მარილი. მეფეს სიცოცხლე გაუმწარდა. ყველა კერძი უგემური იყო. მინისტრები იძულებული გახდნენ სხვა ქვეყნებში ოქროს ფასად შეეძინათ მარილი. მაშინ მიხვდა მეფე, თუ როგორ უსამართლოდ მოექცა თავის ქალიშვილს.



აკადემიკოს ა. ფერსმანის გადმოცემით აფრიკის ცალკეულ ქვეყნებში ისე ძვირად ფასობდა თურმე მარილი, რომ ერთ კილოგრამ მარილში ერთ კილოგრამ ოქროს იძლეოდნენ.

გარეკანის პირველ გვერდზე: ვაჟა-ფშაველა. მეოთხე გვერდზე: „რაჭა“ და „ახალგაზრდა მხატვარი“. სურათები გ. ჯაშისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ. — რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 13/V-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VI-70 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 3. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 4,2. ტირაჟი 52.000. შეკვ. № 1525. უე 10351.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი ეთერ ჭელიძე.

ფოტო გრ. ოვესიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაჭა.

ახალგაზრდა მხატვარი.

